პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

25 ნოემბერი **პარასკევი** 2011
№278 (13575) ფასი 80 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს თასი.
1/4 ფინალის
პირველი
მატჩები

# მიგინეიშვილი 1
# ზესტაფონი 1

## მერანმა გაგრასთან მათრახი დაირტყა



2-3

გაგრა-მერანი 4:0. გოლი მარტვილელთა კარში

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## მჭედლიძე-შეყილაძე
# გოოოლ!




გუშინ იტალიის თასის პირველი მერვედფინალური მატჩები გაიმართა და ჩვენთვის საყურადღებო ამბებიც მოხდა – **ირაკლი შეყილაძემ** „ემპოლის“ ძირითად გუნდში დებიუტი გოლით აღნიშნა, **კახა კალაძემ** კი დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ პირველი შეხვედრა ჩაატარა.

დავიწყოთ "ფიორენტინა"-"ემპოლის" მატჩით, რომელიც ფლორენციელებმა 2:1 მოიგეს, ჩვენთვის მნიშვნელოვანი ისიც არის, რომ 19 წლის ქართველმა ფორვარდმა "ფიორენტინას" **ლევან მჭედლიძის** პასით გაუტანა. არადა, ჩვენმა თანამემამულეებმა მოედანზე ერთად მხოლოდ 16 წუთი გაატარეს. მჭედლიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 75-ე წუთზე შეცვალეს, შეყილაძე კი მოედანზე 59-ე წუთზე გამოჩნდა, თავი 65-ე წუთზე გამოიჩინა და მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

კალაძის "ჯენოამ" "ბარის" უმასპინძლა და დამატებით დროში 3:2 მოიგო. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა შეუცვლელად ითამაშა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



## ეს უნდა გენახათ!

ზაზა ფაჩულიას ფარ-ხმალი აკლდა, თორემ მეტოქის რაზმში შეჭრილი მეომარი გეგონებოდათ. სწორედ მისი დამსახურებაა, „გალათასარაიმ“ თითქმის წაგებული თამაში ჯერ ოვერტაიმში რომ გადაიყვანა, საბოლოოდ კი 78:76 მოიგო. გადამწყვეტ მომენტში ფაჩულიამ ბურთი საკუთარ ფარზე მოხსნა, მეტოქეს წესები დაარღვევინა და საჯარიმოს ხაზიდან საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. ზაზამ 32 წუთში 19 ქულა, 10 მოხსნა და 2 ჩაჭრა მიითვალა.

პარალელურად თორნიკე შენგელიას „შარლერუა“ მადრიდში „რეალს“ ბოლო წამებამდე ებრძოლა, მაგრამ 89:93 დამარცხდა. თორნიკე არც სერჟ იბაკას ერიდებოდა, არც დანარჩენ რეალელებს, თავისუფლად შედიოდა ფარქვეშ და 11 ქულა და 5 მოხსნა მოაგროვა.

გუშინ, უფრო გვიან „კანტუმ“ „ნანსისთან“ სტუმრად 75:76 წააგო. კანტუელმა ქართველებმაც არანაკლებად ითამაშეს. მანუჩარ მარკოიშვილმა 10 ქულა და 2 მოხსნა მოაგროვა, გიორგი შერმადინმა 9 ქულა და 3 მოხსნა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# წლეულს ომარი რომ არი... ტორპედომ საკუთარი მეკარე დატვირთა

24.11. ქუთაისი. ცენტრალური. 5000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ტორპედო | 1 |
| ზესტაფონი | 1 |

1:0 გამეზარდაშვილი (34. ბოლქვაძის პასით), 1:1 დვალი (84)

| ტორპედო | ზესტაფონი |
|---|---|
| 4-5-1 | 4-4-2 |
| მიგინეიშვილი | მამალაძე |
| დ.ფოფხაძე | ალადაშვილი |
| ს.თოდუა | ონიანი |
| გამეზარდაშვილი | საჯაია |
| გურული | ლონლაძე |
| დოლიძე | აფციაური |
| გ.დათუნაიშვილი | ბაბუნაშვილი |
| დილმელაშვილი | ძარია |
| თარხნიშვილი | შ.გრიგალაშვილი |
| დ.ბოლქვაძე | დვალი |
| გოცირიძე | გელაშვილი |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| გ. გეგუჩაძე | გ. ჭიაბრიშვილი |

**ტორპედო**

65. ბოლქვაძე - **იოსელიანი**
81. გოცირიძე - **საბანაძე**
85. დოლიძე - **კუხიანიძე**

*სათადარიგოები: ქვილითაია, ფარულავა, ჯანელიძე, მეგრელაძე*

**ზესტაფონი**

66. ალადაშვილი - **ელიავა**
74. ბაბუნაშვილი - **გორგიაშვილი**
84. გრიგალაშვილი - **ჭანკოტაძე**

*სათადარიგოები: მეშველიანი, სარდალიშვილი, ფიფია, ს.ლომია*

გაფრთხილება: ონიანი (33), ძარია (54), ალადაშვილი (58), ბოლქვაძე (64)

არბიტრი: მ.ბეუქლიშვილი

ჩემპიონატშიც და თასზეც იმერული დერბი მუდამ გამორჩეულ ინტერესს იწვევს და გამონაკლისი, ცხადია, არც ეს შეხვედრა ყოფილა. „ტორპედოს" ხელმძღვანელობამ გულშემატკივრებს სიურპრიზი მოუმზადა — მატჩზე დასწრება უფასო იყო. წინა სეზონში „ზესტაფონისა" და „ტორპედოს" თასის ნახევარფინალურ შეხვედრას დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა, წლეულს კი ეს გუნდები ჩემპიონატში ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და დაძაბული თამაშების მიუხედავად, გულშემატკივრებს შორის ინციდენტი აღარ მომხდარა. გუშინდელმა მატჩმაც უექსცესებოდ ჩაიარა.

შეხვედრამ, რომელიც მეოთხედფინალურ მატჩებში აშკარად გამორჩეული იყო, მოლოდინი სრულად გაამართლა. გულშემატკივარმა განსაკუთრებით „ტორპედოს" მეკარის, **ომარ მიგინეიშვილის** შესანიშნავი თამაშით ისიამოვნა, რომელმაც არაერთი რთული ბურთი მოიგერია. იგი 85-ე წუთამდე უმკლავდებოდა სტუმართა შეტევებს, მაგრამ **ჯაბა დვალის** დარტყმას ველარაფერი მოუხერხა და შეხვედრაც ლოგიკური შედეგით დასრულდა. ლოგიკურით იმიტომ, რომ „ზესტაფონი", მთელი მეორე ტაიმი მეტოქის ნახევარზე რომ გაატარა, ნაგებას ნამდვილად არ იმსახურებდა. პირველი ნახევრის დიდი ნაწილი კი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. ზესტაფონელები უფრო მეტს უტევდნენ, მაგრამ მასპინძლები დაცვაში ყურადღებით თამაშობდნენ და მეტოქეს სწრაფი კონტრშეტევებითაც პასუხობდნენ. პირველი ხიფათიც სტუმრებმა შექმნეს, **ძარიამ** ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა. ზესტაფონელები შემდგომაც მწვავედ უტევდნენ და მალე **ბაბუნაშვილს** ანგარიშის გახსნაც შეეძლო, მაგრამ მცველებმა ხიფათი განმუხტეს. შემდეგ **შოთა გრიგალაშვილმა** ითამაშა კარგად, **გამეზარდაშვილი** იოლად მოატყუა და მახვილი კუთხიდან დაარტყა, მაგრამ ქუთათურები მიგინეიშვილმა იხსნა. მალე **გია გეგუჩაძის** გუნდიც გააქტიურდა, რიონისპირელებიდან განსაკუთრებით **თორნიკე თარხნიშვილი** და **დავით ბოლქვაძე** გამოირჩეოდნენ, თუმცა კარში დარტყმამდე საქმე არ მიდიოდა. ერთ ეპიზოდში თარხნიშვილის წაქცევისთვის ქუთათურები პენალტსაც ითხოვდნენ, მაგრამ ამაოდ. მასპინძლების პირველივე მეტ-ნაკლებად სახიფათო შეტევას გოლი მოჰყვა: ბოლქვაძემ ბურთი მეტოქის საჯარიმოში ჩაკიდა, ზესტაფონელ მცველებს გამეზარდაშვილი გამოეპარათ და მანაც უჩვეულო დარტყმით ანგარიშიც გახსნა. გატანილმა გოლმა ქუთაისელები გაააქტიურა და მალე თარხნიშვილს შეეძლო ანგარიშის გაზრდა, მაგრამ ზუსტად ვერ დაარტყა. ტაიმის ბოლოს დასწრებაზე დვალი თამაშობდა კარგად, მაგრამ მიგინეიშვილმა ისევ ივარგა.

შესვენების შემდეგ სტუმრები ერთობ გააქტიურდნენ და საკუთარ საჯარიმოში გამოკეტილ ქუთაისელთა კართან მომენტი მომენტზე იქმნებოდა, მაგრამ **გიორგი ჭიაბრიშვილის** შეგირდებმა მიგინეიშვილის კარს გასაღები ვერა და ვერ მოარგეს. ჯერ გრიგალაშვილმა და ძარიამ სცადეს გატანა, მაგრამ სიზუსტე დააკლდათ, შემდეგ ქუთაისელთა მეკარემ **აფციაურის**, დვალისა და **საჯაიას** სახიფათო დარტყმები მოიგერია, აღარაფერს ვამბობთ ზესტაფონელთა მიერ აცილებულ ბურთებზე. მასპინძელთა მეკარემ მასთან პირისპირ გასულ დვალსაც დაასწო და ერთხელაც იხსნა თანაგუნდელები, შემდეგ აფციაურის ორ ძლიერ დარტყმას დაუხვდა ყოჩაღად. ფეროლებს მხსნელად ისევ ჯაბა დვალი მოევლინათ, მან მატჩის მიწურულს საჯარიმოში მიიღო ბურთი, მცველებს შორის დატრიალდა და ძლიერი დარტყმით „თვით" მიგინეიშვილსაც არ დაუტოვა შანსი - 1:1. გია გეგუჩაძის შეგირდები მეორე ტაიმში ფეროლთა შეტევების მოგერიებით იყვნენ დაკავებული და მეტოქის კართან ღირებული არაფერი შეუქმნიათ.

ქუთაისში მიღწეული ფრე განმეორებითი მატჩის წინ ზესტაფონელებს უკეთეს მდგომარეობაში აყენებს, მაგრამ იმერული დერბი ბოლო დროს ძნელად საპროგნოზო გახდა, ასე რომ, არანაკლებ საინტერესო ზესტაფონური მატჩი გველის...

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

# იქნება ინტრიგა?

24.11. რუსთავი. ფოლადი. 200 მაყურებელი

| | |
|---|---|
| მეტალურგი | 1 |
| ვიტ ჯორჯია | 0 |

1:0 სეთურიძე (22, ჯაფარიძის პასით)

| მეტალურგი | ვიტ ჯორჯია |
|---|---|
| 4-2-3-1 | 4-2-3-1 |
| ბედიაშვილი | რეჭია |
| მახვილაძე | გეთიაშვილი |
| კვახაძე | გოგიაშვილი |
| კვარაცხელია | ადამაძე |
| ჯაფარიძე | ხუჭუა |
| რაზმაძე | გურ. გურეშიძე |
| ქავთარაძე | ვასაძე |
| სეთურიძე | კორიფაძე |
| მიქაბერიძე | გიორ. გურეშიძე |
| ი. მაისურაძე | ზაქრაძე |
| ტატანაშვილი | ჩიმაკაძე |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| კ. ყორყიკაშვილი | რ. სვანაძე |

**მეტალურგი**

46. რაზმაძე — **დობროვოლსკი**
62. მიქაბერიძე — **მოდებაძე**
79. სეთურიძე — **გენაძე**

*სათადარიგოები: ბათიაშვილი, ჭედია, გავაშელიშვილი, პავლიაშვილი*

**ვიტ ჯორჯია**

53. კორიფაძე — **კასრაძე**
75. ზაქრაძე — **ლანიაშვილი**
87. ხუჭუა — **ვაშაკიძე**

*სათადარიგოები: სვანაძე, კუხალეიშვილი, სიხარულიძე, ხურცილავა*

გაფრთხილება: მიქაბერიძე (27), ადამაძე (63), ქავთარაძე (82)

არბიტრი: ლ. სილაგავა

გუშინდელ მატჩში მოპოვებული ერთბურთიანი უპირატესობით „მეტალურგმა" მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ნახევარფინალში მოსახვედრად; რა თქმა უნდა, განმეორებით შეხვედრაში ახალგაზრდა „ვეტერინარები" თავიანთზე ბევრად გამოცდილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ მეტოქეს ბოლომდე შეებრძოლებიან, მაგრამ თუ გუშინდელი მატჩის მსგავსად „შებოჭილად" ითამაშეს, მაშინ, მართლაც უშანსოდ იქნებიან. ისე, ძნელი სათქმელია, თუ როგორ წარიმართებოდა გუშინდელი შეხვედრა, სტუმრებს ოპტიმალური შემადგენლობით რომ ესპარეზათ: მანამდე ძირითადის „მყარ" ფეხბურთელებად რომ მიიჩნეოდნენ (**დავით ხურცილავა, რევაზ ლანიაშვილი, ლაშა კასრაძე**), ამჯერად სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ, მეკარე **გიორგი ძაძამია** და გუნდის კაპიტანი **გიორგი ჯანელიძე** კი, საერთოდ, განაცხადშიც არ იყვნენ. „ვეტერინარებს" სხვა დანაკლისიც ჰქონდათ: მატჩის წინადღეს სამწუხარო ამბავი შეემთხვა „ვიტ ჯორჯიას" მთავარ მწვრთნელს **ზურაბ ბერიძეს** (ძმა გარდაეცვალა) და „მეტალურგთან" შეხვედრაში სტუმრებს მისი ასისტენტი, ახალგაზრდა სპეციალისტი **რამაზ სვანაძე** მოძღვრავდა. რაც შეეხება მასპინძლებს, წინა მატჩთან შედარებით **კობა ყორყიკაშვილმა** ორი ცვლილება მოახდინა: **გიორგი ქავთარაძე** და **გიორგი სეთურიძე** ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდნენ.

... მართლაც „არანორმალურად" სუსხიან ამინდში ჩატარებული გუშინდელი მატჩი მთლიანად მასპინძელთა „კარნახით" მიმდინარეობდა; ყოველ შემთხვევაში, წინა შეხვედრასთან („აგრასთან") შედარებაც არ შეიძლებოდა, - „მეტალურგის" ფეხბურთელებს გუშინ მონდომება ნამდვილად არ დაენუნებოდათ და გუნდმაც ლოგიკური გამარჯვება მოიპოვა. მასპინძლების თამაშში თვალში საცემი იყო ბურთის ხანგრძლივი გათამაშებაც და ის ფაქტიც, მეტოქეს კომბინაციური ფეხბურთი რომ დაუპირისპირეს. პირველი სახიფათო მომენტიც სწორედ ასეთ ხანგრძლივ შეტევას მოჰყვა, თუმცა **გიორგი მიქაბერიძის** დარტყმა არაზუსტი აღმოჩნდა. ამის შემდეგ იყო ის ეპიზოდიც, სტუმრები პენალტს რომ ითხოვდნენ; თუმცა როგორც ტრიბუნაზე მყოფმა კომპეტენტურმა პირმა გვითხრა, ის შემთხვევა ყოფილა, როცა „ბურთმა მოძებნა ხელი". მოკლედ, სტუმართა პროტესტი ამაო გამოდგა და ამ ეპიზოდიდან ათიოდ წუთში შეხვედრის პირველი და, როგორც შემდგომ გაირკვა, უკანასკნელი გოლიც გავიდა; თანაც, გოლიც ეფექტური იყო და, საერთოდ, კომბინაციაც: **ირაკლი მაისურაძემ** ქუსლით ჩინებული პასით მარცხენა ფლანგზე **ლაშა ჯაფარიძე** მოძებნა; ამ უკანასკნელის გამჭოლ გადაცემას სტუმართა საჯარიმოში მცირე არეულობა მოჰყვა და საბოლოო დარტყმა კი გიორგი სეთურიძემ მართლაც მოხდენილად შეასრულა. სხვათა შორის, ცოტა არ იყოს, უცნაურადაც მოეჩვენებოდა ბევრს ის ფაქტი, როცა „მემარჯვენე" სეთურიძემ „ცაციათი" ბურთი მეტოქის კარის „ცხრიანში" რომ ჩაახვია. პირველი ტაიმის ბოლომდე მასპინძლები შორი მანძილიდან ცდილობდნენ გოლის გატანას, მაგრამ ირაკლი მაისურაძის დარტყმები მცირეოდენ არაზუსტი იყო, გიორგი მიქაბერიძის



გიორგი სეთურიძე

„გასროლილი" კი **ჯინო რეჭიამ** მოიგერია. შესვენების შემდეგ თამაშის ტემპი ოდნავ დაეცა და სახიფათო მომენტიც თითზე ჩამოსათვლელი თუ იქნებოდა. ყველაზე რეალური შანსი **დენის დობროვოლსკის** ჰქონდა, თუმცა მისი დარტყმული ბურთი სტუმართა მცველმა ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა (სხვათა შორის, ამ ეპიზოდმაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია — „მეტალურგის" ფეხბურთელები მიიჩნევდნენ, რომ სტუმართა მცველს ბურთი ხელზე მოხვდა). ამის შემდეგ **ირაკლი მოდებაძემ** შეუტია რამდენჯერმე სტუმართა კარს, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა. ისე, ერთ ეპიზოდში „ვიტ ჯორჯიასაც" შეეძლო ეხეირა — მასპინძელთა მეკარე გამოსვლაზე შეცდა, მაგრამ **გურამ ადამაძემ** თავით ზუსტად ვერ დაარტყა. დაბოლოს, ერთ ფაქტზეც, მასპინძელთა ქომაგებს რომ გაახარებდათ: არცთუ ხანმოკლე პაუზის მერე „მეტალურგს" ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი, **რევაზ გენაძე** დაუბრუნდა.

**გია ტუხაშვილი**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:00

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია



სახიფათო მომენტი მერანის კართან — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# გაგრამ თოვლში გაზაფხული დაიბრუნა...

## ძაღლსაც გაუძაღლდა ცხოვრება

24.11. თბილისი. მერანი (ზემაჲ) 400 მაყურებელი

**გაგრა 4**
**მერანი 0**

1:0 კალანდაძე (10. შარიქაძის პასით), 2:0 შარიქაძე (24. ჯერემიას პასით), 3:0 ჯერემია (53. შარიქაძის პასით), 4:0 ტყეშელაშვილი (74. ხუციძის პასით)

| გაგრა | მერანი |
|---|---|
| 4-4-1-1 | 4-4-2 |
| ბეგაშვილი | შეროზია |
| ზ. ჩხეტიანი | კაკუშაძე |
| კალანდაძე | იოგაშვილი |
| ტყეშელაშვილი | გ. ქვანია |
| ჯგერენაია | სუხიაშვილი |
| ხუციძე | ჩალაძე |
| ნაკონეჩნი | ე. გრიგალაშვილი |
| ყურულაშვილი | დიდავა |
| ჯიშკარიანი | მანწკავა |
| შარიქაძე | ტაპე |
| ჯერემია | ამბროლაძე |
| **მწვრთნელი** | **მწვრთნელი** |
| **ზ. ჯელაძე** | **მ. ქვანია** |

**გაგრა**

62. ნაკონეჩნი – **ქართველიშვილი**
77. ხუციძე – **გაბედავა**
84. ჯიშკარიანი – **ხოჯაშვილი**
სათადარიგოები: მაღრაძე, სიჭინავა, ჭკუასელი, კვანტალიანი

**მერანი**

46. ე. გრიგალაშვილი – **მემარნიშვილი**
62. ამბროლაძე – **სამადაშვილი**
76. კაკუშაძე – **ჭაფოძე**
სათადარიგოები: გ. შენგელია, თ. შალიკაშვილი, ქამუშაძე, ტორაძე

გაფრთხილება: მანწკავა (49), ნაკონეჩნი (56)
არბიტრი: თ. გვანცელაძე

ჩემპიონატის ბოლო ტურში "გაგრამ" რუსთავში შთამბეჭდავად ითამაშა და გამარჯვება ხელიდან მატჩის მიწურულს გაუშვა, რამაც გვაფიქრებინა, რომ **ზვიად ჯელაძის** გუნდი კრიზისიდან გამოდის, გუშინდელი შეხვედრის შემდეგ კი კრიზისის ხსენება უკვე უადგილოა – საქართველოს თასის მფლობელებმა თამაში იმ დონეზე ჩაატარეს, როგორითაც წინა სეზონის მიწურულს გვაკვირვებდნენ ხოლმე.

ამ მეოთხედფინალურ წყვილს გამოკვეთილი ფავორიტი არ ჰყავდა, მაგრამ მცირე უპირატესობა ჩემპიონატში დამაჯერებლად მოთამაშე "მერანისთვის" უფრო უნდა მიგვენიჭებინა. თუმცა "გაგრამ" პროგნოზები თავდაყირად დააყენა და ისეთი ანგარიშით გაიმარჯვა, როგორსაც მისი ყველაზე ერთგული გულშემატკივრებიც ვერ წარმოიდგენდნენ. 4:0 უკვე ყველაფერზე მეტყველებს, "გაგრა" ცალი ფეხით ნახევარფინალშია, მარტვილელებს კი საკუთარ მოედანზე სასწაული თუ იხსნის.

ანგარიში მოედანზე განვითარებულ მოვლენებს სრულად ასახავს, მასპინძლები, ფაქტობრივად, მთელი შეხვედრის განმავლობაში დომინირებდნენ და გამარჯვება უფრო სოლიდური ანგარიშითაც შეეძლოთ, "მერანი" კი გუშინ ახლოს მხოლოდ პრესტიჟის გოლის გატანასთან იყო.

"გაგრამ" აგრესიული და შემტევი ფეხბურთი შემოგვთავაზა, სტუმრები კი უჩვეულოდ ინერტულები იყვნენ და მეტოქეს ღირებული ვერაფერი დაუპირისპირეს. მასპინძელთაგან თითოეულმა ფეხბურთელმა მაღალ დონეზე ითამაშა, მაგრამ, უპირველესად, გოლისა და ორი საგოლე გადაცემის ავტორი **ლევან შარიქაძე** უნდა გამოვარჩიოთ. ეფექტური იყო ნიგერიელი **ჯონ ჯერემია**, რომელსაც არაერთი სათამაშო ნაკლი კი აქვს, მაგრამ აშკარად ეტყობა, ისეთი "მასალაა", რომლისგანაც, შესაძლოა, თუნდაც მისი თანამემამულე **ოვონიკოკოს** დონის თავდამსხმელი დადგეს.

"გაგრას" ოთხივე გოლი ლამაზი გამოვიდა. მე-10 წუთზე შარიქაძის მიერ კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს თავი **ლაშა კალანდაძემ** შეაგება და თავისიანები დააწინაურა. ამის შემდეგ მასპინძლები მარტვილელთა კარს კიდევ რამდენჯერმე დაემუქრნენ და მალე მეორედაც იხეირეს – სწრაფი კომბინაცია ჯერემიას პასითა და შარიქაძის საგოლე დარტყმით დასრულდა – ამ უკანასკნელმა მახვილი კუთხიდან მეკარისგან შორეულ კუთხეში გაიტანა.

შესვენებამდე დასამახსოვრებელი **გიორგი მანწკავას, ელგუჯა გრიგალაშვილისა** და **ირაკლი ხუციძის** უშედეგო დარტყმები იყო, აგრეთვე მოედანზე შესული მაწანწალა ძაღლი, რომელმაც თამაში დაახლოებით ერთი წუთით შეაფერხა.

მეორე ტაიმის დასაწყისში "მერანმა" კიდევ ერთი მძიმე დარტმა მიიღო - შარიქაძის გრძელი და გამოზომილი პასით თავი ჯერემიამ გამოიჩინა. იქვე ნიგერიელმა რეალური მომენტი გააფუჭა, მეოთხე გოლი კი განსაკუთრებით ეფექტური იყო – ხუციძის მიერ კუთხურიდან მოწოდებული ბურთი "გაგრას" კაპიტანმა **გიორგი ტყეშელაშვილმა** "მერანის" კარში ძლიერი დარტყმით ერთი შეხებით გაგზავნა – 4:0.

შეხვედრის მიწურულს ერთი ბურთის გაქვითვა **გურამ სამადაშვილსა** და **მუნინი ტაპეს** შეეძლოთ, თუმცა მიზნამდე მცირედი დააკლდათ და და მარტვილური მატჩი ინტრიგის გარეშე დარჩა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

24.11. ზუგდიდი. გ. თუთბერიძე. 700 მაყურებელი

**ბაია 2**
**დილა 2**

0:1 გოგინაშვილი (3), 1:1 ეხვაია (8), 2:1 ეხვაია (44), 2:2 ვ. ხორგუაშვილი (83)

| ბაია | დილა |
|---|---|
| 4-4-1-1 | 4-4-1-1 |
| სომხიშვილი | შეყრილაძე |
| აფაქიძე | ლომიძე |
| რიგვავა | ქარქუზაშვილი |
| ქვარცხავა | ბაქრაძე |
| აკობია | გველესიანი |
| მგელაძე | ვ. ხორგუაშვილი |
| სიხარულია | ახალკაცი |
| გუგუჩია | ჯოჯუა |
| ტყემალაძე | რაჭამაშვილი |
| წურწუმია | გოგინაშვილი |
| ეხვაია | დ. ჩაგელიშვილი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ე. ქომეთიანი | თ. მახარაძე |

**ბაია**

46. წურწუმია – **ენდელაძე**
73. რიგვავა – **ჟიშკარიანი**
85. გუგუჩია – **შონია**
სათადარიგოები: ჯომიდავა, ვეკუა, პაჭკორია, სამუშია

**დილა**

60. ახალკაცი – **ვ. ხორგუაშვილი**
74. გოგინაშვილი – **ნ. ნოზაძე**
85. რაჭამაშვილი – **მაჭავარიანი**
სათადარიგოები: კეჩხუაშვილი, ქითანავა, სადალაშვილი, ნემსაძე

გაფრთხილება: ახალკაცი (44), ბაქრაძე (71), გუგუჩია (76)
არბიტრი: გ. ვადაჭკორია


ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი ეხვაიამ დუბლი შეასრულა

● ვიტ ჯორჯია



ბურთით გიორგი ჯანელიძე

# გიორგი ჯანელიძე სიონთან დაბრუნდება

„ვიტ ჯორჯიას" 22 წლის შემტევი **გიორგი ჯანელიძე** მოედანს 27 ნოემბერს, „სიონთან" მატჩში დაუბრუნდება. მან ტრავმა 11 ნოემბერს, საქართველო - მოლდოვას ამხანაგური მატჩის დროს მიიღო და მას შემდეგ აღარ უთამაშია.

ჯანელიძემ ორი დღეა, ვარჯიში განაახლა. მის გარეშე „ვიტ ჯორჯიამ" ჯერ მარტვილში წააგო „მერანთან" 0:3, შემდეგ კი მინიმალური სხვაობით დათმო სათასო მატჩი რუსთავში „მეტალურგთან".

შეგახსენებთ, რომ ჯანელიძე მოლდოვის ნაკრებთან შეხვედრაში მოედანზე 86-ე წუთზე გამოჩნდა, პენალტიც მოინადირა, რომელიც **შოთა გრიგალაშვილმა** ვერ გამოიყენა.

**მაგდა კლდიაშვილი**

● ფუტსალი

# უეფამ ბექედი დაჰკრა: მოლდოვა!



როგორც იქნა, უეფას ოფიციალურ ვებგვერდზე ფუტსალის მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ეტაპის განრიგი გამოქვეყნდა, სადაც მე-3 ჯგუფში სლოვენიის, სერბეთისა და ისრაელის ნაკრებთა მეტოქედ მოლდოვაა მოხსენიებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უეფამ საბოლოოდ დააკმაყოფილა ამ ქვეყნის ფუტსალის ასოციაციის პროტესტი და საქართველოს ნაკრებთან მატჩში, რომელიც მოლდოველებმა პენალტების სერიით დათმეს, გამარჯვება მიაკუთვნა.

ეს ისტორია უკვე უამრავჯერ გავიხსენეთ და თავს აღარ შეგაწყენთ. სამწუხაროდ, ამ ამბავმა საქართველოს ნაკრები დააზარალა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოსტალგია... იმპერიული

# მოურჩენელი ვირუსი

**საქართველო რუსულ სიზმარში. საფეხბურთო ვარიანტი: და აი, მოსკოვს კვლავ ეწვივნენ ფეხბურთელები მზიური საქართველოდან. ევრაზიული კავშირის ჩემპიონატის მატჩში დღეს ერთმანეთს ხვდებიან ძველი მეტოქეები, მოსკოვისა და თბილისის დინამოელები...**

**ჟურნალისტი მიხაილ ლეონტიევი რუსული „დერჟავნიკობის“ ცნობილი იდეოლოგია. მას საავტორო ტელეგადაცემა "ოდნოკოც" მიჰყავდა და შემდეგ ამავე სახელწოდების ჟურნალიც გამოსცა.**

**ამ ჟურნალში საბჭოთა კავშირის ევრაზიულ კავშირად აღდგენის პუტინისეულ გეგმას საფეხბურთო კუთხითაც გამოეხმაურნენ.**

**დმიტრი ლეკუხი ჟურნალმა წარადგინა როგორც მეწარმე, ლიტერატორი და ჟურნალისტი. არის რამდენიმე წიგნის ავტორი რუსულ ფანმოძრაობაზე, არცთუ შორეულ წარსულში კი მოსკოვის "სპარტაკის" ფანების ულტრამემარჯვენე ფრთას წარმოადგენდა. მისი წერილი გაჯერებულია სუბიექტივიზმითა და შოვინიზმით, იგრძნობა საფეხბურთო თუ სხვა საკითხების გაუთვალისწინებლობაც, წითელ ხაზად კი "სოიუზის" აღდგენის დაუოკებელი სურვილი გასდევს.**

**ავტორი ქართულ ფეხბურთსაც შეეხო და ამიტომაც გთავაზობთ წერილის ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტებს.**

*სად არის 1982 წლის საბჭოთა ჩემპიონი მინსკის "დინამო", 1973 წლის დუბლის (ჩემპიონობა პლუს თასი) ავტორი ერევნის "არარატი", ალმაატის "კაირატი" ტაშკენტის "პახტაკორთან" ერთად? ან მაშინდელი კერკეტი კაკალი ბაქოს "ნეფთჩი"?*

*და ბოლოს, სადაა მაშინდელი ევროპული მასშტაბითაც გრანდად მიჩნეული შესანიშნავი თბილისის "დინამო", ყველა საბჭოელი გულშემატკივრის გასახარად 1981 წელს ევროპის თასების თასი რომ მოიპოვა?*

*მაშინ ვინ არიან ის "საფეხბურთო ტიპები" და სტრუქტურები, რომლებმაც თუნდაც რაიმე სარგებლობა ნახეს ამ მოულოდნელად მოვარდნილი "ნაციონალური დემოკრატიებით"?*

*პასუხი მარტივია: ფეხბურთი, როგორც "პროცესი", რთული და საინტერესო საფეხბურთო მეურნეობა ევროპულ ვლადიმერ გუცაევის, თენგიზ სულაქველიძისა და ვიტალი დარასელიას გარეშე.*

*იმედია, ნამდვილი "ვარსკვლავი" ჯანო მომავალში მაინც ითამაშებს, მაგრამ ახლა თამაშობს არა ქართულ, არამედ "სპარტაკის" ფეხბურთს, რაც ასწავლეს, ის იცის. "საბჭოთა ბრაზილიელების" შესანიშნავი სკოლა კი, როგორც უწოდებდნენ ქართველ ფეხბურთელებს, სამწუხაროდ, უკვე აღარ არსებობს. ეს, უბრალოდ, ფაქტია.*

*... ახლანდელი კიევის "დინამო რუსეთის პრემიერლიგაში არცთუ საუკეთესო სეზონის ჩამტარებელმა ყაზანის "რუბინმა" ჩემპიონთა ლიგიდან გამოაგდო. გახსოვთ, ეს გუნდი საბჭოთა კავშირის დროს მეორე ლიგაში თამაშობდა, სხვათა შორის, არც ისე წარმატებით.*

*სასწაულები არ ხდება, "რუბინის" წარმატებას ხელი შრომამაც შეუწყო და უფრო ხელსაყრელმა გარემომაც. ყაზა-*



### კიევისა და თბილისის პრინციპულ შეუცვლელობაზე რუსულ ფეხბურთში

*ვფიქრობ, როდესაც ვლადიმირ პუტინი ევრაზიულ კავშირზე წერილს წერდა, რეინტეგრაციის ყველა ასპექტი არ გაითვალისწინა. გასაგებია, რა მეფის საქმეა ყველა წვრილმანის ჩაღრმავება, შესაძლოა, საგაზეთო წერილში ამის ადგილი არც იყო.*

*ის კი, რაზეც მე მსურს მოგახსენოთ, სულ მცირე, ძალიან მნიშვნელოვანია. ასე რომ, ეს მოსაზრებები და წინადადებები უნდა განვიხილოთ როგორც "ქვედა ფენების" ხმა, სულის კივილი.*

*... ვფიქრობ, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის სიკვდილმა მხოლოდ ჩემში არ გამოიწვია გაოგნება – რაში შეგიშალათ ხელი ამ თამაშმა არაპატივსაცემო "ნაციონალ-დემოკრატებო"?*

*ვის შეუშლიდა ხელს დამოუკიდებელი და ევროკავშირის წევრი ლიტვის ლეგენდარული "ჟალგირისის" საბჭოთა პირველობაზე თამაში? მის დონეზე დღეს "ევროპული" ლიტვა ვერც იოცნებებს.*

*რომელი "ეროვნული თვითშეგნებისა" და "ევროპული დემოკრატიზაციის" პროცესებს შეუშლიდა ხელს ძლიერი საფეხბურთო კლუბი? ისე, ეს კლუბი კიდევ არსებობს? ყველაზე სასაცილო ის არის, რომ ახლა ის იურიდიულადაც რომ არსებობდეს, მეეჭვება, თავად ლიტველებს აინტერესებდეთ.*

*შევეშვათ, კარგად იყვნენ ეს ამაყი ბალტიელები. როგორც ჩანს, ახლა მათთვის ფეხბურთზე მნიშვნელოვანი სხვა საკითხებია. ჩვენ ფაქტებზე ვთქვათ: "იმპერიული ჩემპიონატის" დაშლით ვინ მოიგო?*

*დონეზე ოდესღაც დიდი იმპერიის მხოლოდ ორ ნამსხვრევზე შემორჩა, რუსეთის ფედერაციასა და უკრაინაში. ყველა დანარჩენში დაინგრა.*

*და თუ ბელარუსები ზოგჯერ ცოცხლდებიან ხოლმე, პირადად მე ახლა ის უფრო მგონია, რომ საქართველოში ბეისბოლი უფრო პოპულარულია.*

*გულშემატკივართა ახლანდელ თაობას, ვფიქრობ, აღარც ახსოვს, რომ ამ პატარა, მაგრამ ამაყი ქვეყნის ფეხბურთელები ისე თამაშობდნენ, რომ მათი ეშინოდათ არა მხოლოდ კიევსა და მოსკოვში, არამედ გერმანიასა და იტალიაში. ახლა კი ქართველებისთვის თბილისის "დინამოს" კი არა, საბჭოური ლანჩხუთის "გურიასა" და ქუთაისის "ტორპედოს" დონეც მიუღწეველი კოსმოსური სიმაღლეა.*

*რაზე უნდა ვილაპარაკოთ, როდესაც ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდი ვარსკვლავი ჯანო ანანიძე ბრძოლაში მიუძღვის არა რომელიმე ქართულ გუნდს, არამედ მოსკოვის "სპარტაკის" დუბლშემადგენლობაშია. სხვათა შორის, მისი სამშობლოში იჯარით გაშვებაც აზრად არავის მოსდის, ბიჭი რატომ გავაფუჭოთო.*

*ფეხბურთის სპეციალისტთა უმრავლესობა გაოცებულია იმითაც, რატომ აირჩია ჯანომ "ქართული საფეხბურთო მოქალაქეობა", ნათესავებმა ხომ ამ რჩევით ბავშვს კარიერა აურიეს – სავსებით ნათელია, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს ნაკრებს თეორიულ დონეზეც არ აქვს პერსპექტივა.*

*ეს იმ დროს, როდესაც "დემოკრატიის გამარჯვებამდე", "წყეულ" 80-იან წლებში, იმ დროისთვის ძლიერი საბჭოთა ნაკრები წარმოუდგენელი იყო ალექსანდრე ჩივაძის, რამაზ შენგელიას, დავით ყიფიანის,*

*ნელები რუსეთის ჩემპიონატში ხვდებიან არა მხოლოდ "ზენიტს", არამედ "სპარტაკს", ცსკა-ს, "დინამოს", "ლოკომოტივს", საჩუქარი არც ეტოოს, რობერტო კარლოსისა და ჟირკოვის "ანჟია".*

*საბჭოთა კავშირის სხვა არც ერთი ყოფილი ქვეყნის ჩემპიონატში ორ-სამ ძლიერ გუნდზე მეტი არ არის და ამ ორმა-სამმა ვისთან უნდა ითამაშოს, მხოლოდ ერთმანეთთან?*

*კიევისა და მოსკოვის დაპირისპირება პეტერბურგისა და მოსკოვის დაპირისპირებამ შეგვიცვალა, რუსეთის სამხრეთში გამოჩნდნენ ხალისიანი, კაშკაშა გუნდები – თბილისის "დინამოს" ნიშას თამამი "ანჟი" იკავებს, მებრძოლი "ჟალგირისი" კი "რუბინმა" შეცვალა.*

*მაგრამ, გენიშნათ, რუსეთის დღევანდელი გრანდების ბრძოლასაც "იმ დროის" დაპირისპირებებს ვადარებთ, ახლანდელ სიუჟეტებს - მაშინდელს.*

*მაგრამ, ამ ყველაფრის შემდეგ ჩვენ, მოსკოველი, პიტერელი, ყაზანელი გულშემატკივრები უფრო ბედნიერები ვართ იმის გამო, რომ მსოფლიოს ვერასოდეს ველარ ვაჩვენებთ დავით ყიფიანს, ხორენ ოგანესიანს, ედუარდ მალოფეევს, ოლეგ ბლოხინს? უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ იაშინები, სტრელცოვები და ჩერენკოვები სწორედ მათთან დაპირისპირებაში იზრდებოდნენ.*

*და თუ ჰოკეის მმართველებმა მოიფიქრეს ინტეგრაციული ფორმატი და რიგის "დინამო" გაგვიცოცხლეს, რატომ არ შეიძლება, ასეთივე პროექტი ფეხბურთშიც განხორციელდეს? ახლა ხომ საბაბიც გვაქვს, რადგან "უფროსმა ბრძანა".*

მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ბაია



ირაკლი ქობალია (მარცხნივ)

# ქობალია ისევ ლაზარეთშია

"ბაიას" შემტევი პოტენციალი საგრძნობლად შეასუსტა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდის, **ირაკლი ქობალიას** ტრავმამ. 19 წლის ქობალიამ უკვე გამოტოვა ჩემპიონატის რამდენიმე მატჩი, რისი მიზეზიც მუხლის ტრავმაა.

მართალია, არ გამართლდა შიში და ქობალიას იოგები არ დაუზიანებია, მაგრამ ჯერჯერობით, ვარჯიშს მაინც ვერ ახერხებს, რადგან ნემსები აქვს დანიშნული. თუმცა ჯერ კიდევ არის იმის შანსი, რომ იგი მოედანს ახალ წლამდე დაუბრუნდეს.

*"ქობალია ჩვენი გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელი და დიდი დანაკლისია, მაგრამ რისკი და მისი ნაადრევად დაბრუნება გაუმართლებელი იქნებოდა. ვიმედოვნებთ, იგი მალე მომჯობინდება და "ბაიასთვის" კვლავაც უაღრესად საჭირო ფიგურა იქნება"*, - გვითხრა ზუგდიდური კლუბის მთავარმა მწვრთნელმა **ელგუჯა ქომეთიანმა**.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი

# ლაშა ჯაკობიას ძნელი გზასავალი და გამოსავალი: ითამაშე!

31 წლის **ლაშა ჯაკობია**, შესაძლოა, მალე უჟგოროდის "ზაკარპატიადან" ხარკოვის "მეტალისტში" დაბრუნდეს. ეს ინფორმაცია თავად ფეხბურთელმა დაგვიდასტურა.

ლაშას კარიერაში ორჯერ ჰქონდა უმძიმესი პერიოდი, როდესაც ფეხბურთიდან "გააცილეს", მაგრამ შეძლო და ორჯერვე ნულიდან დაიწყო.

პირველად ეს ბელგიაში იყო, როდესაც ტრავმებით გაწამებულმა "აალსტში" 2000-01 წლებში მხოლოდ სამჯერ ითამაშა. 2003 წელს "დინამოსა" და "თბილისში" სუსტი თამაშის შემდეგ მასზე ხელი ჩაიქნიეს, მაგრამ ბერძნულ "იანინაში" ფორმა დაიბრუნა, კიევის "არსენალსა" და ხარკოვის "მეტალისტში" კი "მეორე სუნთქვა" გაეხსნა და ამ უკანასკნელში კაპიტნობაც დაიმსახურა. შემდეგ ეროვნულ ნაკრებში 14 მატჩიც ჩაატარა.

მეორე „ვარდნა“ 2009 წელზე მოდის, როდესაც დოპინგ-ტესტისას „ჩაიჭრა“. ფორმის აღდგენა ისევ საქართველოში (ცხინვალის "სპარტაკში") სცადა, მაგრამ ამჯერადაც წარუმატებლად - ძველი ჯაკობიას აჩრდილიღა იყო.

ისევ უკრაინაში მოფერიანდა - წლეულს, აგვისტოში, უჟგოროდის "ზაკარპატიაში" ჩაირიცხა და ეს მისი ბოლო შანსი იყო.

*"დეპრესიის, ორწლიანი ჩავარდნისა და უფორმობის დაძლევა ადვილი არ ყოფილა. მაგრამ ოჯახი, მეგობრები გვერდში დამიდგნენ და ღმერთმა არ გამწირა, უკრაინაში ბოლო შანსი მომეცა. თავს ძალიან დავაძალე, მიჭირდა, მაგრამ ბევრი ვიშრომე და ვიგრძენი, რომ თამაში ისევ შემეძლო.*

*მერე ყველაფერი კარგად აეწყო. მართალია, თავიდან ოთხი შეხვედრა გამოვტოვე, მერე შეცვლებზე მათამაშებდნენ, მაგრამ ბოლოს ფორმა აღვიდგინე და 17 მატჩში 7 გოლი გავიტანე, როდესაც პირველი ლიგის სამივე ბომბარდირმა 10-10 გოლი გაიტანა და ჩემზე ბევრად მეტი ითამაშა"* - ამბობს ჯაკობია.

ქართველი ფორვარდის თქმით, "ზაკარპატიას" უკრაინის პრემიერლიგაში დაბრუნების შესანიშნავი შანსი აქვს: *"მიმაჩნია, რომ, ფაქტობრივად, გადასულებიც ვართ. ევროპის ჩემპიონატის უკრაინაში გამართვის გამო მიმდინარე ჩემპიონატი აპრილში უნდა დასრულდეს. ამიტომ 36-დან 21 ტური უკვე ჩატარდა, უახლოეს მდევარს შვიდი ქულით ვუსწრებთ და, რაც მთავარია, კონკურენტებზე ძლიერი გუნდი გვყავს".*

ბოლოს კი ისევ იმაზე, რითაც დავიწყეთ: *"ბოლო ოთხ ტურში ოთხჯერ გავიტანე, ხარკოვში "ჰელიოსთან" მატჩს ხარკოვის "მეტალისტის" მთავარი მწვრთნელი მირონ მარკევიჩი დაესწრო. დიდ ფეხბურთში მის ხელში დავბრუნდი, "მეტალისტში" კაპიტნად დამნიშნა და "არსენალიდან" წამოსვლის შემდეგაც მეხმიანებოდა, როდესაც არსად ვთამაშობდი. ის ჩემით კვლავაც ინტერესდებოდა და მის ქალაქში თამაში რომ გვქონდა, ჩემზე დასაკვირვებლად მოვიდა. მეორე დღეს კი საქმიანად დამელაპარაკა, მსურს, "მეტალისტში" დაბრუნდეო.*



ლაშა ჯაკობია

საფრანგეთიდან ჩემი მენეჯერი სერგო ქუთათელაძე ჩამოვიდა და მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია. აქ ლაპარაკი არ არის პირობებზე, "შახტარისა" და კიევის "დინამოს" შემდეგ "მეტალისტი" უკრაინის ყველაზე სოლიდური კლუბია და ჩემთვის ლამის მშობლიური გახდა. მაგრამ "ზაკარპატიასთან" კონტრაქტი მხოლოდ წელიწადნახევრის შემდეგ მიმთავრდება, კლუბის პრეზიდენტი კი არ მიშვებს და დარჩენის ხალისი რომ მქონდეს, გაუმჯობესებულ კონტრაქტს მთავაზობს. მისი, ცხადია, მადლიერი ვარ, შანსი მომცა, მაგრამ მაინც ხარკოვში დაბრუნება მსურს".

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მანჩესტერ იუნაიტედი

# თუ შიშია, იუნაიტედის ეშინოდეთ



ფილ ჯონსი

„მანჩესტერ იუნაიტედის" 19 წლის ვარსკვლავი, **ფილ ჯონსი** თავისი შეცდომის გამოსწორებას ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე დარჩენილ ბოლო შეხვედრაში აპირებს — 7 დეკემბერს ინგლისის ჩემპიონი შვეიცარიაში მიდის „ბაზელთან" სათამაშოდ. რაც შეეხება შეცდომას: სამშაბათს, „ოლდ ტრეფორდზე", „ბენფიკასთან" შეხვედრის მე-3 წუთზე ჯონსმა ბურთს ფეხი სწორად ვერ დაახვედრა და გოლი საკუთარ კარში გაიტანა. საბოლოოდ, მატჩი 2:2 დასრულდა, რაც იმას ნიშნავს, რომ სერ **ალექს ფერგიუსონის** ბიჭებს ბოლო ტურში სულ მცირე ფრე სჭირდებათ. ერთი შეხედვით, ეს მიუღწეველი ამოცანა არ არის, მაგრამ მოგების შემთხვევაში სულ სხვა იქნებოდა. ახლა, გამწარებული თინეიჯერი მოუთმენლად ელის, როდის გავა ორი კვირა, თუმცა, მანამდე ავტოგოლს იხსენებს:

„მოწინააღმდეგემ გამჭოლი პასი ჩამოაწოდა, მეც ინსტინქტურად გავწიე ფეხი და დავინახე, რომ ბურთი კარში შევარდა. რაღა უნდა მექნა? ასეთი რაღაცები ხდება ხოლმე. მე კი არა, დიდ ვარსკვლავებს შემთხვევიათ. ჩემ გამო ჩვენი გუნდის კარში გოლი გავიდა, მორჩა და გათავდა. მეტს ველარაფერს ვიტყვი. გული დამწყდა, მაგრამ ამ გრძნობას რამენაირად უნდა გავუმკლავდე.

სხვა მხრივ, უდად არ გვითამაშია, მაგრამ „ბენფიკასთან" შეხვედრაში ნათლად დავინახე, რომ ჩემპიონთა ლიგაში წამითაც არ უნდა მოდუნდე. კონცენტრაციას წამით დაკარგავ და დაისჯები. სამშაბათის შეხვედრაში მოწინააღმდეგეს ორი გოლი გავატანინეთ და თავადაც ვერ გავიტანეთ ორზე მეტი. არადა, ხუთის გატანა მაინც შეგვეძლო".

რა შეიძლება მოხდეს ბოლო ტურში? იმ შემთხვევაში, თუ „იუნაიტედი" მოიგებს („ბენფიკა" კი „ოცელულთან" ვერ გაიმარჯვებს), ინგლისელები შესაძლოა ცხრილის სათავეშიც კი მოექცნენ, მაგრამ „ბაზელის" დამარცხება იოლი რომ არ არის, მანჩესტერელებმა საკუთარ თავზე გამოსცადეს. ეს 27 სექტემბერს „ოლდ ტრეფორდზე" მოხდა, როდესაც მასპინძლები თავიდან 2:0-ს იგებდნენ, მაგრამ შვეიცარიელმა სტუმრებმა სამი გოლის გატანა მოახერხეს და ბოლოს **ეშლი იანგს** რომ არ ეყოჩაღა, დამარცხდებოდნენ. ჯონსი მსჯელობას განაგრძობს:

„ჩემპიონთა ლიგაში ჩვენთან ერთად ის გუნდები თამაშობენ, რომლებიც იქ მოხვედრას იმსახურებდნენ, ასე რომ, იქ სუსტი და ხელწამოსაკრავი არავინ არის. სხვა საქმეა, რომ ჩვენ ძალიან მაღალი დონის შემსრულებლები გვყავს და ბაზელიდან სამი ქულის წამოღება შეგვიძლია. მთავარია, იმ შეხვედრისთვის სწორად მოვემზადოთ".

ჯონსს 27 წლის თანაგუნდელი, ნახევარმცველი **დარენ ფლეტჩერიც** ეთანხმება. ისიც იმ აზრისაა, რომ ბაზელიდან იოლად არავინ არაფერს გამოგატანს, თუმცა საკუთარი გუნდის ძლიერებაში ეჭვი არ ეპარება. ფლეტჩერი ამბობს:

„ძალიან გვინდა ჯგუფში პირველი ადგილი დავიკავოთ და კიდევ უფრო მეტად გვინდოდა ეს ბოლო ტურამდე გაგვეკეთებინა, მაგრამ ახლა ამას ველარაფერს ვუშველით. დღეს, წუწუნისა და იმაზე ფიქრის დრო, რა მოხდებოდა ასე კი არა, ისე რომ მომხდარიყო, არ გვაქვს. ახლა მთავარია პრობლემას ადეკვატური პასუხი გავცეთ და ბოლო ტურში ჩვენთვის საჭირო ერთადერთ შედეგს მივაღწიოთ.

ფაქტია, ბაზელში რთული მატჩი გველის. მეტოქე შემოგვიტევს და სახიფათო მომენტებსაც შექმნის ჩვენს კართან, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენი უნდა გავაკეთოთ".

ჯონსის მიერ საკუთარ კარში გოლის შეგდება იშვიათი ფეხის დაცდენა იყო. ეს ფეხბურთელი ხომ დაცვაში თუ ნახევარდაცვაში შთაბეჭდილებას ყოველთვის, სწორედ უშეცდომობით და ბრძოლისუნარიანობით აღწევს. „ბლექბერნის" ყოფილმა ფეხბურთელმა ძალიან სწრაფად გადაინაცვლა „როვერსის" სარეზერვოდან მთავარ გუნდში, შემდეგ „იუნაიტედში" და ბოლოს ინგლისის ნაკრებშიც აიყვანეს. მისმა თამაშმა ინგლისელთა ეროვნული გუნდის მწვრთნელ **ფაბიო კაპელოს** დიდი იტალიელი მცველი **ფრანკო ბარეზი** გაახსენა. ჯონსმა თქვა:

„წარსულის დიდ ვარსკვლავებს რომ გადარებენ ყოველთვის ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ ჩემზე ქება ცუდად არ მოქმედებს. მე კვლავ თავჩახრილი ადამიანი ვარ, რომელიც ვარჯიშებზე ყველა ღონეს ხმარობს რათა მეტი ისწავლოს და უკეთესი ფეხბურთელი გახდეს. დიდი იმედი მაქვს, რომ თუ კარიერას „მანჩესტერ იუნაიტედში" გავაგრძელებ, ინგლისის ნაკრების მუდმივი წევრი გავხდები. ამიტომაც გადმოვედი „იუნაიტედში" — ნაკრებსა და ჩემპიონთა ლიგაში თამაში მინდოდა. მანჩესტერელები ყოველ სეზონში ახლოს არიან ლიგაში გამარჯვებასთან და იმედი მაქვს, რომ მომავალშიც ასე გაგრძელდება".

იმ შემთხვევაში თუ „იუნაიტედი" ჯგუფში პირველ ადგილს ვერ მოიპოვებს, მას პლეიოფის პირველ ეტაპზევე ემუქრება ძლიერ მეტოქეებთან შეხვედრა. არ არის გამორიცხული, კენჭისყრამ ისეთი მოწინააღმდეგეები არგუნოს, როგორებიცაა „რეალი", „ბარსელონა" ან „ბაიერნი". თუმცა მედალს მეორე მხარეც აქვს და როდესაც ფლეტჩერი ყურადღებას ამაზე ამახვილებს, მართალია: განა ამ გუნდებს გაუხარდებათ პლეიოფის პირველსავე ეტაპზე „მანჩესტერ იუნაიტედთან" შეხვედრა?

„რასაკვირველია, ადრეულ ეტაპზე რომელიმე დიდ გუნდთან „დაჯახებაში" სასიამოვნო არაფერია, მაგრამ არ მჯერა, რომ რომელიმე დიდმა გუნდმა თქვას, რა კარგია „მანჩესტერ იუნაიტედი" შეგვხვდაო. ბოლოს და ბოლოს, ვინც გინდა შეგვხვდეს, ჩვენ საკუთარი შესაძლებლობებისა გვწამს. ჩვენ ყველა ეტაპზე ერთადერთი მიზანი გვაქვს — გამარჯვება".

● მანჩესტერ სიტი




# ისტლენდელების მკრთალი ოცნება

მიუხედავად იმისა, რომ „მანჩესტერ სიტი" ჩემპიონთა ლიგას, ალბათ, ჯგუფური ეტაპის დასრულებასთან ერთად დატოვებს, ბელგიელი მცველი, 25 წლის **ვენსან კომპანი** ამბობს, რომ მისი გუნდი ხელმოცარულთა რიგებს არ უნდა მივაკუთვნოთ. ფეხბურთელი ამბობს, რომ „სიტი" ჯერ კიდევ იტყვის ევროტურნირებზე თავის რიხიან სიტყვას და არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ამას მიმდინარე სეზონშივე მოახერხებს. იმაში, რომ აგვისტოში ჩატარებულმა კენჭისყრამ ისტლენდელები ეგრეთ წოდებულ სიკვდილის ჯგუფში მოახვედრა, კომპანი მართალია. ბელგიელი ასეთ შედარებას აკეთებს: რაღა „ბაიერნთან", „ვილიარელთან" და „ნაპოლისთან" გითამაშია და რაღა პრემიერლიგის წამყვან გუნდებთანო. კერძოდ, „ჰამბურგის" ყოფილი წევრი ამბობს:

„ჩვენ ჩემპიონთა ლიგის ყველაზე ძლიერ ჯგუფში მოგვიწია თამაშმა. კენჭისყრის დროს მესამე კალათაში ვიყავით და „სიკვდილის ჯგუფი" ასე თუ ისე ვერ აგვცდებოდა. წარმოიდგინეთ, მთელი შემოდგომის განმავლობაში ხან ესპანეთის სამეულის გუნდს ვხვდებოდით, ხან გერმანიისას და ხან იტალიისას. ვფიქრობ, ევროპაში ოთხი ყველაზე ძლიერი ჩემპიონატია და ოთხივეს ერთ-ერთმა საუკეთესო წარმომადგენელმა ერთად მოიყარა თავი. ეს იგივეა, ყოველ სამშაბათ-ოთხშაბათს „ლივერპულს", „ჩელსის" ან „არსენალს" რომ ეთამაშო. იქნებ მომავალ სეზონში ბედმა გაგვიღიმოს და ასეთ საშინელ ჯგუფში აღარ გვიკრას თავი".

ახლა, მოდი ის ვიანგარიშოთ, აქვს თუ არა „სიტის" ლიგის პლეი ოფში მოხვედრის შანსი. თეორიულად ეს შესაძლებელია, ოღონდ ამისათვის საჭიროა ისტლენდელებმა „გაქცეულ" ლიდერ „ბაიერნს" მოუგონ, ხოლო „ვილიარეალმა" შინ „ნაპოლის" არ მოაგებინონ. თუმცა, „სიტის" ფანები მესამე ადგილზე გასვლასა და ევროლიგაში გადაბარგების ვარიანტსაც განიხილავენ.

რაც შეეხება კომპანის, ის ევროლიგაში გადასვლაზე ლაპარაკს არ ჩქარობს და ამბობს, რომ ჯერ ჩემპიონთა ლიგაში უნდა მოისინჯოს ყველაფერი. განა გამორიცხულია, რომ „სიტი" ჯგუფიდან გაძვრეს და ამ სეზონშივე თქვას თავისი სიტყვა დიდ ევროპულ სარბიელზე?

„ჩემპიონთა ლიგა ჩვენთვის მაინც არ დამთავრებულა. ჯერ ბოლო შეხვედრა გვაქვს ჩასატარებელი, რომელშიც უნდა გავიმარჯვოთ და იმედით ველოდოთ ცნობებს ვილიარეალიდან. თუ ამ საქმიდან არაფერი გამოვა, მაშინ რა გაეწყობა, ტიტული ტიტულია, ევროლიგაზე გადავინაცვლებთ და იქ შევეცდებით გამარჯვებას. თუმცა, ვიმეორებ, უპირველეს ყოვლისა ჩემპიონთა ლიგაში უნდა ვცადოთ ჩვენი ბედი".

კომპანის თანაგუნდელი, 25 წლის **ჯეიმს მილნერი** კი ამბობს, რომ ყველაფერზე მნიშვნელოვანია ისტლენდელებმა მომავალ შეხვედრებში არ გაიმეორონ ის შეცდომები, რომლებიც სამშაბათს, ნეაპოლის „სან პაოლოზე" დაუშვეს. საქმე ის გახლავთ, რომ პრემიერლიგის ლიდერებს ინგლისის ჩემპიონატში ურთულესი თამაშები ელით. მომდევნო ოთხ კვირაში **რობერტო მანჩინის** გუნდი უნდა შეხვდეს „ლივერპულს", „ჩელსისა" და „არსენალს". გარდა ამისა, „სიტის" „ქარლინგის თასის" მეოთხედფინალში „არსენალთან" აქვს ურთიერთობა გასარკვევი. რაც შეეხება უახლოეს შეხვედრას, ის მანჩესტერელებს კვირას, საქართველოს დროით საღამოს 8 საათზე ლივერპულში, „ენფილდ როუდზე" ელით.

მილნერმა თქვა: „ჩვენს გუნდში ფსიქოლოგიურად ძლიერი ადამიანები თამაშობენ. რას იზამ, იმედგაცრუება რაგინდ დიდი იყოს, იმისთვისაა, რომ დაძლიო და დასკვნები გამოიტანო. მართალია, ნეაპოლში გულდასაწყვეტი მარცხი ვიწვნიეთ, მაგრამ ახლა თავს ხელში ავიყვანთ და კვირას, „ლივერპულს" მთელი ძალ-ღონით ვეთამაშებით".

აღსანიშნავია, რომ „ბაიერნის" პრეზიდენტმა, **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** ამთავითვე შეუთვალა „მანჩესტერ სიტის", რომ ორი კვირის შემდეგ, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო შეხვედრაში, მიუხედავად იმისა, რომ მის გუნდს აღარაფერი სჭირდება, არაფერს დათმობს:

„ჩვენ მანჩესტერშიც გამარჯვებას შევეცდებით" — თქვა მან.

● სავარაუდო ტრანსფერი

# შანხაი სერიოზულად ემზადება

ჩინური კლუბი „შანხაი შენხუა" აცხადებს, რომ სერიოზულად აქვს გადაწყვეტილი დაუკავშირდეს „ჩელსის", რათა მისგან 32 წლის ფრანგი თავდამსხმელი, **ნიკოლა ანელკა** იყიდოს. ადრეც გვიხსენებია, რომ ზაფხულზე ანელკას დასავლეთლონდონელებთან კონტრაქტის ვადა ეწურება და თავისუფალი აგენტი ხდება, ასე რომ, თუ პრემიერლიგის კლუბს ფულის შოვა უნდა, ფრანგი იანვარშივე უნდა გაყიდოს. საკუთრივ „სტემფორდ ბრიჯზე" ანელკას პერსპექტივა არ აქვს. ახალი მწვრთნელი, **ანდრე ვილაშ-ბოაში** სხვა ფეხბურთელებს ენდობა, ანელკა კი ოთხშაბათს, ჩემპიონთა ლიგაში, „ლევერკუზენთან" სათამაშოდ გერმანიაში არც კი წაიყვანა.

კაცმა რომ თქვას, ფრანგი ფორვარდი უკვე ასაკშია და შორს არ არის ის დღე, როდესაც თამაშს თავს დაანებებს, მაგრამ მანამდე ერთი დიდხელფასიანი სამსახურის მოსწრება კიდევ უნდა. „შანხაი შენხუას" პრესმდივანმა განაცხადა:

„ჩვენ ანელკას გარემოცვას დავუკავშირდით, მაგრამ მათგან ჯერ პასუხი არ მიგვიღია. მდგომარეობა რთულია, რადგან ფეხბურთელი ზაფხულში თავისუფალი აგენტი გახდება და მის გადაბირებას უამრავი კლუბი შეეცდება. ცხადია, ანელკას გადაყვანა დიდ ხარჯთან იქნება დაკავშირებული".

ცნობილია, რომ ზაფხულზე ანელკას მოხიბვლას რუსული „ანჟი" და იტალიური „მილანიც" შეეცდებიან.



ნიკოლა ანელკა

● ვეტერანი

# სიბერე დაბრედილია

40 წლის ამერიკელი მეკარე, **ბრედ ფრიდელი** „ტოტენჰემ ჰოთსპურთან" კონტრაქტის დასრულების შემდეგაც აპირებს კარიერის გაგრძელებას — მოედანი არ ეთმობა. ჯერჯერობით ფრიდელს ხელშეკრულების თანახმად კიდევ ერთი სეზონი აქვს სათამაშო.

ფრიდელმა თქვა: „თუ მეკარე სერიოზულ ტრავმას გადაურჩება და იმავდროულად კარიერის გაგრძელება მტკიცედ ექნება გადაწყვეტილი, სხვა ამპლუის ფეხბურთელებზე მეტ ხანს შეძლებს თამაშს".

საინტერესოა, რომ ფრიდელმა პრემიერაში ბოლო 277 შეხვედრა ზედიზედ ჩაატარა, ხოლო მათგან ბოლო ცხრაში გოლი არ გაუშვია.

„ჩემი ორგანიზმი გაცილებით ჯანსაღია, ვიდრე ზოგადად 40 წლის კაცის ორგანიზმი უნდა იყოს. ერთხელაც არ გამიღვიძია დილით იმ ფიქრით, რომ უკვე ორმოცის ვარ და ვარჯიშზე წასვლა მეზარება".


ბრედ ფრიდელი

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

● ტრავმები

# მარსელო დერბისთვის მოშუშდა


მარსელო ნაკრებსაც აკლდა და კლუბსაც

გუშინ გუნდთან ერთად ივარჯიშა „რეალის" ბრაზილიელმა მარცხენა მცველმა **მარსელომ**. 23 წლის მარსელო, შესაძლოა, „სამეფო კლუბს" მომდევნო ტურშიც კი დაეხმაროს. ბრაზილიელს ბოლო სამი კვირა გაუცდა კუნთის გაწყვეტის გამო. „რეალის" ოფიციალური საიტის ცნობით, **ჟოზე მოურინიომ** ის ფეხბურთელები, რომელთაც ზაგრების „დინამოს" რბევაში მიიღეს მონაწილეობა, მსუბუქად დატვირთა. ჩემპიონატის ლიდერს შაბათს სერიოზული გამოცდა ელის - „სანტიაგო ბერნაბეუზე" მადრიდული დერბი იქნება, „რეალს" „ატლეტიკო" სტუმრობს.

ტურის ცენტრალური მატჩისთვის სერიოზულად ემზადება „ატლეტიკო", რომელიც **გრეგორიო მანსანოს** თავკაცობით, ცხრილის შუაში ჩაიკარგა. აი, რას ამბობს მომავალი მატჩის შესახებ 28 წლის ნახევარმცველი **გაბი**, რომელიც ამ ზაფხულს მადრიდში „სარაგოსადან" გადავიდა: *„ძალიან კარგი შანსი გვაქვს ბოლო დროს დამკვიდრებული უსიამოვნო ტრადიცია, რომლის მიხედვითაც „სანტიაგო ბერნაბეუზე" არ გვიმართლებს, დავამხოთ. მოედანზე მხოლოდ მოსაგებად გავალთ. ეს სწორედ ის შეხვედრაა, სადაც უნდა დავამტკიცოთ, რომ კარგი გუნდი ვართ, სერიოზული მიზნებისთვის მებრძოლი. ძალიან მინდა, თამაშის შემდეგ ჩვენი ფანების ტრიბუნასთან მივიდე და საზეიმოდ მქონდეს საქმე"*, - განაცხადა გაბიმ.

გაბიმ კოლუმბიელი ფორვარდის, **რადამელ ფალკაოს** შესახებაც ისაუბრა. მოგეხსენებათ, ფალკაო ტრავმირებულია, მაგრამ ექსპორტუელი ამტკიცებს, რომ თუკი შანსი ექნება, აუცილებლად ითამაშებს: *„ფალკაო ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი ფეხბურთელია, თუმცა ჯობს მოიცადოს, ვიდრე გაუფრთხილებლობით კიდევ უფრო გაიუარესოს ტრავმა. ისე, დარწმუნებული ვარ, რომ ნამდვილი მებრძოლია და აუცილებლად ითამაშებს, თუკი ამის შანსი ექნება"*, - თქვა გაბიმ პრესკონფერენციაზე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ბაპტიშტას ხოაკინი მიემატა

**მანუელ პელეგრინის** „მალაგას" სამი კვირით გამოაკლდა 30 წლის გარემარბი **ხოაკინ სანჩესი**. ამის შესახებ ანდალუსიელთა ოფიციალური საიტი იუწყება. ხოაკინმა ორშაბათს „რასინგთან" 3:1 მოგებულ მატჩშიც ვერ მიიღო მონაწილეობა, ის არც ვარჯიშებზე ჩანდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ექსვალენსიელი გამოტოვებს „ვილიარეალთან" და „რეალ სოსიედადთან" მატჩებს გამოტოვებს. ხოაკინს აქვს შანსი „ოსასუნასთან" შეხვედრისთვის გამოჯანმრთელდეს, რომელიც 11 დეკემბერს გაიმართება.

მეხუთეადგილოსან „მალაგას" თან სდევს საკადრო პრობლემები, დიდი ხანია ვერ თამაშობს ბრაზილიელი **ჟულიო ბაპტიშტა**, ექიმების მტკიცებით, ბაპტიშტა, რომელიც შარშან ასე კარგად მოერგო ანდალუსიურ კლუბს და მისი შეტევების ლიდერადაც იქცა, კიდევ 4 კვირას იუქმებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ხოაკინ სანჩესი

# ვილიარეალს ქვა აღმართში მიეწია


ხოსე კატალა

პრიმერა დივიზიონის არც ერთ კლუბს არა აქვს ამდენი საკადრო პრობლემა, რამდენიც **ხუან კარლოს გარიდოს** „ვილიარეალს". ვალენსიური კლუბის ლაზარეთი გადავსებულია, სადაც გუნდის ორივე დამრტყმელი ძალა, ბრაზილიელი **ნილმარი** და იტალიელი **ჯუზეპე როსი** კარგა ხნით იმყოფებიან. და აი, კიდევ ერთი დანაკარგი - მარცხენა მცველი **ხოსე მანუელ კატალა** წლეულს ველარ ითამაშებს. ორშაბათის ვარჯიშზე კატალამ კუნთი ჩაიხია და ექიმებმა 6 კვირით დასვენება გამოუწერეს. ზემოთ ჩამოთვლილთა გარდა, „ვილიარეალს" აკლია: **კამუნიასი, ხერარდი, საპატა** და **კანი**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ბასკებმა ლიდერი დაკარგეს

ტრავმა მიიღო „რეალ სოსიედადის" ნახევარდაცვის ლიდერმა **ჩაბი პრიეტომ**. პრიეტოს მარჯვენა ფეხის კუნთი სერიოზულად დაუზიანებია. ბასკური კლუბის ვებ-საიტი ირწმუნება, რომ ფეხბურთელს მოსარჩენად ფიზიოთერაპიის კურსიც ეყოფა და ოპერაცია არ დასჭირდება, თუმცა არ ზუსტდება, როდის დაუბრუნდება მოედანს ჩაბი პრიეტო, ითამაშებს თუ არა ის უახლოეს მატჩში „ბეტისის" წინააღმდეგ. ორ დღეში მონტანიემ ორი შეგირდი დაკარგა ტრავმების გამო, მანამდე **ილარამენდიმ** მუხლი დაიზიანა და კლუბის ლაზარეთში გადაინაცვლა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● კონტრაქტი

# დოს სანტოსი დარჩა

„ბარსელონას" 21 წლის მექსიკელმა ნახევარმცველმა **ჯონათან დოს სანტოსმა** კლუბთან ხელშეკრულება 2015 წლის ზაფხულამდე გააფორმა. ახლა მისი გამოსყიდვის მსურველმა კლუბმა კატალონიელებს 30 მილიონი ევრო უნდა გადაუხადოს. დოს სანტოსი „ბარსაშია" „ინფანტი ბ" გუნდიდან მოყოლებულია და ახლა სარეზერვო გუნდის ერთ-ერთი ლიდერია. სულ მალე მას ალბათ პირველ გუნდშიც ვიხილავთ. ხოსეპ გვარდიოლა მას ხანდახან ათამაშებს კიდევაც ძირითად გუნდში, თუნდაც ოთხშაბათის მილანური ჯახი გავიხსენოთ, ასეთ მნიშვნელოვან თამაშში ჯონათანი მეორე ტაიმის მიწურულს ჩაერთო. შეგახსენებთ, რომ ჯონათანი **ჯოვანი დოს სანტოსის** უმცროსი ძმაა, რომელსაც ასევე უთამაშია „ბარსელონაში".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ჯონათან დოს სანტოსი

● პუშკაშის პრიზი


ლეო მესის გოლი არსენალის კარში

# საუკეთესო 10 გოლი

**ლიონელ მესის** მიერ ჩემპიონთა ლიგაზე, ლონდონის „არსენალის" კარში გატანილი წლის ათ საუკეთესო გოლთა შორის მოხვდა, რომელთაგანაც ფიფას ოფიციალური საიტის მკითხველები საუკეთესოს აირჩევენ. გამარჯვებულს კი პუშკაშის სახელობის ტროფეი გადაეცემა. საიტზე ხმის მიცემის პროცედურა უკვე დაიწყო და 5 დეკემბრამდე გაგრძელდება. ამის შემდეგ სამი საუკეთესო გოლი დარჩება და თავიდან დაიწყება გამოკითხვა. გამარჯვებულის ვინაობა კი 2012 წლის 9 იანვარს ფიფას გალა-კონცერტზე გამოცხადდება.

მესის კონკურენტები არიან: **ბენიამინ დე სეულაერი, ჯოვანი დოს სანტოსი, ხულიო გომესი, ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ლისანდრო ლოპესი, ნეიმარი, ჰიზერ ორაილი, უეინ რუნი, დეიან სტანკოვიჩი.**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● სავარაუდო ტრანსფერი


გარეთ ბეილი ბარსას სურს, მაგრამ...

# ბეილი ბარსამ დაზვერა

ინგლისური „დეილი მეილი" ირწმუნება, რომ „უაით ჰართ ლეინზე", „ტოტენჰემისა" და „ასტონ ვილას" შეხვედრას „ბარსელონას" სკაუტები დაესწრნენ. ეს კიდევ უფრო აძლიერებს ეჭვს, რომ უელსელის შეძენა მართლაც სურს ესპანურ გრანდს. ის თამაში ლონდონელებმა 2:0 მოიგეს და მე-3 ადგილზე აინაცვლეს. 22 წლის მარცხენა ფლანგელს „ტოტენჰემმა" ფასი უკვე დაადო - 45 მილიონი ფუნტი ანუ 52 მილიონი ევრო. ამ ამპლუის ფეხბურთელისთვის უზარმაზარი თანხაა, თუმცა ბეილიც ძალიან ნიჭიერია. ამას წინათ „ბარსას" პრეზიდენტმა სანდრო როსელმა განაცხადა, რომ ბეილი კი საინტერესო ფეხბურთელია, მაგრამ მასში ასტრონომიული თანხის გადახდას არ აპირებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ვსჟ

# როგორც იქნა: ლეონარდომ ბექჰემი დაადასტურა

"პარი სენ-ჟერმენის" სპორტულმა დირექტორმა **ლეონარდომ** როგორც იქნა დაადასტურა, რომ კლუბმა 36 წლის **დევიდ ბექჰემთან** ოფიციალური მოლაპარაკების პირველი რაუნდი გამართა. ბრაზილიელმა ფუნქციონერმა განაცხადა, რომ მათ ფეხბურთელსა და მის აგენტს უკვე გადასცეს კონტრაქტის ასლი და ახლა ისინი მას გულდასმით შეისწავლიან. "უკვე კარგია, რომ ისინი ჩვენს წინადადებას სწავლობენ. დარწმუნებული ვარ მას ჩვენი გუნდისთვის უზარმაზარი დახმარების გაწევა შეეძლება" – თქვა ლეონარდომ.

**ლევან ბიბილაშვილი**


დავიდ ბექჰემი შეიძლება პარიზში წავიდეს

● ბუნდეს-ამბები

## ხანგრძლივი პაუზის შემდეგ

5-თვიანი პაუზის შემდეგ ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიში განაახლა ბრემენის "ვერდერის" ფრანგმა ვეტერანმა ცენტრალურმა მცველმა **მიკაელ სილვესტრმა**. მან მუხლის ტრავმა ივლისის პირველ რიცხვებში მიიღო და მას შემდეგ მკურნალობდა. ვარჯიში ერთია, აი, როდის დაუბრუნდება ის თამაშს, პრესა ამას არ იუწყება. შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი "ვეზერშტადიონზე" 2010 წლის ივლისში "არსენალიდან" გადავიდა.

## უიღბლო ბენდერი


სვენ ბენდერი

"დორტმუნდის" 22 წლის საყრდენმა ნახევარმცველმა **სვენ ბენდერმა** "არსენალთან" ვიცე-კაპიტან **ტომას ვერმაელენთან** შეჯახების შემდეგად უმძიმესი ტრავმები მიიღო. ფეხბურთელს ყბის ორმაგი მოტეხილობის გარდა მუხლის მყესები აქვს გაწყვეტილი. მას იმდენად ძლიერი ტკივილები აწუხებდა, რომ ლონდონელმა ქირურგებმა ოპერაცია დაუყოვნებლივ ჩაატარეს. სვენს ყბაში ორი მეტალის ფირფიტა ჩაუდგეს. ნახევარმცველი დორტმუნდში დღეს დაბრუნდება და მკურნალობას იქ განაგრძობს. წინასწარი გათვლით ბენდერი ყველაზე ადრე გუნდს მომავალი წლის მარტში თუ დაუბრუნდება.

ვესტფალიურ კლუბთან დაკავშირებით მეორე ინფორმაციასაც მოგაწვდით: კლუბის სპორტულმა დირექტორმა **მიხაელ ცორკმა** ჟურნალისტებთან საუბრისას თავდაჯერებულმა თქვა, დარწმუნებული ვარ, **მარიო გიოტცე** მომდევნო სეზონსაც ჩვენთან დაიწყებსო. შეგახსენებთ, რომ "სუპერმარიოს" ხელში ჩაგდება "ბაიერნის" პრეზიდენტმა **ული ჰიონესმა** დაისახა მიზნად. 19 წლის გერმანელი ტალანტის ყიდვა "არსენალსაც" სურს.

## რიბერი: ვან გაალი? არ მაინტერესებს

"ბაიერნის" 28 წლის ფრანგმა ვარსკვლავმა **ფრანკ რიბერიმ** მისი ყოფილი დამრიგებელი **ლუის ვან გაალი** საკმაოდ უხეშად მოიხსენია. მას ჰოლანდიელი სპეციალისტის "აიაქსის" ტექნიკურ დირექტორად დანიშვნაზე ჰკითხეს აზრი, რაზეც მან ასე მიუგო: *„გავიგე, რომ ვან გაალის "აიაქსში" მისვლის შემდეგ ყველას იქიდან გაქცევა უნდა. არ ვიცი, რატომ ხდება ასე, მაგრამ გულწრფელად თუ გაინტერესებთ, ფეხებზე მკიდია რატომაც არ უნდა ხდებოდეს. ვან გაალი ჩემგან შორსაა და ეს ძალიანაც მახარებს"*.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი მატჩის წინ

# სისე თადარიგში დარჩება

## კლოზე: დროა ნავსი გავტეხოთ


ჯიბრილ სისე

სერია A-ს მომდევნო ტურის ცენტრალური მატჩი უდავოდ რომში გაიმართება, სადაც ერთმანეთის პირისპირ ჩემპიონატის ლიდერები, „ლაციო“ და „იუვენტუსი“ წარდგებიან. ამ მატჩის მიმართ ინტერესი განუზომლად დიდია, რაზეც ის უამრავი პროგნოზი და კომენტარი მეტყველებს, რომლებიც ბოლო დღეებში იტალიურ სპორტულ პრესაში ქვეყნდება. „გაძეტა დელო სპორტს“ თავისი მოსაზრება „იუვენტუსისა“ და „ლაციოს“ ყოფილმა თავკაცმა **დინო ძოფმა** გაუზიარა და შემდეგი განაცხადა:

„ასეთი მნიშვნელოვანი თამაში მიმდინარე სეზონში ჯერ არ ჩატარებულა, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ გულშემატკივართა მოლოდინი გამართლდება. „იუვენტუსში“ წლების განმავლობაში ვთამაშობდი და დასამალი არაა, რომ ამ გუნდის გულშემატკივარი ვარ, თუმცა არც „ლაციოა“ ჩემთვის უცხო და გამომდინარე აქედან, თამაშს ნეიტრალური პოზიციიდან ვუყურებ. ვფიქრობ, რომ შანსები აბსოლუტურად თანაბარია და დიდია ალბათობა, შეხვედრა ფრედ დასრულდეს. „იუვენტუსს“ მიმდინარე სეზონში მარცხი არ განუცდია და ვგონებ, „ლაციოსთან“ გასვლით პაექრობაში ერთ ქულაზე ყაბულს იქნება. საყაიმო რეზულტატის შემთხვევაში, დიდად არც რომაელები დამწუხრდებიან და გამომდინარე აქედან, ფრთხილ და ზომიერ თამაშს ველოდები. სწორედ ამიტომ ალვნიშნე ზემოთ, რომ შესაძლოა თამაში არცთუ სანახაობრივი გამოვიდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, მატჩს დიდი ინტერესით ველოდები“.

„გაძეტა დელო სპორტი“ ვარაუდობს, რომ „იუვენტუსთან“ მატჩისთვის **ჯიბრილ სისე** სათადარიგოთა სკამზე დარჩება, თავდასხმის ტანდემს კი **მიროსლავ კლოზე** და **ტომაზო როკი** შეადგენენ. სისეს თადარიგში გადასროლის საფუძველი მისი მშრალი სერიაა, რომელიც ათ შეხვედრას შეადგენს. ჯიბრილმა პირველ ტურში „მილანის“ კარი დალაშქრა, თუმცა მას შემდეგ ალარ გაუტანია. იტალიელი ჟურნალისტები ფრანგ შემტევს შეეხმიანნენ და ჰკითხეს, მართლა უპირებენ თუ არა ძირითადი შემადგენლობიდან ამოგდებას, რაზეც შემდეგი მოისმინეს:

„ნამდვილად ვერ გამოვრიცხავ, რომ „იუვენტუსთან“ შეხვედრაში სათადარიგოთა სკამზე გამამწესონ. ეს მთავარი მწვრთნელის გადასაწყვეტია და როგორც რეია ჩათვლის საჭიროდ, ისე მოიქცევა. ისე კი, დიდი იმედი მაქვს, რომ მშრალ სერიას სწორედ „იუვენტუსთან“ შევწყვეტ და დანავსულ პერიოდს უკან მოვიტოვებ. „ბიანკონერი“ ევროპული ფეხბურთის გრანდია, ძლიერ მეტოქეებთან კი ყოველთვის განსაკუთრებული მოტივაციით ვთამაშობ“.

ეჭვს არ იწვევს, რომ ძირითად შემადგენლობაში იქნება მიროსლავ კლოზე, რომელიც მოახლოებულ პაექრობას მოუთმენლად ელის: „უკვე მივხვდი, რომ იტალიაში იოლი თამაში არ არსებობს, მაგრამ „იუვენტუსთან' დაპირისპირება მაინც განსაკუთრებული იქნება. ტურინული გრანდი სათავეში უდგას სატურნირო ცხრილს და თანაც, სხვებზე ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული. ეს საკმარისი მოტივაციაა საიმისოდ, რომ ბოლომდე დავიხარჯოთ და მეტოქეს ჩემპიონატში პირველი მარცხი ვაგემოთ. ამასთან, მითხრეს, რომ „ლაციოს“ „იუვესთვის“ სერია A-ში 2003 წლის შემდეგ ალარ მოუგია, დროა ნავსი გავტეხოთ“.

ბოლოს, ერთი ყველასათვის კარგად ცნობილი ჩილელი უნდა გაგახსენოთ, რომელიც თავის დროზე „ლაციოშიც“ ასპარეზობდა და „იუვენტუსშიც“ - ლაპარაკია **მარსელო სალასზე**, რომელსაც აპენინელი ჟურნალისტი შეეხმიანა და ჰკითხა, ვის უგულშემატკივრებს მოახლოებულ პაექრობაში:

„ტურინში გატარებული პერიოდი კარგად მახსენდება, რადგან იქ შესანიშნავ ადამიანებთან მიწევდა ურთიერთობა. კარგი მეგობრობა მაკავშირებს ანტონიო კონტესთან, რომელიც თავის საქმეს ჩინებულად აკეთებს. და მაინც, ჩემი სიმპათიები „ლაციოსკენ“ იხრება, სადაც სამი დაუვიწყარი სეზონი მაქვს გატარებული. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ რომაულ გუნდში კარიერის საუკეთესო პერიოდი გავატარე, შესაბამისად, არ შემიძლია, რომ ამ გუნდს არ ვუქომაგო. რაც შეეხება პროგნოზს, პირადი გამოცდილებით გეუბნებით, ასეთი მატჩები არავითარ ლოგიკას და შესაბამისად, პროგნოზს არ ექვემდებარება - გაიმარჯვებს ის, ვინც უკეთესად გამოიყენებს საგოლე შანსებს“.

**ლაშა ნიკლაური**

ნაპოლი


ედინსონ კავანი

# კავანი: ნეაპოლში ბედნიერი ვარ

ჩემპიონთა ლიგაზე „მანჩესტერ სიტის“ ძლევით „ნაპოლიმ“ კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ ნებისმიერი რანგის მეტოქის დამარცხება შეუძლია. სამხრეთელებმა ინგლისელები **ედინსონ კავანის** გოლებით დაამარცხეს, რის შემდეგაც ურუგვაელის მიმართ ევროპული ფეხბურთის გრანდთა ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა. ამბობენ, რომ დიდია შანსი, ნეაპოლური კლუბის მესვეურებმა კავანის სანაცვლოდ ზაფხულში მაცდური შეთავაზება მიიღონ, რომელზე უარის თქმაც ძალიან რთული იქნება. საინტერესოა, რა პოზიცია აქვს ამ ყველაფერთან დაკავშირებით თავად ფეხბურთელს - მოვუსმინოთ 24 წლის თავდამსხმელს:

„ძალიან სასიამოვნოა, როდესაც შენით არაერთი გუნდია დაინტერესებული, მაგრამ სიმართლე გითხრათ, დღეს ყველაზე ნაკლებად სწორედ ამაზე ვფიქრობ. ნეაპოლში ბედნიერი ვარ, აქ ყველაფერი მაკმაყოფილებს და არსად წასვლას არ ვაპირებ. ბოლო პერიოდში, იმდენი გოლი ველარ გამქონდა, რამდენიც თუნდაც გასულ სეზონში, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ამაზე დიდად არ ვნერვიულობდი. უფრო მეტად გუნდზე ვფიქრობ და არა საკუთარ თავზე, „ნაპოლი“ კი მიმდინარე სეზონშიც საკმაოდ კარგად ასპარეზობს“.

**ლაშა ნიკლაური**

რომა

# ოსვალდო სკუდეტოს უმიზნებს

„ლეჩესთან“ ბრწყინვალე სტილში მოპოვებულმა გამარჯვებამ „რომას“ ფეხბურთელები ოპტიმიზმით აავსო, რაზეც **პაბლო ოსვალდოს** „გაძეტა დელო სპორტთან“ გაკეთებული კომენტარი ნათლად მეტყველებს. შეგახსენებთ, რომ 25 წლის ფორვარდმა „ლეჩესთან“ ულამაზესი მაკრატელა შეასრულა, ბურთი კარშიც კი გაეხვია, მაგრამ არბიტრმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა, თანაც სრულიად უსაფუძვლოდ - ოსვალდომ ეს ეპიზოდიც გაიხსენა:

„ლუის ენრიკემ ბევრი ახალი ფეხბურთელი მოიყვანა და სრულიად ახალი გუნდი გაკეთდა, რომელიც ძალიან შორს არის ოპტიმალური ფორმისგან. მიუხედავად ამისა, სატურნირო ცხრილში საკმაოდ მაღალი ადგილი გვიკავია და ლიდერებს მხოლოდ ხუთი ქულით ჩამოვრჩებით. ეს ნათელი დადასტურებაა იმის, რომ ამ ფორმაციის „ჯალოროსის“ დიდი მომავალი აქვს. „ლეჩესთან“ საუკეთესო მატჩი ჩავატარეთ სეზონში და დარწმუნებული ვარ, რომ პროგრესი გაგრძელდება. მეტიც, მჯერა, რომ სკუდეტოსთვისაც კი შეგვიძლია ბრძოლა. რაც შეეხება ჩემს გაუქმებულ გოლს, ამაზე გული დღემდე მწყდება, რადგან ლაინსმენმა აშკარა შეცდომა დაუშვა, როგორც ჩანს, ორჭოფობდა და ბოლოს, გოლის გაუქმება გადაწყვიტა - მსაჯების გაკრიტიკება არ მჩვევია, მაგრამ ვფიქრობ, რომ ასეთი ეპიზოდები შემტევის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს“.


პაბლო ოსვალდო

**ლაშა ნიკლაური**

მილანი

# ტევესი კასანოს შემცვლელად?

**ანტონიო კასანომ** თავის ინტერვიუში დაბეჯითებით განაცხადა, ჩემი შემცვლელის ძიება საჭირო არ არის, რადგან „მილანს“ ისედაც საუკეთესო თავდასხმა ჰყავს მსოფლიოში, მაგრამ როგორც ჩანს, კლუბის მესვეურებს სულ სხვა გეგმები აქვთ - „კორიერე დელო სპორტის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ორიოდე დღის წინ, „როსონერის“ მესვეურები **კარლოს ტევესის** პირად აგენტს შეხვდნენ და არგენტინელი ფორვარდის გადაბირების საკითხზე ჩამოუგდეს სიტყვა. შეგახსენებთ, რომ 27 წლის შემტევი „მანჩესტერ სიტის“ მთავარმა მწვრთნელმა, **რობერტო მანჩინიმ** აითვალწუნა და დიდი ხანია, მთავარ გუნდს არ აკარებს. ინგლისური კლუბის მესვეურებმა გადაწყვიტეს, რომ არგენტინელი გაასხვისონ, „მილანს“ კი მისი იჯარით აყვანა სურს - აი სწორედ აქ არის გაუგებრობა, მაგრამ რადგან მოლაპარაკების პროცესი დაიწყო, შესაძლოა ყველაფერი კომპრომისის გზით მოგვარდეს. მიმდინარე მოლაპარაკებები „მილანის“ დირექტორთა საბჭოს წარმომადგენელმა **არიედო ბრაიდამ** დაადასტურა:

„არ გვინდა, რამემ ხელი შეგვიშალოს დასახული მიზნების მიღწევაში და გამომდინარე აქედან, გვსურს ანტონიო კასანოს ტრავმით გამოწვეული ვაკუუმი შევავსოთ. კარლოს ტევესის გადაბირებასთან დაკავშირებით აქტიური მოლაპარაკებები წამოვიწყეთ და დიდი იმედი მაქვს, რომ ყველაფერი წარმატებით დასრულდება. შეთანხმებასთან ახლოს ნამდვილად არ ვართ, მაგრამ ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნამდე კიდევ დიდი დროა და ამ მხრივ, სანერვიულოს ვერაფერს ვხედავ. ტევესი უმაღლესი დონის თავდამსხმელია და კარგი იქნება, თუ მის გადმოყვანას შევძლებთ“.

**ლაშა ნიკლაური**


კარლოს ტევესი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. V ტური. ოთხშაბათის მატჩების მიმოხილვა

# ამბავი შურისძიებისა

## E ჯგუფი

### ლევერკუზენი-ჩელსი 2:1

**გოლები:** 0:1 დროგბა (49), 1:1 დერდიოკი (73), 2:1 ფრიდრიხი (90)

**კუთხური:** 10-0; **ჯარიმა:** 15-9; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 6-13 (5-9); **ბურთის ფლობა:** 51%-49%

ლევერკუზენში "ჩელსის" დამარცხება ალბათ მაინც მოულოდნელი იყო, მით უფრო, რომ ანგარიში სწორედ ლონდონელებმა გახსნეს. ამ გამარჯვებით **რობინ დუტის** გუნდმა ჯგუფის ლიდერობასთან ერთად პლეი ოფის საგზურიც იგდო ხელთ. მატჩის პირველი 30 წუთი მოსაწყენი გამოდგა. გუნდებს კარში დარტყმის მცდელობაც კი არ ჰქონიათ. ვინ იქნებოდა პირველი თუ არა **დიდიე დროგბა**?! როგორც ჩვენში იტყვიან, "ბაი არენაზე" სწორედ კოტდივუარელმა "გახსნა სეზონი". თუმცა ამას გუნდების გააქტიურება არ მოჰყოლია. სახიფათო მომენტი ძველებურად იშვიათი სანახავი იყო. მასპინძელთა მხრიდან პირველად ხელი იმან გამოილო, ვისთვისაც ეს შეხვედრა ყველაზე პრინციპული იყო – **მიხაელ ბალაკმა** კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს თავი შეაგება და ხარიხას გაარტყა. ევროთასებზე მეასე შეხვედრა ბალამ თავისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ ჩაატარა. 48-ე წუთზე ანგარიში გაიხსნა: დროგბამ **მანუელ ფრიდრიხი** და **ემერი ტოპრაკი** იოლად ჩამოიცილა და ისე გაიტანა. "ლევერკუზენი" მალე გააქტიურდა. გერმანელებმა "ჩელსი" საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვეს. ბალაკმა ორჯერ გაუშვა ხელსაყრელი შანსი. ორჯერვე მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა **პეტრ ჩეხი**. 73-ე წუთზე ანგარიში გათანაბრდა. **სიდნი სამის** პასი **ერენ რერდიოკმა** დააგვირგვინა. მატჩის ბოლო წამებზე კი კუთხურის გათამაშებას ფრიდრიხი გამოეხმაურა, **ალექსს** აჯობა და გამარჯვებისა გაიტანა.

საუკეთესო ფეხბურთელი: **მიხაელ ბალაკი**

### ვალენსია-გენკი 7:0

**გოლები:** 1:0 ჟონასი (10), 2:0 სოლდადო (13), 3:0 სოლდადო (36), 4:0 სოლდადო (39), 5:0 პ. ერნანდესი (68), 6:0 ადურისი (70), 7:0 კოსტა (81)

**კუთხური:** 9-8; **ჯარიმა:** 10-11; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 20-8 (17-4); **ბურთის ფლობა:** 62%-38%

**რობერტო სოლდადო** კარგი ჯარისკაცია. მისი გვარი ესპანურად სწორედ ამას ნიშნავს. „ლამურებს" ის „გენკთან" შეხვედრაში ჰეთთრიკით შეეწია. ვალენსიელთა გამარჯვებას ტოტალიზატორებიც ელოდნენ, მაგრამ ამხელა ანგარიშს ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა. პლეი ოფში გასასვლელად ახლა ესპანელებს ურთულესი ამოცანის გადაჭრა მოუწევთ – 6 დეკემბერს „სტემფორდ ბრიჯზე" „ჩელსის" უნდა მოუგონ. შეხვედრა სტუმართა აქტიურობით დაიწყო. მათ რამდენიმე მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი შექმნეს **დიეგო ალვესის** კართან. ამ ფონზე **ჟონასის** გოლი მე-10 წუთზე კონტექსტიდან ამოვარდნილი ჩანდა. „მესტალიას" ზეიმი დამთავრებული არ ჰქონდა, რომ სოლდადომ გაიტანა. „ვალენსიამ" ტემპს კიდევ უფრო მოუმატა. მათ მეტოქის გასრესვა დებიუტშივე მოინდომეს. ორჯერ გააფუჭა კარგი მომენტი **კოსტამ**. მას წინ მეკარე **ლასლო კეტელეში** აღუდგა. 36-ეზე დუბლი შეასრულა სოლდადომ, ვისთვისაც ეს მეოთხე გოლი აღმოჩნდა ჩემპიონთა ლიგის ოთხ შეხვედრაში. ზუსტად 3 წუთში კი მან მესამეც შეაგდო. ახლა ის **მარიო გომესსა** და **ლიონელ მესის** ერთი ბურთით ჩამორჩება, მაგრამ მათი გუნდები უკვე გავიდნენ პლეი ოფში, რას იზამს „ჯარისკაცი", ამას მოგვიანებით ვნახავთ. „ვალენსიამ" შეტევები მეორე ტაიმშიც განაგრძო და საბოლოოდ რამდენი გაიტანა, ამას ტექნიკური შედეგებიდან შეიტყობდით.

**საუკეთესო ფეხბურთელი:** რობერტო სოლდადო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლევერკუზენი | 5 | 3 | 0 | 2 | 7-7 | 9 |
| 2. ვალენსია | 5 | 2 | 2 | 1 | 12-4 | 8 |
| 3. ჩელსი | 5 | 2 | 2 | 1 | 10-4 | 8 |
| 4. გენკი | 5 | 0 | 2 | 3 | 1-15 | 2 |

ბოლო ტური

6 დეკემბერი

ჩელსი-ვალენსია

გენკი-ლევერკუზენი

## ჯგუფი F

### არსენალი-ბორუსია 2:1

**გოლები:** 1:0 ვან პერსი (50), 2:0 ვან პერსი (86) 2:1 კაგავა (90)

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 12-21; **თამაშგარე:** 6-1; **კარში დარტყმა:** 4-9 (3-4); **ბურთის ფლობა:** 58%-42%

გენიალურმა ჰოლანდიელმა **რობინ ვან პერსიმ** „დორტმუნდს" მეორე ტაიმში დუბლი შეუსრულა და „არსენალს" პლეი ოფის საგზური დაუბევა. დიდებულად ითამაშა **ალექს სონგმაც**, რომელმაც გარდა იმისა, რომ დიდი სამუშაო შეასრულა, ხშირად დრიბლინგსაც არ ერიდებოდა და გზად ვისაც ხვდებოდა, ყველას ატყუებდა. მატჩი სტუმრებმა უფრო აქტიურად დაიწყეს. პირველი მომენტი **რობერტ ლევანდოვსკიმ** შექმნა, მაგრამ მან თანამემამულე **ვოიცეხ შჩესნის** ვერ აჯობა. პირველი 15 წუთის განმავლობაში ვესტფალიელები უკეთ გამოიყურებოდნენ, რასაც „ემირეიტსი" გამაყრუებელი სტვენით აპროტესტებდა. **იურგენ კლოპს** 3 წუთის ინტერვალით ორი ლიდერის **სვენ ბენდერისა** და **მარიო გიოტცეს** გამოცვლა მოუხდა, რამაც „ბორუსიაზე" დამღუპველი გავლენა იქონია.




მეორე ნახევარი სტუმართა მიერ შექმნილი სახიფათო მომეტით დაიწყო. **კაგავა** მახვილი კუთხიდან ურტყამდა, მაგრამ შჩესნის ვერაფერი დააკლო. 50-ე წუთზე სონგმა მარცხენა ფლანგზე სამ მეტოქეს დაახვია თავბრუ და უზუსტესი პასი გაუკეთა ვან პერსის, ვინც მაღალ ნახტომში შესწვდა ბურთს და **ვაიდენფელერს** აუღებელი დაურტყა. აქედან მოყოლებული „დორტმუნდი" დაიბნა. „არსენალმა" სრული უპირატესობა იგდო ხელთ. 86-ე წუთზე **ვერმაელენმა** კუთხურიდან მოწოდებული ბურთი ვან პერსის გადააწოდა. ჰოლანდიელმა ახლო მანძილიდან მეორედ გაიტანა. შეხვედრას წერტილი კაგავამ დაუსვა. სასწაული თუ არ მოხდა, გერმანიის ჩემპიონი ჯგუფში ჩარჩება.

საუკეთესო ფეხბურთელი: **რობინ ვან პერსი**

### მარსელი-ოლიმპიაკოსი 0:1

**გოლები:** 0:1 ფეტფატციდისი (82)

**კუთხური:** 9-3; **ჯარიმა:** 14-19; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 10-8 (3-6); **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 42 000

შეცვლაზე შესული **იანის ფეტფატციდისის** გოლმა „მარსელი" ბეჭებზე დასცა, რისი წყალობითაც ბერძნული კლუბი მესამე ადგილზე ალზევდა და პლეი ოფში გასვლის რეალური შანსი აქვს. არადა, მოგების შემთხვევაში **დიდიე დეშამის** გუნდს ვადამდე შეეძლო ჯგუფში სიტუაციის საბოლოოდ „დალაგება", რადგან ფრანგები მეორე ადგილს ინაღდებდნენ. მიზნის მისაღწევად პროვანსელები შემტევი შემადგენლობით გამოვიდნენ „ველოდრომის" მინდორზე. წინა ხაზზე გამწესებული **ლოიკ რემისა** და **ჟორდან აიუს** გარდა შეტევის დახმარება **მატიე ვალბუენასა** და **ანდრე აიუს** ევალებოდათ. სტუმრებმა პირიქით, ფრთხილი ტაქტიკა აირჩიეს - თავდასხმაში მხოლოდ **რაფიკ ჯებური** ირჯებოდა, მის უკან კი **დავიდ ფუსტერი** მოქმედებდა. პირველ ნახევარში რეალური მომენტები ვერ გამოიყენეს ლოიკ რემიმ და **ხოსე ოლებასამ**. მეორე ტაიმი უფრო აქტიურად მასპინძლებმა დაიწყეს. გატანა ვალბუენას შეეძლო. ანგარიშის გახსნა შეეძლო მეკარესთან პირისპირ დარჩენილ **კევინ მირალიაშსაც**, მაგრამ ფანტასტიკურად ითამაშა **სტივ მანდანდამ**. გოლი 82-ე წუთზე შეცვლაზე შესულთა აქტიურობას მოჰყვა: **იესტეს** დარტყმულს მანდანდა აღუდგა, მაგრამ ფეტფატციდისის დამატებულს ველარაფერი მოუხერხა. დარჩენილი 8 წუთი „ოლიმპიაკოსი" თავდადებით იცავდა საკუთარ კარს, რაც მოახერხა კიდეც.

**საუკეთესო ფეხბურთელი:** კევინ მირალიაში

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 5 | 3 | 2 | 0 | 6-3 | 11 |
| 2. მარსელი | 5 | 2 | 1 | 2 | 4-2 | 7 |
| 3. ოლიმპიაკოსი | 5 | 2 | 0 | 3 | 5-5 | 6 |
| 4. ბორუსია (დ) | 5 | 1 | 1 | 3 | 4-9 | 4 |

ბოლო ტური

6 დეკემბერი

ოლიმპიაკოსი-არსენალი

ბორუსია-მარსელი

## ჯგუფი G

### ზენიტი-აპოელ 0:0

**კუთხური:** 10-1; **ჯარიმა:** 14-14; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 21-5 (9-2); **ბურთის ფლობა:** 63%-37%

**მაყურებელი:** 21 000

აპოელ-მა ისტორია დაწერა. იმას, რომ ევროპის ლიგის მოქმედი გამარჯვებულისა და ორი ყველაზე მდიდარი აღმოსავლეთევროპული კლუბის კამპანიაში გუნდი ხუთი ტურის შემდეგ პირველ ადგილზე იქნებოდა და პლეი ოფის საგზურს გაინაღდებდა, ყველაზე თამამ ოცნებებში ალბათ გუნდის სერბი დამრიგებელი **ივან იოვანოვიჩიც** ვერ წარმოიდგენდა. მასპინძლებს 90 წუთის განმავლობაში უზარმაზარი სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ. შეგიძლიათ კარში დარტყმების სტატისტიკასაც გადახედოთ. მილიონერმა პეტერბურგელებმა კარის მიმართულებით 21-ჯერ დაარტყეს, აქედან კარში 9 წავიდა, მაგრამ **რაფაელ პარდოს** კარის აღება მაინც ვერ შეძლეს. ხან ესპანელი მეკარე თამაშობდა დიდებულად, ხანაც მას მცველები აზღვევდნენ, როგორც ეს მაგალითად 72-ე წუთზე მოხდა, როცა ცარიელი კარიდან ბურთი **რაფაელ ოლივეირამ** გამოიტანა.

საუკეთესო ფეხბურთელი: **რაფაელ პარდო**

### შახტარი-პორტუ 0:2

**გოლები:** 0:1 ჰალკი (80), 0:2 რაცი (90 ს.კ.)

**კუთხური:** 9-5; **ჯარიმა:** 17-16; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 11-15 (8-9); **ბურთის ფლობა:** 61%-39%

რითი შეიძლება ავხსნათ ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი მეოთხედფინალისტის დონეცკის "შახტარის" წლევანდელი ჩავარდნა არც კი ვიცით. უკრაინელებმა სატურნირო მდგომარეობის გამოსწორების უკანასკნელი შანსი გაუშვეს ხელიდან. **მირჩა ლუჩესკუს** გუნდს ევროპის ლიგაზე გასვლის შანსიც აღარ აქვს. დონეცკელებმა მატჩის დაწყებამდე "პეტროვსკიზე" გამართული შეხვედრის შედეგი და ის, თუ რა ელოდათ წაგების შემთხვევაში, მშვენივრად იცოდნენ. დონბასური დაპირისპირების ბედი ბოლო 10 წუთში გადაწყდა. ჯერ იყო და **მოუტინიოს** 40-მეტრიანი პასით **ჰალკი** მეკარესთან პირისპირ დარჩა და ანგარიში გახსნა, შემდეგ კი **რაცმა** მეტოქეს წამით დაასწრო ბურთზე თამაში და თავის კარში გაიტანა.

საუკეთესო ფეხბურთელი: **ჰალკი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აპოელ | 5 | 2 | 3 | 0 | 6-4 | 9 |
| 2. ზენიტი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-5 | 8 |
| 3. პორტუ | 5 | 2 | 1 | 2 | 7-7 | 7 |
| 4. შახტარი | 5 | 0 | 2 | 3 | 4-8 | 2 |

ბოლო ტური:

6 დეკემბერი

პორტუ-ზენიტი

აპოელი-შახტარი

## ჯგუფი H

### მილანი-ბარსელონა 2:3

**გოლები:** 0:1 ვან ბომელი (14), 1:1 იბრაჰიმოვიჩი (20), 1:2 მესი (31-პენ.), 2:2 ბოატენგი (54), 2:3 ჩავი (63).

**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 24-17; **თამაშგარე:** 7-2; **კარში დარტყმა:** 8-13 (3-8); **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 85 000

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ფეხბურთის გრანდებმა ჯგუფიდან გასვლა ჯერ კიდევ წინა ტურში გაინაღდეს, მათმა დაპირისპირებამ მაინც დიდი ყურადღება მიიპყრო. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ერთმანეთს ლიგის ორი ფავორიტი ხვდებოდა. მატჩი მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო. კატალონიელები აუღელვებლად უმკლავდებოდნენ მათ იერიშებს. მე-14 წუთზე ანგარიში გაიხსნა. **მესიმ აბიდალს** მშვენიერი პასი გაუკეთა. ფრანგის გამჭოლ გადაცემას ის იყო **ჩავი** უნდა დახვედროდა, რომ მას ყოფილმა თანაგუნდელმა **მარკ ვან ბომელმა** დაასწრო და თავისი კარები დალაშქრა. გუნდებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი გაცვალეს - ჯერ **ფაბრეგასმა** გაარტყა ხარიხას, შემდეგ კი 100%-იანი მომენტი გააფუჭა **რობინიომ**. თუკი ვან ბომელმა ყოფილ გუნდს სამსახური გაუწია, კიდევ ერთმა ექსბარსელონელმა **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა ზეედორფის** პასით მოახერხა ანგარიშის გათანაბრება. "მილანი" მალე ისევ ჩამორჩა. დაცვაში **აკვილანის** უყურადღებო თამაში "როსონერის" პენალტად დაუჯდა, მესის - ყვითელ ბარათად, რადგან პირველი დარტყმისას არგენტინელმა **აბიატი** აკრძალული მეთოდით მოატყუა, გააკეთა რა ხანგრძლივი პაუზა. მეორე ცდამ მშვიდად ჩაიარა – 1:2. 54-ე წუთზე **კევინ-პრინს ბოატენგმა** მაყურებელს შედევრი შესთავაზა. ჰაერში საკმაოდ მაღლა ამხტარმა ცალი ფეხით ბურთი ჩამოილო, მიწაზე დაშვებულმა ის აბიდალს შემოატარა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა **ვალდესს** ახლო კუთხეში ყუმბარისებურად დაურტყა. მაგრამ ეს არ იყო ბოლო წერტილი ამ შეხვედრაში. 9 წუთში ისევ და ისევ მესიმ ჩავი 4 მილანელს შორის დაინახა და აბიატისთან ერთი ერთზე დატოვა. დანარჩენი ტექნიკის საქმე იყო - 2:3.

საუკეთესო ფეხბურთელი: **ლიონელ მესი**

### ბატე-ვიქტორია 0:1

გოლი: 0:1 ბაკოში (42).

**კუთხური:** 7-11; **ჯარიმა:** 12-12; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 16-14 (5-8); **ბურთის ფლობა:** 60%-40%

რა შეიძლება ითქვას ტურის ყველაზე ნაკლებად დამაინტრიგებელ შეხვედრაზე? პლზენის "ვიქტორიამ" **მარეკ ბაკოშის** ერთადერთი გოლის წყალობით პრაქტიკულად გაინაღდა ევროპის ლიგის საგზური. პრაქტიკულად იმიტომ, რომ ბატე-ს შეუძლია... "კამპ ნოუზე" სამი ქულის აღება და ჩეხების გადასწრება. თქვენი ნებართვით ოთხშაბათის მატჩების მიმოხილვას ამ ზღაპრულ ნოტზე დავასრულებთ.

საუკეთესო ფეხბურთელი: **მილან პერტჟელა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 5 | 4 | 1 | 0 | 16-4 | 13 |
| 2. მილანი | 5 | 2 | 2 | 1 | 9-6 | 8 |
| 3. ვიქტორია | 5 | 1 | 1 | 3 | 2-9 | 4 |
| 4. ბატე | 5 | 0 | 2 | 3 | 2-10 | 2 |

ბოლო ტური:

6 დეკემბერი

ბარსელონა-ბატე

ვიქტორია-მილანი

გვერდი მოამზადა

**ლევან ბიბილაშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩემპიონთა ლიგა. სტატისტიკა

# ლიგაზე მესის ბენზემა ეტოლება

## 9 ბედის ნებიერი და 8 ხელმოცარული

ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფამდე ჯერ ცივი და გრძელი ზამთარი გვაქვს გადასატანი, ჯერ არც ლიგის ჯგუფური ეტაპი დასრულებულა, თუმცა პლეიოფის 9 მონაწილე ვიცით. ვინაიდან, ოლიმპიური სისტემა მერვედფინალიდან იწყება, პლეი ოფის მონაწილეთა ნახევარზე მეტი ცნობილია. გასათამაშებელი რჩება 7 საგზური. პლეი ოფის პირველი ეტაპის კენჭისყრა ბრმა არ იქნება, ჯგუფის პირველადგილოსნები აუცილებლად მეორეადგილოსნებს შეხვდებიან, გამორიცხულია ერთი ქვეყნის წარმომადგენელთა დაპირისპირებაც. ასე რომ, ვთქვათ, „რეალისა“ და „ინტერის“ დაჯახება, ან „ბარსელონას“ და „ბაიერნის“ ჯახი არ იქნება. „ბაიერნი“, „ინტერი“, „რეალი“, „არსენალი“ და „ბარსელონა“ განთესილები იქნებიან, „მილანი“ - განუთესავი. რაც შეეხება, „ბენფიკას“, „ლევერკუზენსა“ და აპოელ-ს, ისინი გავიდნენ პლეი ოფში, მაგრამ ჯერჯერობით უცნობია, რომელი ადგილით. მოკლედ, „ალიანს არენამდე“ (ლიგის ფინალი 19 მაისს მიუნხენში გაიმართება) შორი გზის კონტურები გამოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ კვიპროსული აპოელ-ი ჯგუფური ეტაპის წინ მე-4 კალათში იყო განთესილი, მაგრამ პლეი ოფის საგზური ერთი ტურით ადრე მოიპოვა. „ლევერკუზენმა“ მე-3 კალათიდან მოიპოვა საგზური.

წარუმატებლებზეც ვთქვათ: „ვილიარეალმა“, „ოცელულმა“, „დინამომ“, „გენკმა“, „ბორუსიამ“, „შახტარმა“, „ვიქტორიამ“ და ბატე-მ, სულ 8 გუნდმა, უკვე გადაიწურეს პლეი ოფში გასვლის შანსები. ყველაზე საოცარი ამ კამპანიაში გერმანიის ჩემპიონის მოხვედრაა.

გადავიდეთ სტატისტიკაზე - ჩემპიონთა ლიგა არასოდეს ყოფილა ის ასპარეზი, სადაც **კრიშტიანო რონალდოს ლეო მესის** დონეზე გაუბრწყინია. თუკი ლა ლიგაში მათ შორის დიდი დაუსწრებელი დუელია, ლიგაზე არგენტინელის უპირატესობა აშკარაა. წლევანდელ სეზონში 24 წლის მესის ანგარიშზე 6 გოლი და 3 საგოლე პასია, ხოლო 26 წლის პორტუგალიელის მონაგარი 3 გოლი და 2 საგოლე პასია. გაცილებით უკეთესი სტატისტიკა რონალდოს თანაგუნდელ **ქარიმ ბენზემას** აქვს - 4 გოლი, 3 საგოლე პასი. აქვე აღვნიშნავთ, რომ მესი მხოლოდ თანაბომბარდირია, „ბაიერნის“ ფორვარდ **მარიო გომესსაც** 6 გოლი აქვს ანგარიშზე, თანაც არგენტინელზე ტაიმ-ნახევრით ნაკლები აქვს ჩატარებული. გოლი პლუს პასის სისტემით მესი პირველია (9 ქულა), მეორეზე კი ბენზემაა (7 ქულა). გომესს ერთი საგოლე პასიც არა აქვს, თუმცა ერთ რამეს გერმანელ ფორვარდს ვერ დაუკარგავ - 10-ჯერ დაარტყა მეტოქეთა კარისკენ ზუსტად და აქედან 6-ჯერ გაიტანა. მესის ანალოგიური მონაცემი ასეთია - 17 ზუსტი დარტყმიდან 6 გოლი. ყველაზე მეტჯერ მესიმ და „პორტუს“ ბრაზილიელმა ფორვარდმა **ჰალკმა** ააცილეს (19-19).

„ტრაბზონის“ ფორვარდ **ბურაკ ილმაზს** „უნიკალური“ უნარი აქვს, ყოველ 20 წუთში ერთხელ თამაშგარე მდგომარეობაში მოხვდეს, 26 წლის ილმაზს ჯერ ერთი გოლიც არ გაუტანია.

ყველაზე გამტანი გუნდები ესპანელებს ჰყავთ: „რეალი“, „ბარსელონა“ და „ვალენსია“ ამ მაჩვენებლით ყველას სჯობნიან. ესპანურ გრანდებს საშუალოდ 3,2-3,2 გოლი გააქვთ თამაშში, „ვალენსიას“ - 2,4. „გენკმა“ სულ 1 გოლი გაიტანა, ბატე-მ, „დინამომ“, „ლიონმა“, „ვიქტორიამ“ და „ვილიარეალმა“ - 2-2. „რეალი“ ჯერჯერობით საუკეთესოა, როგორც შეტევაში, ისე დაცვაში. „სამეფო კლუბი“ მატჩში საშუალოდ 0,4 გოლს უშვებს. ასეთივე მონაცემი მხოლოდ „მარსელს“ აქვს. აი, ზაგრების „დინამო“ და „გენკი“ ერთმანეთს გოლების გაშვებაში ეჯიბრებიან (3-3 საშუალოდ).




### ინდივიდუალური სტატისტიკა

**გოლები**

| გოლი | ფეხბ. | გუნდი | წთ |
|---|---|---|---|
| 6 | მარიო გომესი | ბაიერნი | 388 |
| 6 | ლიონელ მესი | ბარსელონა | 450 |
| 5 | რობერტო სოლდადო | ვალენსია | 425 |
| 4 | სეიდუ დუმბია | ცსკა | 340 |
| 4 | ალექსანდერ ფრაი | ბაზელი | 343 |
| 4 | ზლ. იბრაჰიმოვიჩი | მილანი | 360 |
| 4 | ქარიმ ბენზემა | რეალი | 390 |
| 4 | ედინსონ კავანი | ნაპოლი | 409 |
| 4 | ჰალკი | პორტუ | 438 |

**საგოლე პასები**

| პასი | ფეხბ. | გუნდი | წთ |
|---|---|---|---|
| 4 | ნიკოლას გაიტანი | ბენფიკა | 407 |
| 3 | ფერნანდო ტორესი | ჩელსი | 342 |
| 3 | ქარიმ ბენზემა | რეალი | 390 |
| 3 | ეზეკიელ ლავეცი | ნაპოლი | 416 |
| 3 | ტონი კროოსი | ბაიერნი | 434 |
| 3 | ლიონელ მესი | ბარსელონა | 450 |

**კარში დარტყმა (ზუსტი)**

| დარტყ. | ფეხბ. | გუნდი | წუთი |
|---|---|---|---|
| 17 | ლიონელ მესი | ბარსელონა | 450 |
| 13 | ჰალკი | პორტუ | 438 |
| 12 | კრიშტიანო რონალდო | რეალი | 360 |
| 11 | ქარიმ ბენზემა | რეალი | 390 |
| 10 | მაურო სარატე | ინტერი | 329 |
| 10 | ზლ. იბრაჰიმოვიჩი | მილანი | 360 |
| 10 | მარიო გომესი | ბაიერნი | 388 |

**კარში დარტყმა (არაზუსტი)**

| დარტ. | ფეხბ. | გუნდი | წთ |
|---|---|---|---|
| 19 | ჰალკი | პორტუ | 438 |
| 19 | ლიონელ მესი | ბარსელონა | 450 |
| 14 | ალ. ბუხაროვი | ზენიტი | 240 |
| 11 | ალ. კერჟაკოვი | ზენიტი | 180 |
| 10 | ქარიმ ბენზემა | რეალი | 390 |
| 10 | რენან ბრესანი | ბატე | 411 |

**თამაშგარე**

| ოფს. | ფეხბ. | გუნდი | წთ |
|---|---|---|---|
| 12 | ბაფეტიმბი გომისი | ლიონი | 393 |
| 10 | ქარიმ ბენზემა | რეალი | 390 |
| 9 | ბურაკ ილმაზი | ტრაბზონი | 180 |
| 9 | რობინ ვან პერსი | არსენალი | 313 |
| 8 | მარკო შტრელერი | ბაზელი | 351 |

**ჯარიმა (მათზე)**

| ჯარ. | ფეხ. | გუნდი | წთ |
|---|---|---|---|
| 23 | ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 431 |
| 17 | ჯერდან შაჩირი | ბაზელი | 262 |
| 17 | ანტონიო ნოჩერინო | მილანი | 378 |
| 17 | კევინ მირალიაში | ოლიმპიაკ. | 435 |
| 17 | ლიონელ მესი | ბარსელონა | 450 |
| 16 | ჰალკი | პორტუ | 438 |

**ჯარიმა (დამჯარიმდნენ)**

| ჯარ. | ფეხბ. | გუნდი | წუთი |
|---|---|---|---|
| 20 | დიდიე ზოკორა | ტრაბზონი | 450 |
| 19 | შტეფან კისლინგი | ლევერკუზენი | 421 |
| 16 | ეიონგ ენო | აიაქსი | 309 |
| 16 | ზლ. იბრაჰიმოვიჩი | მილანი | 360 |

ყველაზე მეტი გაფრთხილება:
4 - ბენიამინ ჰუგელი (ბაზელი)

### გუნდური სტატისტიკა

**გოლი**

| გოლი | გუნდი |
|---|---|
| 16 | ბარსელონა |
| 16 | რეალი |
| 12 | ვალენსია |
| 11 | ბაიერნი |
| 10 | ჩელსი |
| 10 | მანჩ. იუნაიტედი |

**გოლი (მილებული)**

| გოლი | გუნდი |
|---|---|
| 2 | რეალი |
| 2 | მარსელი |
| 3 | არსენალი |

**დარტყმა (ზუსტი)**

| დარტყ. | გუნდი |
|---|---|
| 51 | რეალი |
| 47 | ჩელსი |
| 42 | ვალენსია |
| 41 | ბარსელონა |
| 40 | ბაიერნი |

**დარტყმა (არაზუსტი)**

| დარტყ. | გუნდი |
|---|---|
| 52 | ზენიტი |
| 47 | ბარსელონა |
| 45 | პორტუ |
| 38 | აიაქსი |

**კუთხური**

| კუთხ. | გუნდი |
|---|---|
| 43 | ლილი |
| 40 | აიაქსი |
| 35 | ბარსელონა |
| 35 | შახტარი |
| 32 | ბენფიკა |
| 32 | პორტუ |

**ბურთის ფლობა (%)**

| % | გუნდი |
|---|---|
| 67 | ბარსელონა |
| 60 | მანჩ. იუნაიტედი |
| 59 | ვალენსია |
| 58 | ბაიერნი |
| 58 | მანჩ. სიტი |
| 57 | რეალი |

**ჯარიმა (მათზე)**

| ჯარ. | გუნდი |
|---|---|
| 80 | ნაპოლი |
| 79 | შახტარი |
| 78 | ინტერი |
| 78 | ლილი |
| 77 | ბაიერნი |

**ჯარიმა (დაჯარიმდნენ)**

| | |
|---|---|
| 90 | ოცელული |
| 86 | ლევერკუზენი |
| 85 | ბაიერნი |
| 85 | ოლიმპიაკოსი |
| 85 | პორტუ |

UEFA
CHAMPIONS LEAGUE

**გაფრთხილება**

| ყვ. | გუნდი |
|---|---|
| 16 | პორტუ |
| 16 | ვილიარეალი |
| 15 | აპოელ |
| 15 | დინამო |
| 15 | ნაპოლი |

**გაძევება**

| წით. | გუნდი |
|---|---|
| 2 | მარსელი |
| 2 | ოცელული |
| 2 | შახტარი |

**ყველაზე მეტი გოლი თამაშში:** რეალი-დინამო - 8 (6:2)
**მეტი დარტყმა:** ვალენსია-გენკი - 21 (7:0)
**ყველაზე მეტი აცილება:** სიტი-ნაპოლი - 22 (1:1)
**მეტი კუთხური:** ბატე-ვიქტორია - 18 (0:1)
**მეტი თამაშგარე:** ტრაბზონი-ცსკა - 12 (0:0)
**მეტი ჯარიმა:** პორტუ-აპოელ - 45 (1:1)
**მეტი გაფრთხილება:** პორტუ-აპოელ - 11 (1:1)

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




ხერხემლის დეკომპრესია DRX9000™ სისტემა
მედცენტრი Shine
განუხებთ სპორტული დატვირთვით გამოწვეული პრობლემები?

გთავაზობთ მალთაშუა დისკის პათოლოგიების მკურნალობას ოპერაციის გარეშე
მწვავე ტკივილების მოხსნას წელისა და ქვედა კიდურების არეში
დისკოზის, რადიკულიტის, ოსტეოქონდროზის მკურნალობა
ჩაწერა წინასწარ
ტელ: 2 230 330
მის: პეკინის 14
www.shine.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ბრაზილია

# MVP ნეიმარი გახდება

ბრაზილიის ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურია დარჩენილი. 5 დეკემბერს სეზონი დამთავრდება და მეორე დღეს გამოქვეყნდება 2011 წლის პირველობის სიმბოლური ნაკრები. მანამდე კი O'Globo-ის მიმომხილველებმა თითოეულ პოზიციაზე სიმბოლურში მოხვედრის პრეტენდენტები დაასახელეს.

დავიწყოთ მეკარეებით. ამ პოზიციაზე რიო-დე-ჟანეიროს კლუბების გოლკიპერები არიან გამორჩეულები - „ბოტაფოგოს" კიპერი **ჯეფერსონი** და **ფერნანდო პრასი** „ვასკო და გამადან". ამ უკანასკნელი დიდი დამსახურებაა, რომ „ვასკო" გაშვებული გოლების რაოდენობით მეორე საუკეთესო გუნდია ლიგაში.

მარჯვენა მცველის პოზიციაზე ასევე „ვასკო და გამას" ფეხბურთელი მოიაზრება. ეს გახლავთ **ფაგნერი**. მის პოზიციებს ისიც ამყარებს, რომ ფაგნერმა მიმდინარე სეზონში თავის თანაამპლუელებს შორის ყველაზე მეტი - ოთხი გოლი გაიტანა.

გადავიდეთ დაცვის ცენტრზე. აქ თითქმის უკონკურენციოდაა „ვასკოს" კიდევ ერთი ფეხბურთელი - ბრაზილიის ნაკრების წევრი **დედე**, რომელსაც შარშან ბრწყინვალე წელი ჰქონდა, მაგრამ ამ სეზონში კიდევ უფრო მოუმატა თამაშს. მის ანგარიშზე ექვსი გოლი მოდის და დედე „ვასკოს" შესანიშნავი სეზონის ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა.

მიმომხილველები მის პარტნიორად დაცვის ცენტრში „ბოტაფოგოს" წევრს - **ანტონიო კარლუშს** მოიაზრებენ.

საუკეთესო მარცხენა მცველის პოზიციისთვის ერთმანეთს კონკურენციას გაუწევენ „ბოტაფოგოსა" და „ფიგეირენსეს" ფეხბურთელები - **ბრუნო კორტესი** და **ჟუნინიო**.

შარშან, სიმბოლურში „კორინთიანსის" ორი საყრდენი ნახევარმცველი მოხვდა - **ჟუსილეი** და **ელიაში**. წელს „მუშკეტერებმა" შეიძლება კვლავ მიავლინონ ამ ამპლუის ორი ფეხბურთელი ჩემპიონატის რჩეულთა ნაკრებში. ესენი არიან - **რალფი** და **პაულინიო**.

რალფი ნამდვილი ჩამშლელია, პაულინიოს კი შეტევაში თამაშიც ეხერხება, თანაც ძალიან კარგად, რაზეც მის მიერ გატანილი რვა გოლიც მეტყველებს.

თუმცა არ არის გამორიცხული, ეს წყვილი დაარღვიოს „ბოტაფოგოს" ვეტერანმა **რენატო ფლორენსიომ**.

დიდი კონკურენციაა შემტევი ნახევარმცველის პოზიციაზე.

„კრუზეიროს" არგენტინელი ლეგიონერი **ვალტერ მონტილიო** შარშანაც იყო სიმბოლურ ნაკრებში. წელს მისი გუნდი გავარდნის პირასაა და შეიძლება ამან ნეგატიურად იმოქმედოს მის წლევანდელ შესაძლო აღიარებაზე, თუმცა ისიც ფაქტია, რომ არგენტინელი 12 გოლით კლუბის საუკეთესო ბომბარდირია.

13 გოლით რეალური კანდიდატია „ფლამენგოს" ლიდერი **რონალდინიო**, მაგრამ მას სერიოზულ კონკურენციას უწევს მისივე თანაგუნდელი **ტიაგუ ნევეში**, რომელიც სეზონის მეორე ნაწილში რონალდინიოზე აშკარად უკეთ გამოიყურება. ნევეშს 12 გოლი და ექვსი შედეგიანი პასი დაუგროვდა და სიმბოლურში მოხვედრის რეალური კანდიდატია.

არ უნდა დავივიწყოთ 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებული და საუკეთესო ფეხბურთელი, „ინტერნასიონალის" ახალგაზრდა ვარსკვლავი **ოსკარი**, რომელმაც წელს დიდი პროგრესი განიცადა.

კანდიდატთა შორის სახელდება **დიეგო სოუზაც**. ჩაგდებული შარშანდელი სეზონის შემდეგ, 26 წლის ნახევარმცველი მიმდინარე ჩემპიონატში კარგად გამოიყურებოდა და „ვასკო და გამას" ერთ-ერთ ლიდერად იქცა.

შეტევით ხაზში ერთ ფეხბურთელს გარანტირებული აქვს სიმბოლურ ნაკრებში მოხვედრა. ეს არის „სანტოსის" ლიდერი **ნეიმარი**, რომელიც პრაქტიკულად ყველა მატჩში ამტკიცებს თავის მაღალ კლასს, ხოლო ივლისში „ფლამენგოს" წინააღმდეგ სეზონის საუკეთესო გოლი გაიტანა.

ასევე არ უნდა გაგვიკვირდეს სიმბოლურში ნეიმარის პარტნიორის - **ბორჟესის** მოხვედრა. ფორვარდი 23 გოლით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია და ძალიან ახლოსაა „ოქროს ბუცის" მოპოვებასთან.

კიდევ ერთი კანდიდატია „ინტერნასიონალის" ფორვარდი **ლეანდრო დამიაო**, მიუხედავად იმისა, რომ მძიმე ტრავმის გამო სეზონის დიდი ნაწილი გაუცდა.

ბოლო დროს შესანიშნავი ფორმა აკრიფა „ფლუმინენსეს" ფორვარდმა **ფრედმა**. უკანასკნელ ორი ტურში მან შვიდი გოლი გაიტანა და 20 გოლით კონკურენციას უწევს ბორჟესს „ოქროს ბუცისთვის" ბრძოლაში.

■ ■ ■

ასევე გამოვლინდება წლის საუკეთესო მწვრთნელი და აქ ფავორიტი **ტიტე** გახლავთ, რომლის „კორინთიანსს" სულ ცოტა აკლია ჩემპიონის ტიტულის განაღდებამდე.



ნეიმარი

„ვასკო და გამაში" **კრისტოვაომ** შესანიშნავად შეცვალა **რიკარდო გომეში**, რომელსაც სეზონის შუაში, უშუალოდ მატჩის დროს გულის შეტევა დაემართა და ჯერჯერობით ვერ უბრუნდება თავის საყვარელ საქმეს.

**აბელ ბრაგა** სეზონის მსვლელობისას მივიდა „ფლუმინენსეში" და ჩემპიონატის მეორე ნახევარში ისე აათამაშა ეს გუნდი, რომ ცხრილის შუა ნაწილიდან პირველ სამეულში შეიყვანა ბრაზილიის მოქმედი ჩემპიონი.

დიდი სიურპრიზი აღმოჩნდა **ჟორჟინიოს** პროგრესი. მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე დუნგას ასისტენტმა არაფრით გამორჩეული „ფიგეირენსე" ლიბერტადორესის თასის საგზურის მოპოვების ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად აქცია.

■ ■ ■

კიდევ ერთხელ უნდა ვახსენოთ „ფიგეირენსე". ამ გუნდის 19 წლის ფორვარდ **ველინგტონ ნემს** თითქმის გარანტირებული აქვს წლის საუკეთესო დებიუტანტის ტიტული. ნიჭიერი თავდამსხმელის ანგარიშზე ამ მომენტისთვის 9 გოლი და 4 საგოლე პასი მოდის.

■ ■ ■

და გვრჩება მთავარი ნომინაცია - სეზონის **MVP**.

თუ ბორჟესსა და ლეანდრო დამიაოს დავუჯერებთ, ეს ტიტული წელს ნეიმარს ეკუთვნის.

ბორჟესი: *„წელს ბრაზილეირაოში ბევრი დიადი ფეხბურთელი თამაშობდა: ლეანდრო დამიაო, ლუკას მოურა, რონალდინიო, მაგრამ საუკეთესო მაინც ნეიმარია..."*

დამიაო: *„რა თქმა უნდა, ნეიმარი. ის საუკეთესოა!"*

მართლაც, ნეიმარს, სავარაუდოდ, ვერავინ შეეცილება პირველობას. სულ რაღაც 19 მატჩში ამ ფეხბურთელმა 11 გოლი გაიტანა.




ლეანდრო და ბორჟესი

# მთავარი გოლეადორები

წელს, ბრაზილიური ფეხბურთის მთავარი გოლეადორები არიან - **ლეანდრო დამიაო** და **ბორჟესი**. გასულ კვირას ისინი გაზეთ O'Globo-ის რედაქციის სტუმრები იყვნენ და საინტერესო ინტერვიუ მისცეს ჟურნალისტებს. გთავაზობთ ამ საუბრის ფრაგმენტებს.

„ინტერნასიონალის" ფორვარდს ლეანდრო დამიაოს 2011 წელს ყველაზე მეტი გოლი აქვს გატანილი ბრაზილიაში ყველა ტურნირის გათვალისწინებით. „სანტოსის" თავდამსხმელი ბორჟესი კი დამაჯერებლად ლიდერობს ბრაზილიის ჩემპიონატის ბომბარდირთა დავას.

„ინტერნასიონალის" მეცხრე ნომერმა ამ კალენდარულ წელს უკვე 41 გოლი გაიტანა. 22 წლის ფორვარდმა ქვეყნის პირველობაზე ექვსი მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა, მაგრამ იქ მაინც მოასწრო 14-ჯერ თავის გამოჩენა.

ბორჟესმა კი 33-ე ტურში გატანილი გოლით „სანტოსის" რეკორდი დაამყარა - მას 23 გოლი გოლი დაუგროვდა და აქამდე ასეთი მაჩვენებელი კლუბში ერთი სეზონის განმავლობაში არავის ჰქონია. წინა რეკორდსმენი იყო **სერჟინიო**, რომელმაც 1983 წელს ჩემპიონატში 22 გოლი შეაგდო.

ბორჟესი: *„ეს დიდი პატივია ჩემთვის, რადგან სერჟინიო - „სანტოსის" გულშემატკივართა ერთ-ერთი კერპი გახლავთ. მან ჩვენს კლუბში ისტორია შექმნა. „სანტოსში" მოსვლიდან ექვსი თვის თავზე მისი რეკორდი გავაუმჯობესე. ეს სასიამოვნოა. კიდევ უფრო მეტად მოტივირებული ვარ და ბოლომდე შევინარჩუნებ ამ განწყობას".*

მართალია, „სანტოსი" 15 ქულით ჩამორჩება ლიდერ „კორინთიანსს", მაგრამ ამ გუნდმა მიმდინარე სეზონში რამდენიმე დაუვიწყარი მატჩი გვაჩუქა და კვლავაც რჩება ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბად.

ბორჟესი: *„სანტოსმა" წელს ორი დიდი გამარჯვება მოიპოვა - მოიგო პაულისტას ლიგა და ლიბერტადორესის თასი. ეს ძალიან რთული იყო ფსიქოლოგიურად. ძალიან დიდ ზეწოლას განვიცდიდით და შეიძლება ამის გამოა, რომ ბრაზილიის ჩემპიონატის მოგებაზე პრეტენზია ვერ განვაცხადეთ. თანაც, ლიბერტადორესის თასის მატჩებისა და ბრაზილიის ნაკრებში გამოძახებების გამო, ლიდერებს ბევრი შეხვედრა გაუცდათ. იყო ტრავმებიც. ხანდახან ისეთ შეცდომას ვუშვებდით, რომელიც არ გვეპატიებოდა".*

თავის ბომბარდირობაზე საუბრისას, ლიგის საუკეთესო გოლეადორი ამბობს, რომ ნეიმარისა და განსოს გვერდით თამაში უადვილებს ძირითადი საქმის კეთებას.

ბორჟესი: *„განსო განსაკუთრებული მოთამაშეა. ის მართლაც უმაღლესი დონის ოსტატია. ბურთთან ერთი შეხებაც საკმარისია, რომ ყველა მოხიბლოს და რაც მთავარია, მე საგოლე მომენტი შემიქმნას.*

*რაც შეეხება ნეიმარს, მე მას გენიოსად მივიჩნევ. ის ყოველდღიურად ახერხებს ჩვენს გაოცებას. ყველაფერს ნამებში აკეთებს. ზოგჯერ ისეთ რამეებს გვთავაზობს, რომ დაჯერება მიჭირს".*

ნეიმარის მხარდამხარ თამაშის შესაძლებლობა ლეანდრო დამიაოსაც ჰქონდა. მათი დუეტი ბრაზილიის ნაკრების რამდენიმე მატჩში შედგა.

დამიაო: *„როცა გვერდით გყავთ ნეიმარის დონის მოთამაშე, ყოველთვის მზად უნდა იყო ბურთის მისაღებად. ნებისმიერ დროს შეიძლება შეგიქმნას მომენტი".*

ბრაზილიის ჩემპიონატის დასრულებამდე დარჩენილ ორ ტურში ლეანდრო დამიაოს „ინტერნასიონალთან" ერთად კონკრეტული მიზანი აქვს დასახული.

დამიაო: *„მართალია, ჩემპიონობაზე პრეტენზიას აღარ ვაცხადებთ, მაგრამ დარჩენილ ტურებში გვინდა ლიბერტადორესის თასის საგზურისთვის ვიბრძოლოთ".*

სანამ „ინტერნასიონალი" შიდა არენაზე ამ მიზნის შესრულებისთვის იბრძოლებს, ბორჟესი და კომპანია კლუბებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება, სადაც „სანტოსს", სავარაუდოდ, **ლეო მესის** „ბარსელონასთან" მოუწევს შეხვედრა.

ბორჟესი: *„ბარსელონა" ძალიან ძლიერი გუნდია. ხანდახან ისინი თამაშიდან ხსნიან ცენტრალურ ნახევარმცველებს და დაცვაში შუა ხაზის მოთამაშეებს აყენებენ. თუმცა, სანამ მათთან შეხვედრაზე ვიფიქრებთ, მანამდე ბრაზილიის ჩემპიონატის მაჟორულ ნოტაზე დასრულება გვაქვს ჩაფიქრებული".*

ბორჟესის თქმით, ბრაზილიის ჩემპიონატში დარჩენილი ორი მატჩი სწორედ „ბარსელონასთან" მომავალი შეხვედრისთვის მომზადებაში დაეხმარება გუნდს.

ბორჟესი: *„ეს ბოლო თამაშები უნდა გამოვიყენოთ იმისთვის, რომ გუნდს დამაჯერებლობა დაუბრუნდეს და კარგ ფორმაში შეხვდეს მსოფლიოს ჩემპიონატს".*

და თუ ბორჟესი და „სანტოსის" სხვა ფეხბურთელები შეძლებენ მიმდინარე სპორტული ფორმის შენარჩუნებას, ლიბერტადორესის თასსა და სან პაულუს შტატის ჩემპიონობას, შესაძლოა, კლუბების შორის მსოფლიოს ჩემპიონატის ტიტულიც დაემატოს.

# გადამწყვეტი მატჩი

მომავალ უქმეებზე ბრაზილიის ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში თითქმის ყველა შეხვედრა მნიშვნელოვანია, თუმცა ერთმა მათგანმა, შესაძლოა, გადამწყვეტი როლი ითამაშოს ცხრილის ზედა ნაწილში ადგილების გადანაწილებაში. რიოს დერბიში „ფლუმინენსე" „ვასკო და გამას" მასპინძლობს. ეს არის მეორე და მესამე ადგილებზე მყოფი გუნდების შეხვედრა.

„ვასკო" 11 წელია ტიტულის გარეშეა დარჩენილი, „ფლუმინენსემ" კი 26-წლიანი შესვენების შემდეგ, შარშან არსებობის ისტორიაში მეორე ტიტული მოიგო.

ეს არის ამ გუნდების რიგით 46-ე შეხვედრა. „ფლუს" 13 მატჩი აქვს მოგებული, „ვასკოს" - 12, ხოლო ბურთების შეფარდება თანაბარია - 54:54.

ბოლოს ეს გუნდები მიმდინარე სეზონის მე-18 ტურში, „ვასკო და გამას" სტადიონზე შეხვდნენ ერთმანეთს. პირველ ტაიმში „ფლუმინენსეს" ნახევარმცველმა **მარსიო როსარიომ ალესანდრო** წააქცია საჯარიმოში და **ჟუნინიომ** პენალტით 36-ე წუთზე დააწინაურა „ვასკო და გამა". ანგარიში კი 61-ე წუთზე **რაფაელ მოურამ** გაათანაბრა. მატჩი საბოლოოდ, 1:1 დასრულდა და „ვასკომ" ლიდერ „კორინთიანსის" დევნა გააგრძელა. 23-ე ტურიდან მოყოლებული, „ვასკო და გამა" პირველ ან მეორე ადგილზე იმყოფება.

ეს გუნდი თავის წარმატებას, დიდწილად, ორი გამოცდილ ფეხბურთელს უნდა უმადლოდეს - 34 წლის **ფელიპეს** თავისი შესანიშნავი ცაციათი და 36 წლის ჟუნინიო პერნამბუკანოს თავისი საფირმო ჯარიმებით.

მათ წინ შეტევების ორგანიზება **დიეგო სოუზას** ევალება, თუმცა მას გოლების გატანაც ეხერხება - მის ანგარიშზე 10 ბურთია. კიდევ უფრო წინ კი **ელტონი** მოქმედებს, რომელიც 11 გოლით კლუბის საუკეთესო ბომბარდირია.

თუმცა „ვასკო" თავისი დაცვით უფრო არის განთქმული. ამ გუნდის ცენტრალური მცველი **დედე** საუკეთესოა თავის ამპლუაში ბრაზილიის ჩემპიონატში. მისი კარგი თამაში არ გამორჩენია ბრაზილიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს **მანუ მენეზეშს** და ის ეროვნული გუნდის რეგულარულ მოთამაშედ აქცია. დედესა და მეკარე **ფერნანდო პრასის** დუეტი პრაქტიკულად გაუვალს ხდის „ვასკოს" დაცვას.

ამიტომაც საინტერესოა, როგორ იმოქმედებს ჩემპიონატში ყველაზე მეტი გოლის გამტანი „ფლუმინენსე" საუკეთესო დაცვის წინააღმდეგ.

სტუმრებს შეტევაში სამი გამორჩეული ფეხბურთელი ჰყავთ: **ფრედს** 20 გოლი დაუგროვდა, **რაფაელ მოურას** - 11 და **რაფაელ სობისს** - 10. თუ შევკრებთ, გამოდის, რომ ამ ტრიომ „ფლუმინენსეს" 58 გოლიდან 41 თავის ანგარიშზე ჩაიწერა. თან დროულად გამოჯანმრთელდა პორტუგალიელი გამთამაშებელი **დეკუ** და ბოლო ორი ტურში ის აშკარად გააძლიერებს მოქმედ ჩემპიონს.

„ვასკოს" ჩემპონობის უკეთესი შანსი აქვს, რადგან „კორინთიანსს" ორი ქულით ჩამორჩება. „ფლუმინესესთვის" კი თუ სეზონის მსვლელობას გავითვალისწინებთ, ლიბერტადორესის თასის მოპოვებაც წარმატება იქნება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ფრედი

ძიუდო. ოლიმპიური რეიტინგი

# სარეიტინგო განაჩენი

## ნისლიანი ლონდონი ჩვენთვის კიდევ უფრო დაბურულია

**ბოლო სალიცენზიო შეჯიბრების - ამსტერდამის „დიდი პრიზის“ შედეგების გათვალისწინებით, ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ ახალი სალიცენზიო რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელიც ჩვენთვის არცთუ სასიამოვნოა.**



მოსახდენი მოხდა და 66 კილოგრამში სასაგზურე ზონას ყველა პარამეტრით დავშორდით. აქ 22-კაციან სიაში ისეც ვერ ვხვდებოდით, მაგრამ დღემდე შევდიოდით ევროპისთვის განკუთვნილ 2-კაციან კვოტაში, ახლა კი იქაც დავკარგეთ ადგილი.

ალბათ, ეს ლოგიკურიცაა, რადგან ამ წონაში ისედაც ერთადერთი კაცის - **შალვა ქარდავას** იმედად ვიყავით, რომელიც ჯერ დიდი შედეგებით არ გამოირჩევა, გაზრდილი დატვირთვების თუ სხვა მიზეზების გამო კი წელის ტრავმა მიიღო და სადღეისოდ ვერც ჭიდაობს. ამდენად, ველარც ქულებს აგროვებს, მაგრამ აქამდე ინერციით თუ კიდევ ინარჩუნებდა ადგილს საგზურის ზონაში, ახლა იმასაც დაშორდა. მას სწორედ ამსტერდამში მოპოვებული ქულებით გადაუსწრეს ლატვიელმა **დენის კოზლოვსმა** (16 ქულა) და ებრაელმა **გოლან პოლაცკიმ** (24). ქარდავა ამჟამად საერთაშორისო რეიტინგში 200 ქულით 42-ეა, სალიცენზიო სიაში კი ევროპულ კვოტაში მეოთხეზე გადაინაცვლა - ლატვია-ისრაელთან ერთად ჰოლანდიაც გვისწრებს. ისე, ესეც ჩვენი ბედი - ჰოლანდია მსოფლიოში ერთ-ერთი ავტორიტეტული ნაკრებია, მაგრამ მაინცდამაინც აქ აქვთ ჩავარდნა და აქ გვიწევენ კონკურენციას!

### კვოტები და რეალობა

ახალ რეიტინგში ჩვენთვის სასიკეთო ერთადერთი ცვლილება ისაა, რომ **ნუგზარ ტატალაშვილმა** (73) სამოაჰოლანდიაში შემატებული 40-40 ქულით წინ წაიწია და თუმცა 22 კაცში კვლავაც ვერ შედის, სალიცენზიო რეიტინგში ზუსტად 23-ეა. ახლა მის ანგარიშზე 268 ქულაა, რაც მსოფლიოში 33-ე ადგილს შეესაბამება, თუმცა სალიცენზიო ცხრილში 23-მდე გამოხშირვის წესით ალზევდა (მოგეხსენებათ, იქ ერთი ქვეყნიდან მხოლოდ ერთი კაცი იგულისხმება). ცხადია, ევროპულ კვოტაში ის პირველია. შეგახსენებთ, რომ ეს კვოტა ყოველ წონაში 2-2 საგზურს ითვალისწინებს იმ ევროპული ქვეყნებისთვის, რომლებიც 22-კაციან სიაში ვერ ხვდებიან, ოღონდ ესეც ლიმიტირებულია - ერთ ქვეყანაზე მხოლოდ ერთი. ამდენად, ტატალაშვილს ლიცენზიის დაუფლების ჩინებული შანსი მიეცა, თუმცა მაინც სასურველია, ის 22-ში შევიდეს, რაც 66-შიც მოგვცემს საგზურის მოპოვების საშუალებას. ოღონდ საამისოდ იქ ქულების დაგროვებაა საჭირო, თორემ ლონდონში სრულყოფილი გუნდი მაინც არ გვეყოლება. არადა, 66-ში მართლაც მძიმე ვითარებაა შექმნილი... მართალია, ამ წონაში უკვე ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონისა და მსოფლიოს პრიზიორ **ლაშა შავდათუაშვილისაც** გვეიმედება, მაგრამ ის ჯერ ახალგაზრდაა და უფროსებში გადმოსასვლელად ადაპტაცია სჭირდება. აქ ხომ ყველაფერი განსხვავებულია - გაზრდილია დატვირთვები, საჭიდაო დრო, პაექრობა ხშირად ბევრად უფროსებთან მოუწევს... ახალგაზრდულ ნაკრებში წარმატება დიდებში წარმატების გარანტია რომ არაა, **ავთანდილ ჭრიკიშვილის** (81) მაგალითმაც დაადასტურა, რომელიც, ნუ გვიწყენს შავდათუაშვილი და ცოტა უფრო დიდი ტალანტი გვგონია.

თუმცა ჭრიკიშვილის მაგალითი ქართული ძიუდოს ძალზე აქტუალურ პრობლემასაც აშიშვლებს - სავარჯიშო პროცესის სწორად დაგეგმვას, რაც დღეს დიდი ხარვეზებით რომ მიმდინარეობს, გუნდის შედეგებიც ადასტურებს. შავდათუაშვილი ფიზიკურად შესანიშნავადაა მომზადებული, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ წარიმართება მისი დატვირთვა ეროვნულ ნაკრებში. ამასთან, ტაქტიკურად გვარიანი გადაწყობა რომ სჭირდება, ეს ახალგაზრდულ მსოფლიოზე კორეელთან წაგებაშიც გამოჩნდა - რამდენადაც ჩემთვის იმ შეჯიბრებაზე მყოფი ჩვენი მსაჯის, **ვლადიმერ ნუცუბიძისგან** ვიცი, არბიტრებმა ჩვენებური სწორედ ტაქტიკური ხარვეზებისთვის დასაჯეს, აქაოდა, მეტოქემ მეტი შესვლა გააკეთა და, ამდენად, ეს პასიურობდაო. მსაჯებს ისიც დაუმატებიათ, თქვენებური ძირითადი დროის დამთავრებამდე 12 წამით ადრე რომ არ გავაფრთხილეთ (მაშინ მართლაც აპირებდნენ ამას), მადლობა თქვითო... ცოტა არ იყოს, საკამათო არგუმენტებია - 12 წამით ადრე მართლაც რომ გაეფრთხილებინათ, კიდევ ჰო, კორეელი იმ მომენტში უფრო აქტიური იყო, მაგრამ მოგვიანებით ჩვენებურმა მდგომარეობა გამოასწორა და ადრე თუ დაინდეს, დამატებითში ამისთვის დასჯა, როცა დამნაშავე არ იყო, რა სამართალია! თან მანამდე შესვლები ამანაც ხომ გააკეთა ანუ ერთნიშნად პასიური არ ყოფილა. თუმცა ჩავლება, ტაქტიკური ჭიდაობა მართლაც რომ დასახვეწია (საერთოდ და არა მხოლოდ ამ კონკრეტულ მაგალითზე), საკამათოც არაა. ბუნებრივია, არ ვამბობ, რომ შავდათუაშვილის იმედი არ უნდა გვქონდეს - პირიქით, მხოლოდ იმის აღნიშვნა გვინდა, რომ მეტისმეტად მძიმე ტვირთის აწევა შეიძლება გაუჭირდეს. ზემოაღნიშნულ საფრთხეებთან ერთად მის სალონდონე შანსებს საფრთხეს ისიც უქადის, რომ ასაკის გამო სალიცენზიო ტურნირებში ჯერ არ უჭიდავია. მან საკუთარი ანგარიში ამსტერდამში გახსნა - 24 ქულა მოიპოვა და საერთაშორისო რეიტინგში ჯერჯერობით 131-ეა.



### დადებითს ცუდი სჭარბობს

სამწუხაროდ, ახალ რეიტინგებში ცუდი უფრო მეტია, ვიდრე - დადებითი. 60, 90 და 100 კილოგრამში სალიცენზიო სიებში კვლავაც ვინარჩუნებთ წამყვან პოზიციებს და აქ ოლიმპიური საგზურები განაღდებულია, თუმცა ოფიციალურ დასტურამდე ჯერ სალიცენზიო ციკლის ჩამთავრებაა საჭირო. კიდევ ორ წონაში - 81-სა და მძიმეში ისევ შევდივართ 22-კაციან სიაში, მაგრამ ცხრილის ბოლოსკენ ვართ და ამ ადგილების შესანარჩუნებლადაც დიდი სიფრთხილე გვმართებს. თან ამ წონებში 22-ში მხოლოდ თითო მონაწილე დაგვრჩა, სხვები კი გავარდნენ ზონიდან.

60 კილოგრამში **ამირან პაპინაშვილმა** ამსტერდამული ვერცხლის შემდეგ 788 ქულა მოაგროვა, რითაც საერთაშორისო რეიტინგში ერთი საფეხურით დაწინაურდა - მეექვსე ადგილიდან რუსი **ბესლან მუდრანოვი** ჩამოაქვეითა, სალიცენზიოში კი კვლავაც მეხუთეა. ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ბეთქილ შუკვანი** 360 ქულით საერთაშორისო სიაში 24-ეა, სალიცენზიოში - მე-20-ე.

**ვალერი ლიპარტელიანის** (90) ანგარიშზე ამჟამად 746 ქულაა, რაც საერთაშორისო რეიტინგში IX, სალიცენზიოში კი VII ადგილია. სამწუხაროდ, აქ 22-იან სიაში ჩვენგან სხვა ვერავინ შედის.

100-ში ორი წარმომადგენელი გვყავს, ხოლო უკეთეს პოზიციაზე ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ლომერ ყორყოლიანია** - 620 ქულა და XII ადგილი საერთაშორისო რეიტინგში, ოლიმპიურში - XI. მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **ირაკლი ცირეკიძის** ანგარიშზე 478 ქულა,რაც მსოფლიოს მასშტაბით წონაში 23-ე შედეგია, ოლიმპიურში - მე-19.

81-ში 22-კაციან სიაში მხოლოდ ჭრიკიშვილი დაგვრჩა 360 ქულით და ასევე მეცხრამეტე ადგილით, თუმცა საერთაშორისოში 28-ზეა. სამწუხაროდ, სალიცენზიო ზონიდან გავარდა ევროპის პრიზიორი **ლევან წიკლაური**, რომელიც ახლა 292-ით სალიცენზიო ცხრილში 24-ეა, თუმცა ეს არ იძლევა საგზურს. ბოლო ერთი წლის განმავლობაში მან ჩასათვლელი ქულა მხოლოდ 4 ტურნირში მიიღო, შედეგად კი საერთაშორისო მასშტაბით 35-ე ადგილამდე დაეშვა.

### 370, 24 და 17

370 ქულა, 24-ე ადგილი საერთაშორისო სიაში და მე-17 - სალიცენზიოში - ასეთია **ზვიად ხანჯალიაშვილის** მონაგარი მძიმე წონაში. **ადამ ოქრუაშვილი** 260-ით მსოფლიოს რეიტინგში 33-მდე კი დაეშვა, თუმცა გამოხშირვის წესით სალიცენზიოში 23-ეა. სასურველია, მანაც შეაღწიოს 22-ში. შეგახსენებთ, ეს რატომაცაა აუცილებელი - ღმერთმა დაიფაროს და საოლიმპიადოდ ლიცენზირებული ძიუდოისტი რომ დაგიშავდეს, მას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეცვლი, ის სარეზერვოც თუ 22-შია შესული, თორემ საგზურს კარგავ.

ამ ფონზე კიდევ უფრო უცნაურია ნაკრების ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებები ჯერ კიდევ მსოფლიოს პირველობამდე, როცა სალიცენზიო ტურნირებში გამოსვლა იუარა და მთელი აქცენტი მსოფლიოს პირველობაზე გადაიტანა, ახლა კი ისეთ შეჯიბრებებში არ გამოვდივართ, სადაც ბლომად ქულები გაიცემა. ეტყობა, თავადვე ჩათვალეს უპერსპექტივოდ იმ ძლიერ ტურნირებში მონაწილეობა (მით უფრო, აქცენტი სუსტ სამოას მსოფლიოს თასზე გააკეთეს), ამ შემთხვევაში კი თავისი სათქმელი ფედერაციამ უნდა თქვას - მწვრთნელისთვის კარტ-ბლანშის ასე ულაპარაკოდ მიცემა ქართული ძიუდოსთვის უკვე ძალიან საშიში გახდა. იმდენად სახიფათო, რომ ისედაც ნისლიანი ალბიონის დედაქალაქი ლონდონი ჩვენთვის კიდევ უფრო დანისლული ჩანს.

**ირაკლი თავაძე**

სპორტული რადიო
ჯა - კო
Ja - Ko
FM 96.3

**FM 107,9**

**ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის“ (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ“ დონ ედოსთან ერთად.**

**გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო“.**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

# მინსკში - ცვლილებით, ნიცაში - უცვლელად

**ქართველი ბერძენ-რომაელები უკვე გაემგზავრნენ ნიცასა და მინსკში საერთაშორისო ტურნირებში სასპარეზოდ. შეგახსენებთ, რომ ჩვენები ნიცაში ოლიმპიურ ჩემპიონ ანრი დეგლანის მემორიალში გამოვლენ, მინსკში - ასევე ოლიმპიურ ჩემპიონ ოლეგ კარავაევის მემორიალში. საფრანგეთში პირადი შეჯიბრება იმართება, ბელარუსში - გუნდური.**

ნიცას ტურნირი ხვალ დაიწყება და იქ უცვლელად იასპარეზებს ის შემადგენლობა, რომელიც **ბეგი დარჩიამ** ადრევე დაასახელა: **ქემალ ხარაბაძე** (60), **მუხრან მაჭუტაძე** (66), **გენადი გოგიშვილი**, **ზურაბ დათუნაშვილი** (ორივე - 74), **რევაზ ნადარეიშვილი** (84), **ირაკლი ქაჯაია** და **სანდრო დიხამინჯია** (ორივე - 96). აქ ევროპის ორგზის და მსოფლიოს ჩემპიონის, ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსან **რამაზ ნოზაძის** (96) წაყვანის საკითხიც განიხილებოდა, მაგრამ მისი მომზადება მწვრთნელებმა ამ ეტაპზე არადამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს. ამდენად, ერთ დროს ნაკრების ლიდერის აქტიურ სპორტში დაბრუნების საკითხი დეკემბრის ბოლოს გასამართავი საქართველოს ჩემპიონატისთვის გადაიდო.

სამაგიეროდ, ერთბაშად ორი ცვლილებაა მინსკში გაგზავნილ გუნდში - სარეზერვოდ შეგულებული ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **მანუჩარ კვირკველია** გაციებულა, მაღალი ტემპერატურის გამო ვარჯიშებიც გასცდენია და **ლაშა ლოლაშვილმა** (66) შეცვალა, მძიმეწონოსანი **სერგო გოგისვანიძე** კი თავისმა უმცროსმა ძმამ **შოთა გოგისვანიძემ** ჩაანაცვლა. ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი შოთა გოგისვანიძე ტურნირებში მონაწილეობის უპირველეს კანდიდატად განიხილებოდა, მაგრამ წელის ტკივილის გამო მწვრთნელებმა ამ ეტაპზე მისი ჭიდაობა გადაიფიქრეს, თუმცა მოგვიანებით წელი სერგოსაც ასტკივებია. შოთა ამ პრობლემას აქამდეც მკურნალობდა და გამოჯანმრთელების მხრივ ასე თუ ისე, რაღაც დონეზე პროგრესი მაინც ჰქონდა, სერგოს ტრავმა კი სულ ახალია და ამიტომ მწვრთნელებმა მისი ასპარეზობა მყისვე გამორიცხეს. მართალია, შოთა ჯერაც აგრძელებს მკურნალობას, მაგრამ რაკილა ამ წონაში სხვა რეალური კანდიდატი არც გვყავს, მაინც წაიყვანეს. ოღონდ იქ კიდევ დააკვირდებიან და თუ რამე საეჭვო იქნა, არ გარისკავენ.

ლოლაშვილისა და გოგისვანიძის გარდა, მინსკში **ლაშა გოგიტაძე** (55), **რევაზ ლაშხი** (60), **არჩილ თურმანიძე** (66), **მანუჩარ ცხადაია** (74), **ვლადიმერ გეგეშიძე** (84) და **სოსო ჯაბიძე** (96) იჭიდავებენ. ნაკრების მთავარი მწვრთნელი დარჩიაც მინსკში წავიდა, რადგან გუნდის ძირითადი კანდიდატები იქ იასპარეზებენ, ნიცაში კი მთავარი მწვრთნელის მაგივრობას **ოთარ ტატიშვილი** გასწევს. მინსკში შეჯიბრება ერთდღიანია და ის კვირას, 26 ნოემბერს გაიმართება. სამწუხაროდ, ამ შეჯიბრებათა შესახებ ძალზე მწირი ინფორმაციაა, თუმცა მოპოვებულთაგან რამაც გაგვაოცა, ეს ფრანგთა შემადგენლობაა საკუთარ შეჯიბრებაზე - წინასწარი მონაცემებით, იქ მხოლოდ ორი კაცით აპირებენ გამოსვლას და მათ შორის არ



არიან ძმები, ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოს ვერცხლის მედალოსანი **სტივ ჟენო** (66) და ოლიმპიური და ევროპის პრიზიორი **კრისტოფ ჟენო** (74). ვიქონიოთ იმედი, რომ მწვრთნელები წინასწარ შემადგენლობებს ხშირად არღვევენ და ფრანგები ბევრად ძლიერი გუნდით გამოვლენ. სხვა თუ არაფერი, საკუთარი ტურნირის პრესტიჟი ავალებთ ამას.

ამით ბერძენ-რომაელები წლევანდელ უცხოურ ტურნირებსაც დაამთავრებენ და მთელ ყურადღებას ერთ თვეში გასამართ ქვეყნის პირველობაზე გადაიტანენ.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

# ლიდერთან 0,5 ქულა აშორებს

ბრაზილიაში ახალგაზრდა მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობის მე-6 ტურში კვლავ კარგად ითამაშა **მერი არაბიძემ**. წინა ტურში რეიტინგფავორიტთან მარცხის შემდეგ, მან შეძლო ძალების მობილიზება და თეთრი ფიგურებით მოლდოველ დიანა ბასიუს აჯობა. ქუთაისელი საერთაშორისო ოსტატი ახლა ნახევარი ქულით ჩამორჩება ერთპიროვნულ ლიდერ ალინა კაშლინსკაიას (რუსეთი), რომელიც ალთანულზიი ენხთუულს (მონღოლეთი) დაუზავდა. მეწინავეთა დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: თი კიმ ჰუნგ ვო (ვიეტნამი) - პეტრა პაპი (უნგრეთი) 0:1, ნარმინ კაზიმოვა (აზერბაიჯანი) - დინარა სადუაკასოვა (ყაზახეთი) 0,5:0,5, კატარზინა ადამოვიჩი (პოლონეთი) - ჩაზალ ჰაკიმიფარდი (ირანი) 0,5:0,5, კატრინ ტიოლსენი (ნორვეგია) - აილენ მარტინესი (არგენტინა) 1:0, ან ჩუმპიტაზი (პერუ) - ლენა მილადინოვიჩი (სერბეთი) 1:0, ემილი ტალო (აშშ) - სარვინოზ კურბონბოევა (უზბეკეთი) 0:1.

ექვსი ტურის შემდეგ: კაშლინსკაია - 5,5, ენხთუული, არაბიძე, პაპი - 5-5, კაზიმოვა, სადუაკასოვა, ადამოვიჩი, ჩუმპიტაზი, კურბონბოევა, ტიოლსენი - 4,5-4,5 ქულა.

მეშვიდე ტურში ლიდერები ასე დაწყვილდნენ: კალინსკაია - პაპი, არაბიძე - ენხთუული, სადუაკასოვა - ტიოლსენი, კურბონბოევა - კაზიმოვა, ადამოვიჩი - ჩუმპიტაზი.

14-წლიანებში კვლავ დამარცხდა **ნინო ხომერიკი** - ამჯერად მან ამერიკელ აპურვა ვირკუდთან წააგო. არადა, ჩვენებური ოკეანისგაღმელს რეიტინგში 126 პუნქტით უსწრებს. ამ ასაკში უდანაკარგოდ ალექსანდრა გორიაჩკინა ლიდერობს. ხომერიკს 3 ქულით 35-ე ადგილი უკავია. მე-7 ტურში იგი სუ სიაოუს (მაკაუ) დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**

# ქვარტეტი სათავეში

ხორვატიაში სენიორ მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატის მე-9 ტურში **ნონა გაფრინდაშვილმა** ვალენტინა კოზლოვსკაია დაამარცხა, **ნინო მელაშვილი** რიმა ბილუნოვას დაუზავდა, **თამარ ხმიადაშვილი** კი ლუდმილა საუნინას დანებდა, სეით ტიფსეი - გალინა სტრუტინსკაიას, ელენა ფატალიბეკოვამ ირინა კაბანოვას აჯობა.

9 ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილის სათავეში 6,5-6,5 ქულით გაფრინდაშვილი, მელაშვილი, საუნინა და სტრუტინსკაია მოექცნენ. ლიდერთაგან დღეს ითამაშებენ: ფატალიბეკოვა-გაფრინდაშვილი, სტრუტინსკაია-ფომინა, ბილუნოვა-საუნინა, მელაშვილი-მედნიკოვა, ხმიადაშვილი-მირა, ტიტორენკო-ტიფსეი. შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტური დარჩა.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

სუპერლიგა. VI ტურის რჩეულნი

# ფაცაცია, მეორედ

სოხუმელები, **ლევან ფაცაცია** და **ლაშა ფარლალავა** წლევანდელ ჩემპიონატს მშვენიერ ფორმაში შეხვდნენ, ერთმანეთს რეკორდებსა და ტურის სიმბოლურ ნაკრებებში მოხვედრაში ეჯიბრებიან.

ორი ტურის წინ ფაცაციამ ფარლალავას 38-ქულიანი რეკორდი გააუმჯობესა, 40 ქულა ჩააგდო, რაც ჯერჯერობით სეზონის საუკეთესო მაჩვენებელია.

ლევანი და ლაშა ჩვენ მიერ შედგენილ სიმბოლურ ნაკრებში 3-3-ჯერ მოხვდნენ, რაც ასევე რეკორდია, ოღონდ თანარეკორდი: სიმბოლურში ამდენჯერვე შეიყვანეს შსს-ს ამერიკელი უკანახაზელი **რობერტ კრეპსი** და „დინამოს" ახალწვეული **ქეიენ კარტერი**.

რჩეულ ხუთეულში მოხვედრაზე უფრო საპატიო ტურის საუკეთესო კალათბურთელად აღიარებაა, რაც ფაცაციამ უკვე მეორედ შეძლო. მეექვსე ტურში მან თსუ-ს დიდი ანგარიშით ძლევაში ლომის წილი შეიტანა (29 ქულა, 17 მოხსნა, 6 პასი, 2 ჩაჭრა) და მარგი ქმედების მაჩვენებლითაც ტურში ყველას აჯობა: 42.






სიმბოლურ ნაკრებში პირველად მოხვდნენ **ლარი ბლერი** და **ტრეისი სმიტი**. დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, ეს მათი სიმბოლურ ხუთეულში გამოჩენის პირველი შემთხვევა ნამდვილად არ იქნება, რადგან შსს-ს ახალწვეულები კრეპსის მსგავსად მაღალი კლასისანი არიან.

| | |
|---|---|
| ოლიმპი-სტუ | 101:85 |
| არმია-სამედიცინო | 99:85 |
| დინამო-რუსთავი | 101:84 |
| თსუ-სოხუმი | 81:102 |
| ქუთაისი-შსს | 76:96 |

### რეკორდები

**ქულა**

40 - ლევან ფაცაცია (სოხუმი)
2-ქულ 14/18; 3-ქულ 2/5; საჯ 6/6
11.11.11 ბათუმი-სოხუმი

**მოხსნა**

18 - ზვიად ანთაძე (სტუ)
(მეტოქ: 5; საკუთ: 13)
04.11.11 ბათუმი-სტუ

18 - ქეიენ კარტერი (დინამო)
(მეტოქ: 7; საკუთ: 11)
05.11.11 დინამო-სამედიცინო
(მეტოქ: 10; საკუთ: 8)
19.11.11 დინამო-რუსთავი

**პასი**

14 - ლაშა გამყრელიძე (ოლიმპი)
29.10.11 შსს-ოლიმპი

**ჩაჭრა**

7 - რევაზ ჩაჩანიძე (რუსთავი)
29.10.11 სტუ-რუსთავი

7 - ნიკა რამიშვილი (ბათუმი)
11.11.11. ბათუმი-სოხუმი

**დაფარება**

6 - ილიცა მილუტინოვიჩი (ოლიმპი)
15.10.11 თსუ-ოლიმპი

6 - ბექა ბექაური (სამედიცინო)
05.11.11 დინამო-სამედიცინო

### ქულა

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ქ | ქ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 6 | 162 | 27 |
| 2 | ლევან ფაცაცია | სოხუმი | 6 | 156 | 26 |
| 3 | ქეიენ კარტერი | დინამო | 3 | 78 | 26 |
| 4 | რობერტ კრეპსი | შსს | 6 | 139 | 23.17 |
| 5 | ბექა ჩიკვილაძე | სამედიცინო | 6 | 124 | 20.67 |
| 6 | თორნიკე ნინიაშვილი | თსუ | 5 | 95 | 19 |
| 7 | ვასილ ბერუაშვილი | სტუ | 5 | 90 | 18 |
| 8 | ლევან ხმელიძე | რუსთავი | 5 | 88 | 17.6 |
| 9 | ნიკიტა სლიუკა | ოლიმპი | 5 | 86 | 17.2 |
| 10 | გიორგი ბარბაქაძე | ქუთაისი | 6 | 100 | 16.67 |
| 11 | ავთანდილ ელიაშვილი | ბათუმი | 5 | 83 | 16.6 |
| 12 | ირაკლი მიქელაძე | ბათუმი | 5 | 83 | 16.6 |
| 13 | ჯერემი რიჩარდსონი | არმია | 5 | 82 | 16.4 |
| 14 | დუდა სანაძე | დინამო | 6 | 94 | 15.67 |
| 15 | მიხეილ ბერიშვილი | ოლიმპი | 5 | 78 | 15.6 |
| 16 | უილიამ ტომასი | არმია | 4 | 61 | 15.25 |

### მოხსნა

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | მ.დაც | მ.შეტ. | მ.სულ | მ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქიენ კარტერი | დინამო | 3 | 27 | 24 | 51 | 17 |
| 2 | ლევან ფაცაცია | სოხუმი | 6 | 16 | 57 | 73 | 12.17 |
| 3 | ილიცა მილუტინოვიჩი | ოლიმპი | 5 | 13 | 43 | 56 | 11.2 |
| 4 | ზურა მაჩალაძე | სტუ | 5 | 18 | 38 | 56 | 11.2 |
| 5 | სოსო შერმადინი | თსუ | 5 | 21 | 29 | 50 | 10 |
| 6 | ზვიად ანთაძე | სტუ | 5 | 19 | 27 | 46 | 9.2 |
| 7 | ბექა ბექაური | სამედიცინო | 6 | 17 | 36 | 53 | 8.83 |
| 8 | ლაშა კეშელავა | ბათუმი | 5 | 8 | 35 | 43 | 8.6 |
| 9 | თორნიკე ნინიაშვილი | თსუ | 5 | 11 | 31 | 42 | 8.4 |
| 10 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 5 | 15 | 26 | 41 | 8.2 |
| 11 | მიხეილ ბერიშვილი | ოლიმპი | 5 | 9 | 31 | 40 | 8 |

### პასი

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | პ | პ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლაშა გამყრელიძე | ოლიმპი | 4 | 32 | 8 |
| 2 | დავით არწივიძე | რუსთავი | 5 | 34 | 6.8 |
| 3 | სანდიეტა გეინსი | არმია | 5 | 31 | 6.2 |
| 4 | ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 6 | 35 | 5.83 |
| 5 | მიხეილ ჩიტაშვილი | თსუ | 4 | 23 | 5.75 |
| 6 | ირაკლი მიქელაძე | ბათუმი | 5 | 27 | 5.4 |
| 7 | ლევან ცეკვავა | ქუთაისი | 6 | 29 | 4.83 |
| 8 | გიორგი გაფრინდაშვილი | სოხუმი | 6 | 28 | 4.67 |
| 9 | ლევან ფაცაცია | სოხუმი | 6 | 27 | 4.5 |
| 10 | დავით ბერიშვილი | თსუ | 5 | 22 | 4.4 |
| 11 | ბექა ჩიკვილაძე | სამედიცინო | 6 | 26 | 4.33 |
| 12 | მალხაზ აბაიშვილი | სამედიცინო | 6 | 25 | 4.17 |

### ჩაჭრა

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ჩ | ჩ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი | 5 | 17 | 3.4 |
| 2 | შალვა კოხრეიძე | თსუ | 5 | 14 | 2.8 |
| 3 | ვასილ ბერუაშვილი | სტუ | 5 | 14 | 2.8 |
| 4 | რევაზ ჩაჩანიძე | რუსთავი | 5 | 13 | 2.6 |
| 5 | მიხეილ ჩიტაშვილი | თსუ | 4 | 10 | 2.5 |
| 6 | სანდიატა გეინსი | არმია | 5 | 12 | 2.4 |
| 7 | დუდა სანაძე | დინამო | 6 | 13 | 2.17 |
| 8 | ზვიად ანთაძე | სტუ | 5 | 10 | 2 |
| 9 | უილიამ ტომასი | არმია | 4 | 8 | 2 |

### დაფარება

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | დ | დ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ილიცა მილუტინოვიჩი | ოლიმპი | 5 | 11 | 2.2 |
| 2 | ბექა ბექაური | სამედიცინო | 6 | 12 | 2 |
| 3 | ზურა მაჩალაძე | სტუ | 5 | 9 | 1.8 |
| 4 | ვასილ ბერუაშვილი | სტუ | 5 | 9 | 1.8 |
| 5 | ჟოლივეტ ტუჯანი | შსს | 6 | 10 | 1.67 |
| 6 | სერგო ათუაშვილი | სოხუმი | 6 | 10 | 1.67 |
| 7 | იოაკიმ შელგომი | არმია | 5 | 8 | 1.6 |
| 8 | მიხეილ ბერიშვილი | ოლიმპი | 5 | 7 | 1.4 |

### შეცდომა

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | შ | შ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლაშა გამყრელიძე | ოლიმპი | 4 | 20 | 5 |
| 2 | ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 6 | 30 | 5 |
| 3 | ლევან ცეკვავა | ქუთაისი | 6 | 28 | 4.67 |
| 4 | გიორგი ხანიაშვილი | სტუ | 5 | 18 | 3.6 |
| 5 | ირაკლი მიქელაძე | ბათუმი | 5 | 18 | 3.6 |
| 6 | ზაურ ფაშაევი | ქუთაისი | 6 | 20 | 3.33 |
| 7 | ბექა ჩიკვილაძე | სამედიცინო | 6 | 20 | 3.33 |

პრესკონფერენცია

# 08 და მსაჯები

24 ნოემბერს, კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ საინფორმაციო ცენტრ 08-სთან თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა. პრესკონფერენციაზე სუპერლიგის ხელმძღვანელობამ უცხოელი მსაჯების თემაზეც ისაუბრა.

**ბესიკ ლიპარტელიანი** (ფედერაციის პრეზიდენტი):

- მოგეხსენებათ, სუპერლიგის დღის წესრიგში დადგა უცხოელი მსაჯების მოწვევის საკითხი. ამ თემასთან დაკავშირებით ვაწარმოებთ მოლაპარაკებას უკრაინის, ლიტვისა და თურქეთის ფედერაციებთან, თუმცა იმის გამო, რომ რეგლამენტით საერთაშორისო კატეგორიის არბიტრს ეკრძალება სხვა ქვეყნის ჩემპიონატში მსაჯობა ფიბა-სთან შეთანხმების გარეშე, საჭიროა გარკვეული პროცედურების გავლა, რასაც დრო სჭირდება.

## მილოცვა

ფსკ „დინამო" და ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი გულითადად ულოცავს ღირსეულ პიროვნებასა და ქართული კალათბურთის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს **გურამ მინაშვილს** 75 წლის საიუბილეო თარიღს.




იუბილე. გურამ მინაშვილი - 75



# NBA-ს ზღურბლთან

**1962 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელ გურამ მინაშვილს დღეს 75 წელი უსრულდება. იგი თბილისის „დინამოში" ადრეულ ასაკში მოხვდა და ოთარ ქორქიას ტრადიცია ღირსეულად განაგრძო - სამაგალითო კაპიტანი იყო.**

**რამდენად ძლიერი იყო მოედანზე, ამაზე ერთი საინტერესო ამბავი მეტყველებს. გაგებული მქონდა, რომ გურამ მინაშვილს ამერიკელებმა NBA-ში თამაში შესთავაზეს. მასთან პირველივე შეხვედრისთანავე შესაძლებლობა რომ მომეცა, ამერიკულ შეთავაზებაზე ვკითხე. კაპიტანმა საუბარი იმდროინდელი ტურნეთი დაიწყო...**

*- 1959 წელს საბჭოთა ნაკრების კალათბურთელები 20 დღით ამერიკას ვესტუმრეთ და ოთხ ქალაქში ექვსი მატჩი გავმართეთ. ბოლო შეხვედრა სიეტლში იგეგმებოდა, საერთო ანგარიში კი 3:2 იყო მასპინძელთა სასარგებლოდ. გადამწყვეტი თამაშის წინ საბჭოთა კავშირის საელჩოს წარმომადგენელი მოვიდა და გვითხრა: 20 დღეში 60 დოლარს ხომ გაძლევთ (60 დოლარად მაშინ ორი კარგი ქურქის შეძენა შეიძლებოდა), თანხას გაგიორმაგებთ, თუ სიეტლის ნაკრებს დაამარცხებთ და შინ 3:3-ით გაბრუნდებითო. მეორე დღეს სიეტლთან მატჩი ნორმალურად დავიწყეთ, თუმცა მცირე უპირატესობას მოვიპოვებდით თუ არა, მასპინძელთა მწვრთნელი ცვლილებას ახორციელებდა, შემოჰყავდა ერთი კალათბურთელი, რომელიც სიეტლს უმალ უპირატესობას უბევებდა. შემდეგ ისევ სათადარიგოთა სკამს უბრუნდებოდა. ასე გაგრძელდა საფინალო სირენამდე და სიეტლის ნაკრებთან მცირე სხვაობით დავმარცხდით. როგორც შემდეგ გაირკვა, ის კალათბურთელი „სიეტლ სუპერსონიქსის" პროფესიონალი იყო.*

*საუკეთესო მატჩი კლივლენდში გავმართეთ. ადგილობრივ ნაკრებთან ძირითადი დრო ფრედ დასრულდა. დამატებითში 10:9 ვიმარჯვეთ. 10-დან 9 ქულა ჩემს ანგარიშზე იყო. მატჩის შემდეგ მწვრთნელ, ალექსანდრე გომელსკისთან „ნიუ იორკ ნიქსის" სელექციონერები მივიდნენ, სამწლიანი კონტრაქტი მიუტანეს და ჩემი ხელმოწერა სთხოვეს. მწვრთნელმა დამიძახა და ჩემი თანდასწრებით უთხრა - ხელმოწერას ახლა ვერ დავსვამთ, მოსკოვში ჩავალთ, კომიტეტის თავმჯდომარეს გავესაუბრებით და კონტრაქტი შემდეგ იყოსო. FBI-დან ერთი პიროვნება გვყავდა მომაგრებული, სახელად ფომა. რუსულ-ინგლისური ლექსიკონი ვაჩუქე და დავუძმაკაცდი. „ნიუ იორკიდან" წინადადების მიღების შემდეგ ფომა სპეციალურად მოვიდა და მირჩია: ასეთი შანსი ადამიანს ცხოვრებაში ერთხელ ეძლევა. უარი არ თქვა. თუ საბჭოელებისა გეშინია, ისეთ ადგილას დაგმალავ, ვერც ამერიკელები გიპოვიანო. ერთ მომენტში ისიც ვიფიქრე, ფომა საბჭოთა სპეცსამსახურმა ხომ არ მომიგზავნა-მეთქი (მაგრამ ასე არ ყოფილა) და ცხადია, ისიც უარით გავისტუმრე, რადგან ვიცოდი, რომ ამერიკაში დარჩენა და ჩემი ოჯახის წევრების დაჭერა ერთი იქნებოდა.*

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კრივი. ინტერვიუ კობა ფხაკაძესთან


ზაზა ჯავახაძე (მწვრთნელი) და კობა ფხაკაძე

# მთავარი მიზანი ოლიმპიადის ლიცენზიაა!

**საქართველოს** მოკრივეთა ნაკრების წევრი, მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი კობა ფხაკაძე, რომელმაც წლეულს 64 კგ წონით კატეგორიაში იასპარეზა, მთავარ მიზნად ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვებას ისახავს. მართალია, იგი ახლახან ბაქოში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე მეოთხედფინალსა და შესაბამისად ოლიმპიადის ლიცენზიას ვერ შესწვდა, იმედს არ კარგავს, რომ ამის შანსი მომდევნო ტურნირებში მიეცემა და ნიჭიერი მოკრივე მის გამოყენებას შეეცდება.

გთავაზობთ კობა ფხაკაძესთან ინტერვიუს.

**- საქართველოს წინა ჩემპიონატში არ გიასპარეზია, რადგანაც გარკვეული ხანი აზერბაიჯანში იმყოფებოდი და იქ პროფესიულ რინგზე გამოდიოდი. ჩვენს მეზობელ ქვეყანაში კონკრეტულად რა ორთაბრძოლებში მონაწილეობდი?**

- მსოფლიოს კრივის ფედერაციამ ჩამოაყალიბა WCB ლიგა, სადაც მოყვარულებსაც შეუძლიათ მონაწილეობა ისე, რომ შემდეგ ისევ სამოყვარულო რინგს დაუბრუნდნენ. ეს შანსი გამოვიყენე და ბაქოს კლუბთან გავაფორმე კონტრაქტი. იქ ექვსი თვე ვიყავი და რამდენიმე მნიშვნელოვანი ორთაბრძოლაც გავმართე. განსაკუთრებული წარმატებები ჯერ არ მქონია, მაგრამ პროფესიულ რინგზე კარგი გამოცდილება შევიძინე. აზერბაიჯანელებთან კონტრაქტი უკვე დამიმთავრდა და ახლა მთლიანად საქართველოს ნაკრებზე ვარ გადართული.

**- ოქტომბრის დასაწყისში ბაქოში მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზე, სადაც მეორე ბრძოლაში აზერბაიჯანელ მოკრივესთან დამარცხდი. არადა, მეოთხედფინალში გასვლის შემთხვევაში ლონდონის ოლიმპიადის საგზურსაც გაინაღდებდი.**

- მსოფლიო ჩემპიონატზე 64 კგ წონით კატეგორიაში გამოვედი. ყაზახეთში გავიარეთ ნაყოფიერი შეკრება და საკმაოდ კარგად ვიყავი მომზადებული. პირველი ბრძოლა განელ მაიკლ ბედიაკოს აშკარა უპირატესობით 29:5 მოვუგე. მომდევნო კი აზერბაიჯანელი გაიბატულა გაჯიალიევი იყო, რომლისთვისაც ადრე ორჯერ მქონდა მონაგები. თანაც, ბაქოს კლუბშიც ერთად ვიყავით, მე პირველ ნომრად, ის კი სათადაროგოდ. ერთი სიტყვით, მჯეროდა აზერბაიჯანელს ახლადაც დავამარცხებდი და მსაჯებს მასპინძელი მოკრივის მიმართ აშკარა სიმპათიები რომ არ გამოეჩინათ, მის დამარცხებას ახლაც შევძლებდი.

**- მსაჯების რა გადაწყვეტილებამ იქონია შედეგზე გავლენა?**

- პირველი ორი რაუნდი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. შემდეგ უპირატესობა მოვიპოვე და მასპინძელმა სხვა გზა რომ ვერ ნახა, თავი სახეში ჩამარტყა. ეს აშკარა დარღვევა იყო. იატაკზე აღმოვჩნდი. რეფერის 10 დათვლამდე რომ არ წამოვმდგარიყავი, აზერბაიჯანელს დისკვალიფიკაციას მისცემდნენ და მე-3 წრეში გავიდოდი. მაგრამ გადავწყვიტე, რომ ბოლომდე მებრძოლა. ყველა ნორმალური მოკრივე ასე მოიქცეოდა. ბრძოლა ბოლომდე უნდა ჩაატარო და წარმატებას ამგვარად მიაღწიო. წესით აზერბაიჯანელისთვის გაფრთხილება უნდა მიეცათ, მაგრამ მსაჯებმა ეს არ გააკეთეს. კარგადაც შევუტიე და მეტოქეს სამი დარტყმა მივაყენე, მაგრამ, როცა გამარჯვებული გამოაცხადეს, ყურებს არ დავუჯერე... მსაჯებმა გაჯიალიევის მოგება 18:15 დააფიქსირეს. არასწორი მსაჯობა როგორ არ მინახავს, მაგრამ ასეთი აშკარა მიკერძოება თუ შეიძლებოდა, ვერ წარმომედგინა. თავად აზერბაიჯანელები იყვნენ გაოცებული და ყველა აღნიშნავდა, რომ მოგება მე მეკუთვნოდა. ამ მარცხის გამო გულნატკენი ვარ, მაგრამ ყველაფერს ვილონებ, რომ ოლიმპიადის ლიცენზია მომდევნო ტურნირებზე მოვიპოვო.

**- რამდენიმე დღეში საქართველოს ჩემპიონატი დაიწყება, რას აპირებ?**

- დიდი გულმოდგინებით ვემზადები ამ ტურნირისთვის. სწორედ ჩემპიონატის შედეგების მიხედვით უნდა ჩამოყალიბდეს საქართველოს ნაკრები, რომელიც შემდეგ შეუდგება სალიცენზიო ტურნირებისთვის მზადებას. ამდენად, პირველ რიგში საქართველოს ჩემპიონობა უნდა მოვიპოვო.

**- შიდა პირველობაში ღირსეულ კონკურენციას თუ ელოდები?**

- წელიწადია საქართველოში ოფიციალურ ტურნირებში არ გამოვსულვარ, თუმცა, ვიცი, რომ ძლიერი ახალგაზრდა მოკრივეები წამოვიდნენ, რომლებმაც ევროპის ჩემპიონატზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ისინი ახლა დიდებში გადმოდიან და, იმედია, ჩვენი კონკურენტები და ღირსეული მოწინააღმდეგეები იქნებიან.

**- ამბობ, რომ შენი მთავარი მიზანი ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვებაა, თუმცა კრივში ამის მიღწევა ძალზედ რთულია...**

- ოლიმპიადაზე მოხვედრა ჩემი ოცნებაა და ცდას არ დავაკლებ, რომ სანადელს მივაღწიო. მთავარია იღბალიც ჩემ მხარეს იყოს.

**- ადრე 60 კგ-ში გამოდიოდი და ამ წონაში ორი წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალიც მოიპოვე, ახლა კი 64-ში ასპარეზობ, საოლიმპიადოდ რომელ წონაში აპირებ ბრძოლას?**

- ჯერ არ გადამიწყვეტია, რომელ წონაში დავრჩები. ეს კრივის მსოფლიო ფედერაციაზეა დამოკიდებული, რომელმაც უნდა დაალაგოს, რომელ წონაში რამდენი ლიცენზია გათამაშდება. სადაც მეტი შანსი იქნება, წონასაც ამის მიხედვით ავირჩევ.

**დავით პოხრეიძე**
ქუთაისიდან

**ლელოზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!**
**ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.**
**დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.**

● სუმო. კიუშუს ბაშო. 13-27 ნოემბერი

# არაფერი კარგი

36 ორთაბრძოლიდან 32 მარცხი - ქართველ სუმოისტთა თავს რაღაც ხდება. **ტოჩინოშინს (ლევან გორგაძე)**, **გაგამარუს (თეიმურაზ ჯუღელს)** და **კოკაის (ლევან ცაგურიას)** ერთდროულად დაუდგათ კარიერის ყველაზე წარუმატებელი ბაშო. ბოლო 15 ორთაბრძოლაა, ქართველები მხოლოდ აგებენ...

გუშინ დიდმა მონღოლმა **ჰაკუჰომ** უშუალო კონკურენტი **კოტოშოგიკუ** დაამარცხა, 12-0 ბალანსი გაუხდა და დარჩენილ სამ ბრძოლაში ერთი მოგება აშორებს კარიერაში 21-ე ტრიუმფთან.

**XII დღე**

ჰაკუჰო-კოტოშოგიკუ (კოტენაგე), ჰარუმაფუჯი-ბარუტო (იორიტაოში), კაკურიუ-კოტოოშუ (ოშიდაში), კისენოსატო-**გაგამარუ** (უვატენაგე), ჰომაშო-**ტოჩინოშინი** (იორიტაოში), ტოიონოშიმა-კიოკუტენჰო (იორიკირი), არანი-გოეიდო (ჰატაკიკომი), ტოჩინოვაკაოკინოუმი (იორიტაოში), ტოიოჰიბიკი-იოშიკაძე (იორიტაოში), კიტატაიკი-ფუჯიაზუმა (ოშიდაში), მიაბიამა-ვაკაკოიუ (ჰიკიოტოში), ამინიშიკი-დაიდო (უვატედაშინაგე), აოიამატაკეკაძე (ოშიდაში), ტოკიტენკუ-ტაკარაფუჯი (სუკუინაგე), ტაკაიასუ-ასასეკირიუ (უვატეჰინერი), საგაცუკასა-**კოკაი** (ცუკიოტოში), შოჰოზანი-მიოგირიუ (უვატენაგე), ცურუგიდაკე-ტამავაში (ჰიკიოტოში), სადანოფუჯი-კაისეი (იორიკირი), იოშიაზუმა-კიმურაიამა (იორიკირი).



**სატურნირო მდგომარეობა**

**12-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა).
**9-3:** კოტოშოგიკუ (ოძეკი), კისენოსატო (სეკივაკე), მიაბიამა (მაეგაშირა 6), ვაკაკოიუ (მ 9), აოიამა (მ 16)... 2-10: **გაგამარუ** (მ 3)... 1-11: **ტოჩინოშინი** (მ 2), **კოკაი** (მ 10).

**XIII დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰოკოტოოშუ, ბარუტო-კისენოსატო, კოტოშოგიკუ-ჰარუმაფუჯი, კაკურიუ-ოკინოუმი, ტოიონოშიმა-**გაგამარუ**, ჰომაშო-არანი, გოეიდო-კიოკუტენჰო, **ტოჩინოშინი**-კიტატაიკი, ტოჩინოვაკა-ამინიშიკი, იოშიკაძე-მიოგირიუ, **კოკაი**-ტაკარაფუჯი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ჩოგბურთი

# გორგოძე იბრძვის

ანთალიაში ქალთა და ვაჟთა მცირე საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს, რომელსაც დღეისათვის ერთადერთი ჩვენებური, 19 წლის **ეკა გორგოძე** (403) შემორჩა. ეკა მე-3 ნომრად არის განთესილი. მოულოდნელად, მას ძალიან გაუჭირდა საკვალიფიკაციო ბადის გამარჯვებული ურეიტინგო თურქის, **სულთან გონენის** დამარცხება - 3:6, 7:6 (4), 6:4. 15 წლის **ანი გოგვაძე** (1012) თანატოლ უკრაინელ **ვიქტორია ლუშკოვასთან** დამარცხდა - 3:6, 1:6. გორგოძის მეტოქე გერმანელი **სარარებეკა სეკულიჩი** (736) იქნება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეკა გორგოძე

● ბატუტზე ხტომა




# ვერცხლი ბირმინგემიდან

**გუშინ** ბრიტანული ბირმინგემიდან სასიხარულო ცნობა მივიღეთ - ახალგაზრდა ბატუტზე მხტომელთა მსოფლიოს პირველობაზე **ნანა გოგაშვილმა** და **თამუნა კაკაშვილმა** 17-18-წლიანთა სინქრონულ ხტომებში 44.000 ქულით ვერცხლის მედალი მოიპოვეს. ჩვენს გოგონებს 0.700 ქულით აჯობეს და პირველ ადგილზე გავიდნენ ბელარუსები - ლონი და ზაიცავა. 43.900 ქულით მე-3 ადგილი იაპონელებს - ოტანისა და ცუნოდას ხვდათ.

ქართველმა სპორტსმენებმა საკვალიფიკაციო ეტაპზეც კარგად იასპარეზეს - 42.600 ქულით მესამე ადგილი დაიკავეს. პირველ-მეორე ადგილები ბელარუსებმა და იაპონელებმა გაიყვეს. ფინალში რაც მოხდა, უკვე გაუწყეთ.

დღეს მედლებისთვის ბრძოლაში 13-14-წლიანები ჩაებმებიან. ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას 12-წლიანებში 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონი **ანა ოდიშვილი, თეონა ჯანჯღავა** (ისინი სინქრონულ ხტომებშიც გამოვლენ) და **ზურაბ ნოზაძე** დაიცავენ.

**ვაჟა დანელია**

● ძალოსნობა. შეხვედრა სეოკ-ში

# ოლიმპიური ჯილდო უტოპია არ არის

**უკვე გაუწყეთ, რომ საქართველოს ძალოსნებმა ორი სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატის ქულებით ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების 3 საგზური დაიმსახურეს. სწორედ ამ წარმატებას მიეძღვნა ქართველ ათლეტებთან შეხვედრა ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში, სადაც პარიზში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის შედეგები შეჯამდა.**

**გია ნაცვლიშვილი,** სეოკ-ის პრეზიდენტი: „ახალი ოლიმპიური ციკლის დასაწყისში ძალოსანთა ლონდონის ორ ლიცენზიაზეც, ალბათ, ყაბულს ვიქნებოდით, მაგრამ ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო. მას შემდეგ, რაც შარშან ანტალიაში ჩვენმა სპორტსმენებმა სამი საგზურისთვის საკმაო ქულები მოაგროვეს, საფრანგეთის დედაქალაქში მე-4 ლიცენზიაზეც დავიწყეთ ფიქრი. მცირედი დაგვაკლდა, ოცნება რეალობად გვექცია: მე-15 ადგილზე გასულ ოთხსაგზურიან სომხეთს სულ რაღაც 8 ქულით ჩამოვრჩით. ნაკრების თითოეულ წევრს შესაძლებლობის მაქსიმუმი რომ ეჩვენებინა, ამ სხვაობის დაძლევა სრულიად შესაძლებელი იყო. თუმცა, აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ გუნდის ექვსივე წარმომადგენელი ნაკრების საერთო ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა. რომ არა ეს მნიშვნელოვანი ამოცანა, დარწმუნებული ვარ, რომ გია მაჭავარიანი ორჭიდში უმედლოდ არ დარჩებოდა. ყოველივეს მიუხედავად, პარიზში ქართველი ძალოსნების გამოსვლა წარმატებულად მიმაჩნია. მინდა სპორტსმენებს, მათს მწვრთნელებსა და ფედერაციის მესვეურებს მადლობა გადავუხადო თავდადებული გარჯისთვის და სამი ლიცენზიის მოპოვება მივულოცო. მჯერა, რომ, საფრანგეთში ნაჩვენები შედეგებიდან გამომდინარე, გია მაჭავარიანს ბრიტანეთის დედაქალაქში მედლის მოპოვება შეუძლია. ასე რომ, ძალოსანთა ოლიმპიურ ჯილდოზე ოცნება სულაც არ არის უტოპიური.

**გიორგი ასანიძე,** პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე, ოლიმპიური ჩემპიონი: „ბოლო ოლიმპიადებზე ქართველ ძალოსნებს სტაბილურად ჰყავთ ორი-სამი წარმომადგენელი. ეს ნაკრების მთავარი მწვრთნელის - ვანო გრიქუროვის დამსახურებაა, რომელიც მცირე პაუზის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ჩვენს გუნდს და ბიჭებიც აგერ წელიწადზე მეტია, მისი მეთვალყურეობით მონდომებით ემზადებიან. შედეგებით ჩვენც კმაყოფილი ვართ და ეს ძალოსნობის ფედერაციის ძალისხმევასთან ერთად ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და სპორტის სამინისტროს დახმარებისა და თანადგომის შედეგია. ფედერაცია მიღწეულზე გაჩერებას არ აპირებს. რაც გაკეთდა, ეს პროგრამა მინიმუმია, ახლა პროგრამა მაქსიმუმზე უნდა ვიფიქროთ, რაც ძალოსნობაში ოლიმპიური მედლის მოპოვებას გულისხმობს. საამისოდ რეალური შანსი და საფუძველი გვაქვს და ისინი უნდა გამოვიყენოთ".


გია ნაცვლიშვილი (მარცხნივ) და გიორგი ასანიძე

შეხვედრის დასასრულს, ტრადიციისამებრ, ძალოსნებმა „ლონდონი 2012"-ის ლიცენზიატთა დაფაზე საკუთარი ხელმოწერები დააფიქსირეს.

შეგახსენებთ, რომ, პარიზში ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მოპოვებული სამი საგზურის გარდა, დიდ ბრიტანეთში გამგზავრება უკვე დაბევებული აქვთ ტყვიის მსროლელ ოლიმპიურ ჩემპიონ **ნინო სალუქვაძეს**, მშვილდოსნობაში მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორ **ქრისტინე ესებუას**, მოჭიდავეებს - **მანუჩარ ცხადაიას, დავით მოძმანაშვილს, დავით მარსაგიშვილს, დავით ხინჩეგაშვილსა** და **მალხაზ ზარქუას.** წლეულს სალიცენზიო ტურნირების ლიმიტი ამოიწურა. იგი 2012 წლის იანვრიდან განახლდება და, იმედია, ჩვენი ოლიმპიური გუნდის შემადგენლობაც საგრძნობლად გაიზრდება.

**ვაჟა დანელია**
კახა ბერიძის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორია

# რაგბი ლიგის ვარსკვლავები ბარბაროსებში



სონი ბილ ვილიამსი

„ბარბაროსების" შემადგენლობაში ოდითგანვე საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს იწვევდნენ. ამ კლუბის სახელოვანი ისტორია ამჟამადაც გრძელდება და შაბათს, „თვიქნემზე" ავსტრალიის ნაკრებს ეთამაშება. „ბარბაროსების" მწვრთნელმა **გრემ ჰენრიმ** გუნდში სათამაშოდ რაგბი ლიგის ვარსკვლავი **სემ ტომკინსი** მიიწვია. ის გარემარბად ითამაშებს. ალსანიშნავია, რომ რაგბილიგელი პირველად არ ხვდება ამ პრესტიჟული გუნდის შემადგენლობაში. მოდით, გავიხსენოთ ისინი:

## მეთ როჯერსი
### (ავსტრალია)

ამ მორაგბემ „ბარბაროსების" შემადგენლობაში პირველად 2001 წელს ითამაშა ავსტრალიის ნაკრებთან მატჩში. ალსანიშნავია, რომ მას იქამდე რაგბიში არასდროს ეთამაშა და რაგბი ლიგიდან სწორედ „ბარბაროსებთან" მატჩის შემდეგ გადავიდა სიდნეის „ვორათაზში", რომელიც იმ დროს ზე 12-ის გათამაშებაში ასპარეზობდა.

მიუხედავად იმისა, რომ „ბარბაროსები" მისგან ბევრს ელოდნენ, ავსტრალიის ნაკრებმა შეხვედრა 49:35 მოიგო. ვარსკვლავებით დახუნძლული ბარბაროსთა გუნდი მატჩის მიწურულს გამოერკვა და ხელდახელ ათამაშდა, თუმცა მხოლოდ შეტევაზე ფიქრობდა და დაცვაზე საერთოდ აილო ხელი. ამან „მილენიუმზე" შეკრებილი ქომაგების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ატყდა სტვენა და ერთი ამბავი.

როჯერსმა ავტრალიის ნაკრებში 45 კეპი მოიხვეჭა. მას კიდევ ერთხელ, 2004 წელს მოუწია „ბარბაროსების" შემადგენლობაში თამაშმა ახალი ზელანდიის ნაკრებთან.

## ლოტე ტუქირი
### (ავსტრალია)

ავსტრალიელი ფეხმარდი შუამარბი რაგბი ლიგიდან ერთ წელიწადზე მეტი ხნის წინ იყო გადასული, „ბარბაროსებში" სათამაშოდ რომ მიიწვიეს. ტუქირმა „ვოლაბების" შემადგენლობაში 2003 წლის მსოფლიოს თასზე ითამაშა. ერთი წლის შემდეგ კი ახალი ზელანდიის ნაკრებთან მატჩში „ბარბაროსებისთვის" გაისარჯა.

მიუხედავად იმისა, რომ მასთან ერთად ისეთი ვარსკვლავები თამაშობდნენ, მეთ გიტო და კრის ლათემი რომ არიან, „ოლ ბლექსმა" მაინც შეძლო „ბარბაროსების" დამარცხება - 47:19. 2008 წელს ტუქირის უკვე „ბარბაროსების" წინაალმდეგ მოუწია თამაშმა ავსტრალიის ნაკრების შემადგენლობაში.

2009 წელს ის „ვორათაზის" ღირსებას იცავდა, მერე ინგლისში „ლესტერ ტაიგერზში" თამაშობდა და შარშან ისევ რაგბი ლიგას დაუბრუნდა.

## ჯეისონ რობინსონი
### (ინგლისი)

ის ინგლისელთა ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი მორაგბეა. რაგბი ლიგაში ასპარეზობისას რობინსონი „ვიგანის" ღირსებას იცავდა. რაგბიში ის 2000 წელს გადაბარგდა და მუდამ „ბასისთვის" ირჯებოდა. 2003 წელს „პომებთან" ერთად მსოფლიოს თასის მფლობელი გახდა, მანამდე შესანიშნავად იასპარეზა 2001 წელს „ბრიტანელი ლომების" ტურნეში ავსტრალიაში.

2007 წლის მსოფლიოს თასზე მან ტრავმის გამო ფინალში თამაში ვერ შეძლო და რაგბიდან წასვლა გადაწყვიტა, იმავე წლის დეკემბერში ჯეისონი „ბარბაროსებში" იხმეს სამხრეთ აფრიკასთან სათამაშოდ. მაშინ „თვიქნემზე" „ბარბაროსებმა" მსოფლიოს თასის ახალ მფლობელ „ბოკეს" 22:5 მოუგეს. ეს იყო ჯეისონ რობინსონის ბოლო მატჩი პროფესიულ დონეზე.

## სონი ბილ ვილიამსი
### (ახალი ზელანდია)

ის რაგბი ლიგიდან რაგბიში 2008 წელს გადაბარგდა. ამას დიდი ხმაური და აურზაური მოჰყვა. სონი ბილიმ რაგბი ლიგის გუნდ „ქენთერბერი ბულდოგზთან" კონტრაქტი გაწყვიტა და ევროპაში, მულტიმილიონერი **მურეად ბურჯელალის** „ტულონთან" გააფორმა კონტრაქტი. ვილიამსმა ექვს თვეში 300 ათასი გირვანქა სტერლინგი გამოიმუშავა. ერთი წლის თავზე ის „ბარბაროსებში" იხმეს ავსტრალიის ნაკრებთან სათამაშოდ.

სონი ბილ ვილიამსის დებიუტი კატასტროფული გამოდგა. „ბარბაროსები" 7:55 დამარცხდნენ. ასეთი წარუმატებლობის მიუხედავად, ის სამშობლოში დაბრუნდა 2010 წელს ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზის" ღირსებას იცავდა. მანვე საკმაოდ დიდი როლი ითამაშა „ოლ ბლექსის" მიერ 2011 წლის მსოფლიოს თასის მოპოვებაში.

ალსანიშნავია, რომ სონი ბილ ვილიამსი პროფესიონალი მოკრივის საქმიანობასაც ეწევა. მან აქამდე სამი ბრძოლა გამართა და სამივე მოიგო.

## სკოტ გიბსი
### (უელსი)

უელსელმა შუამარბმა „ბარბაროსების" შემადგენლობაში სამჯერ ითამაშა. სკოტი პირველად შავ-თეთრი მაისურით 1992 წელს გამოჩნდა, როცა ლონდონში „ბარბაროსებმა" ავსტრალიის ნაკრებს 30:20 მოუგო. ორი წლის შემდეგ სკოტ გიბსმა კარდიფში, „მილენიუმზე" ახალი ზელანდიის ნაკრებთან ითამაშა. მაშინ „ბარბაროსებმა" 25:12 მოიგეს.

ყველაზე დრამატული და სანახაობრივად ულამაზესი, მისი „ბარბაროსებში" მესამედ გამოჩენა გამოდგა. 2000 წელს გიბსმა და კომპანიამ შოტლანდიის ნაკრები 45:42 დაამარცხა. ქომაგმა ჯამში 12 ლელო და **ზინზან ბრუკის, ნეილ ჯენკინსის, ლოურენს დალალიოსა** და თავად გიბსის შესანიშნავი თამაში იხილა.

მანამდე კი, სამი წლით ადრე, სკოტი „ბრიტანელი ლომების" შემადგენლობაში სამხრეთ აფრიკას ეწვია და გიბსი ტურნეს საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

## უენდელ სეილორი
### (ავსტრალია)

ის რაგბი ლიგის „ბრისბენ ბრონქსიდან" ქვიზლენდის „რედსში" 2002 წელს გადაბარგდა და 189 მატჩში 110 ლელო გაიტანა. სეილორი რაგბიში მეთ როჯერსთან და ლოტე ტუქირისთან ერთად მივიდა და 2003 წლის მსოფლიოს თასის ფინალშიც ითამაშა. უენდელ სეილორი ავსტრალიის ნაკრების შემადგენობაში 2006 წლამდე ირჯებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ კარიერის დასასრული ჰქონდა, 2005 წელს ის „ბარბაროსების" შემადგენლობაში ინგლისის ეროვნულ გუნდთან სათამაშოდ მიიწვიეს.



სემ ტომკინსი

ტესტები



დევიდ პოკოქი

# ვოლაბებს პოკოქი უკაპიტნებს

ავსტრალიის ნაკრები ხვალ „თვიქნემზე" „ბარბაროსებს" დაუპირისპირდება. „ვოლაბების" თავკაცმა **რობი დინსმა** კაპიტნობა გუნდის ერთ-ერთ ლიდერს, მესამეხაზელ **დევიდ პოკოქს** ანდო. გუნდის კაპიტანი, **ჯეიმზ ჰორვილი** კი სათადარიგოთა შორის გაამწესა.

პოკოქისთვის კაპიტნობა ახალი როდია. მართალია, ეროვნულ გუნდს ის პირველად წარუძღვება, მაგრამ ზე რაგბიში „ფორსს" კაპიტნობდა, ჯეელობისას კი ავსტრალიის 20-წლამდელთა ნაკრებს.

*„მსოფლიოს თასის გათამაშების მსვლელობისას ჯეიმზ ჰორვილმა მხარი დაიზიანა და ბოლომდე ჯერაც არ გამოჯანმრთელებულა. გავითვალისწინეთ, რომ მისთვის მძიმე დატვირთვები არ შეიძლება, სათადარიგოთა შორის დავასახელეთ.*

*ამასთან ერთად, ვგრძნობთ, რომ შესანიშნავი შესაძლებლობა მოგვეცა დევიდ პოკოქს მივცეთ შანსი გუნდს უკაპიტნოს და ამ მხრივ საკმაოდ სოლიდური, სასარგებლო გამოცდილება შეიძინოს"* - თქვა ავსტრალიის ნაკრების თავკაცმა რობი დინსმა.

ალსანიშნავია, რომ პოკოქს უკვე აქვს გარკვეული გავლენა გუნდზე. ის ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა თამაშისას გადაწყვეტილებების მიღებაში. ახლა ამის კეთება დევიდს, რომელიც უდავოდ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავია, დამოუკიდებლად მოუწევს.

კიდევ ერთი სიახლე „ვოლაბების" შემადგენლობაში **ჯეიმ ოკონორის** მგეზავის პოზიციაზე გამწესებაა. მას ეროვნულ გუნდში ამ პოზიციაზე არასდროს უთამაშია. გუნდის ძირითადი მგეზავი **ქუადე კუპერი** ახალ ზელანდიაში მესამე ადგილისთვის მატჩში დაშავდა და დღემდე მკურნალობს.

მისი დუბლიორი **ბერიკ ბარნსი** კი შუამარბად ითამაშებს და **რობ ჰორნს** შეუწყვილდება. ადამ-ეშლი კუპერი ფულბეკად ითამაშებს.

ავსტრალიის ნაკრებს „ბარბაროსებთან" ბოლო წლებში დადებითი ბალანსი აქვს. თუმცა ამ ნაკრების არაერთ მოთამაშეს მოურგია „ბარბაროსების" შავთეთრი კვართი. ასე მაგალითად, შარშან ეშლი კუპერმა, ოკონორმა და ცხრა ნომერმა **ვილი გენიამ** „ბარბაროსთა" მიერ სამხრეთ აფრიკის ეროვნული გუნდის ძლევაში მიიღეს მონაწილეობა.

***ავსტრალია:*** 15. ადამ ეშლი-კუპერი, 14. ლაკი ტერნერი, 13. რობ ჰორნი, 12. ბერიკ ბარნსი, 11. დიგბი იოანი, 10. ჯეიმზ ოკონორი, 9. ვილი გენია. 1. ჯეიმზ ჰისლიპი, 2. ტატაფუ პოლოტანაუ, 3. სალესი მააფუ, 4. რობ საიმონსი, 5. ნათან შარფი, 6. სკოტ ჰიგინბოთამი, 7. დევიდ პოკოქი, 8. ბენ მაკკალმენი.

16. სტივენ მური, 17. ბენ ალექსანდერი, 18. ჯეიმზ ჰორვილი, 19. დეივ დენისი. 20. მეთ ჰოჯსონი, 21. ნიკ ფიპსი, 22. ბენ ტაპუაი.

# ბარბაროსებს მეტფილდი წარუძღვება

შაბათს ლონდონში, „თვიქნემზე" ავსტრალიის ნაკრებთან გასამართავ მატჩში „ბარბაროსებს" სამხრეთ აფრიკის ნაკრების მეორეხაზელი **ვიქტორ მეტფილდი** უკაპიტნებს. „ბოკეს" 34 წლის ლეგენდარული მორაგბე ამ გუნდს 2009 წელსაც კაპიტნობდა ახალ ზელანდისთან მოგებულ მატჩში.

მეორე ხაზში მეტფილდს ინგლისელი **საიმონ შოუ** შეუწყვილდება. ის „ბარბაროსების" შემადგენლობაში მეორედ ითამაშებს. დებიუტი კი მას 17 წლის წინ ჰქონდა.

ახალი ზელანდიის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა **გრემ ჰენრიმ,** რომელიც ამჟამად „ბარბაროსების" თავკაცია, მგეზავად ინგლისის ნაკრებიდან მოკვეთილი დენი სიპრიანი დააყენა. ცხრა ნომრად კი მას **პიტერ სტრინგერი** შეუწყვილა.

ალსანიშნავია, გარემარბად რაგბი ლიგის ვარსკვლავის **სემ ტომკინსის** გამოძახება. მეორე ფრთას სამხრეთაფრიკელი **ბრაიან ჰაბანა** გაამაგრებს. სულ კი „ბარბაროსების" შემადგენლობაში 10 ქვეყნის მორაგბე ითამაშებს.

***ბარბაროსები:*** 15. ისაია ტოეავა, 14. სემ ტომკინსი, 13. რობი ფუანი, 12. სტირლინგ მორტლოკი, 11. ბრაიან ჰაბანა, 10. დენი სიპრიანი, 9. პიტერ სტრინგერი. 1. ეუსებიო გინასუ, 2. კევინ მეალამუ, 3. სილვენ მარკონე, 4. საიმონ შოუ, 5. ვიქტორ მეტფილდი, 6. ჯერომ კაინო, 7. მაურო ბერგამასკო, 8. ადამ თომსონი,

16. ადრიან სტრაუსი, 17. სალვატორე პერუჯინი, 18. ჯეისონ ვაითი, 19. მარკო ბორტოლამი, 20. ნემია კენატალე, 21. რიჩარდ კაჰუი, 22. სერუ რაბენი

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი

# მოლაპარაკებები განახლდა

გუშინ, ნიუ-იორკში განახლდა მოლაპარაკებები კლუბების მფლობელებსა და NBA-ის კალათბურთელებს შორის. ეს არის ლოკაუტის შეწყვეტისა და ახალი კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმების მორიგი შანსი.

მხარეები ისევ შეუდგნენ საერთო მოგების თანაბრად განაწილების საკითხის განხილვას. მოთამაშეთა ინტერესებს პროფკავშირების აღმასრულებელი დირექტორის **ბილი ჰანტერის** გარდა, NBA-ის ყოფილი მრჩეველი **ჯიმ ქუინიც** წარმოადგენდა.

დაინიშნა მორიგი შეხვედრაც - ის დღეს გაიმართება და მხარეები შეეცდებიან უახლოეს ხანში გააფორმონ ახალი კოლექტიური ხელშეკრულება, რათა სეზონი შობამდე დაიწყონ. ამ შემთხვევაში რეგულარულ ჩემპიონატში თითო გუნდი 66 შეხვედრას ჩაატარებს.

როგორც აღნიშნავენ, იურისტი **ჯეფრი კესლერი**, რომელიც ადრე მოთამაშეთა ინტერესებს წარმოადგენდა, მოლაპარაკებებში მონაწილეობას არ მიიღებს.

*„როცა ამერიკის ფეხბურთში ლოკაუტი იყო, მხარეებმა მხოლოდ მაშინ შეძლეს შეთანხმება, როცა კესლერმა მოლაპარაკებები დატოვა“*, - ამბობს მოლაპარაკებების ერთ-ერთი მონაწილე.

■ ■ ■

თურქეთის „ბეშიქთაში არ მშვიდდება და აგრძელებს შემადგენლობის გაძლიერებაზე ზრუნვას. ამჯერად, პრესა თურქული კლუბის მხრიდან „ლეიკერსის“ ფორვარდ **ლამარ ოდომისადმი** დაინტერესების შესახებ წერს.

ვებგვერდ Sportando-ს ინფორმაციით, საკმაოდ მაღალია იმის შანსი, რომ 32 წლის კალათბურთელმა „ბეშიქთაშის“ წინადადება მიიღოს.

■ ■ ■

„დალას მავერიქსის“ ვეტერანმა **ჯეისონ კიდმა** გასაყიდად გამოიტანა თავისი მდიდრული აპარტამენტები დალასში.

გამთამაშებელი 21-ე სართულზე განთავსებულ ბინას 1.6 მილიონ დოლარად ყიდის. ამის შესახებ კიდმა გასულ კვირას გამოაცხადა, როცა გაიგო, რომ NBA-ში ლოკაუტი დროში გაიწელებოდა.

ჟურნალისტებმა აქედან ის დასკვნა გამოიტანეს, რომ 39 წლის კალათბურთელს დალასის დატოვება აქვს განზრახული.

# პირველი საგზური არმიელებისაა

ოთხი მატჩით დაიწყო ევროლიგის ჯგუფური ეტაპის მეექვსე ტური. თითო ქვეჯგუფში თითო შეხვედრა გაიმართა.

პრინციპული იყო მატჩი A ჯგუფში „ოლიმპიაკოსსა“ და „ბილბაოს“ შორის. ორივე გუნდს აქამდე ორ-ორი მოგება ჰქონდა და გამარჯვება შემდეგ ეტაპზე გასვლის კარგ შანსს იძლეოდა. შესაბამისად, შეხვედრა ძალიან დაძაბული გამოვიდა და „ოლიმპიაკოსმა“ მხოლოდ ბოლო მეოთხედში დაამტკიცა ფავორიტის სტატუსი.

„ბილბაომ“ მესამე მეოთხედი აღმავლობით ჩაატარა და ბოლო 10-წუთეულის წინ ერთი ქულით გავიდა წინ, მაგრამ მატჩის ბოლოს გადამწყვეტი სიტყვა თქვა „ოლიმპიაკოსის“ ვეტერანმა **სპანულისმა**. მისი აქტიურობით ბერძნებმა 28:20 მოიგეს ბოლო მეოთხედი და 88:81 გაიმარჯვეს. სპანულისი 29 ქულით ორივე გუნდში ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო.

■ ■ ■

B ჯგუფში ზედიზედ მეექვსე გამარჯვებას მიაღწია მოსკოვის ცსკა-მ და პირველმა გაინაღდა შემდეგ ეტაპზე თამაში. არმიელებმა 13 ქულით მოუგეს ტრადიციულ მეტოქეს კაუნასის „ჟალგირისს“. მასპინძლებს თავიანთი ლიდერი - **ანდრეი კირილენკო** აკლდათ და ამის გამო პირველ მეოთხედში ოდნავ გაუჭირდათ - ლიტველებმა მატჩის საწყისი მონაკვეთი მინიმალური სხვაობით მოიგეს.

მაგრამ ამის შემდეგ ცსკა მეთოდურად ზრდიდა ანგარიშს თავის სასარგებლოდ, ხოლო გადამწყვეტი დარტყმა მეტოქეს მეოთხე მეოთხედში მიაყენა. ბოლო 10-წუთეული არმიელებმა 6 ქულით მოიგეს და საბოლოოდ - 95:82 გაიმარჯვეს.

კირილენკოს არყოფნაში ლიდერის როლი სერბმა ცენტრმა **ნენად კრსტიჩმა** იტვირთა, რომელმაც 21 ქულა შესძინა მოსკოველებს.

„ჟალგირისს“ ექვსი ტურის შემდეგ მხოლოდ ერთი მოგება აქვს და პრაქტიკულად დაკარგა შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი.

■ ■ ■

ლოგიკური შედეგი დაფიქსირდა თურქეთის „ეფესისა“ და სერბეთის „პარტიზანის“ შეხვედრაში. მართალია, სერბეთის ჩემპიონმა სამ მეოთხედში ტოლსწორად იბრძოლა თურქული გრანდის წინააღმდეგ, მაგრამ მესამე მეოთხედი ჩააგდო და ამის ხარჯზე დამარცხდა.

პირველი ტაიმი „ეფესმა“ მხოლოდ ორი ქულით მოიგო. სწორედ ამ დროს ათამაშდა რუსი ჩოგბურთელის **მარია შარაპოვას** ბოიფრენდი **საშა ვუაიჩიჩი**, რომელმაც თავისი გუნდის 11-ქულიანი გაქცევა უზრუნველყო და ამის შემდეგ „პარტიზანი“ მეტოქეს ველარ დაეწია. მართალია, სტუმრებმა ოთხი ქულით მოიგეს ბოლო მეოთხედი, მაგრამ საბოლოო ჯამში, 58:67 დამარცხდნენ.

„ეფესი“ ამ მოგებით გაუთანაბრდა პარტიზანს - მათ ექვსიდან სამ-სამი მოგება აქვთ.

■ ■ ■

დაბოლოს, სენსაცია მოხდა სიენაში, სადაც ადგილობრივმა „მონტეპასკიმ“ რუსეთის უნიქსთან წააგო.

იტალიელთა პრობლემები პირველ მეოთხედში გამოჩნდა, რომელიც სტუმრებმა 5 ქულით მოიგეს, თუმცა ასეთივე სხვაობა დაფიქსირდა მეორე 10-წუთეულში „მონტეპასკის“ სასარგებლოდ და გუნდები საყაიმო ანგარიშით გავიდნენ შესვენებაზე.

მესამე მეოთხედი უკეთ „მონტეპასკიმ“ ჩატარა და ოთხი ქულით გაიჭრა წინ. თითქოს იტალიელებს აღარ უნდა გაჭირვებოდათ გამარჯვება, მაგრამ უნიქსის ლიდერი **დომერკანტი** შეუჩერებელი იყო. მან თავისი მონაგარის თითქმის ნახევარი ბოლო მეოთხედში მოიხვეჭა და მისი დახმარებით რუსებმა ბოლო 10 წუთი ათი ქულით, ხოლო მატჩი ექვსი ქულის სხვაობით მოიგეს - 79:73.

დომერკანტმა 24 ქულა დააგროვა, „მონტეპასკიში“ კი 22 ქულით ყველაზე შედეგიანი **მაკალები** იყო.

„მონტეპასკი“ და უნიქსი 4-4 მოგებით მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ ჯგუფში.

**A ჯგუფი**

**ოლიმპიაკოსი-ბილბაო 88:81**

**27:24, 18:18, 15:19, 28:20**

ო: სპანულისი (29), ანტიჩი (18+5 მოხსნა), ჰეინსი (13+7 მოხსნა), პრინტეცისი (8), პაპანიკოლაუ (8).

ბ: მუმბრუ (17), ბანიჩი (15), ბლუმსი (14), ჯექსონი (13), ფიშერი (9+7 მოხსნა).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. კ. ლაბორალი | 3 | 2 | 7 |
| 2. კანტუ | 3 | 2 | 7 |
| 3. ფენერბაჰჩე | 3 | 2 | -1 |
| 4. ოლიმპიაკოსი | 3 | 3 | 9 |
| 5. ნანსი | 2 | 3 | -9 |
| 6. ბილბაო | 2 | 4 | -13 |

**B ჯგუფი**

**ცსკა-ჟალგირისი 95:82**

**24:25, 27:20, 22:21, 22:16**

ც: კრსტიჩი (21), შვედი (16), ვორონცევიჩი (14), ტეოდოშიჩი (14), ყურბანოვი (10), შიშკაუსკასი (8).

ჟ: უიმსი (22), პოპოვიჩი (12), დელინინკაიტისი (12), რაკოვიჩი (10), იანკუნასი (9).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. ცსკა | 6 | 0 | 101 |
| 2. პანათინაიკოსი | 3 | 2 | 52 |
| 3. უნიკახა | 3 | 2 | -10 |
| 4. ბამბერგი | 2 | 3 | 2 |
| 5. ზაგრები | 1 | 4 | -104 |
| 6. ჟალგირისი | 1 | 5 | -41 |

**C ჯგუფი**

**ეფესი-პარტიზანი 67:58**

**15:17, 15:11, 19:8, 18:22**

ე: ვუიაჩიჩი (21+5 მოხსნა), სავანოვიჩი (16).

პ: მაჩვანი (15+5 მოხსნა), ანდიუშიჩი (10), ლოუ (10).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. მაკაბი | 4 | 1 | 20 |
| 2. რეალი | 3 | 2 | 44 |
| 3. ეფესი | 3 | 3 | 0 |
| 4. პარტიზანი | 3 | 3 | -9 |
| 5. მილანი | 2 | 3 | -7 |
| 6. შარლერუა | 1 | 4 | -48 |

**D ჯგუფი**

**მონტეპასკი-უნიქსი 73:79**

**16:21, 25:20, 20:16, 12:22**

მ: მაკალები (22), კაუკენასი (13), ლავრინოვიჩი (8).

უ: დომერკანტი (24+5 მოხსნა), ვერემეენკო (21+10 მოხსნა), გრირი (12), სამოილენკო (8+4 პასი).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 5 | 0 | 98 |
| 2. მონტეპასკი | 4 | 2 | 44 |
| 3. უნიქსი | 4 | 2 | 8 |
| 4. გალათასარაი | 2 | 3 | -21 |
| 5. ოლიმპია | 1 | 4 | -75 |
| 6. პროკომი | 0 | 5 | -54 |

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**დეტროიტი-კალგარი 5:3**

**1:0, 1:2, 3:1**

**გოლები:** 1:0 ჰოლმსტრიომი-2 (ლიდსტრიომი-9, ჰუდლერი-7), 1:1 იგინლა-6 (ტანგეი-12, კ. ბატლერი-4), 1:2 მორისონი-1 (ჯეკმენი-3), 2:2 ი. უაიტი-4 (დაციუკი-12, ფრანცენი-11), 3:2 ჰოლმსტრიომი-3 (დაციუკი-13, ი. უაიტი-5), 3:3 ო. იოკინენი-5 (ბროდი-2, ბოუმისტერი-6), 4:3 დაციუკი-5 (ლიდსტრიომი-10, ზეტერბერგი-6), 5:3 ფილპულა-4 (ჰუდლერი-8, ი. უაიტი-6).

**კაროლინა-მონრეალი 3:4 (ბ)**

**2:0, 0:1, 1:2, 0:0**

**გოლები:** 1:0 ტლუსტი-3 (ბ. სატერი-3, ფაულკი-2), 2:0 ე. სტიუარტი-4 (ბრენტი-3, ბ. სატერი-2), 1:2 ელერი-2 (დაიასი-5), 2:2 კამალერი-5 (ჯორჯესი-8, სუბანი-8), 3:2 ბ. სატერი-5 (დუაიერი-3, ტლუსტი-5), 3:3 მოენი-7 (ი. უებერი-5, ელერი-5).

**ბულიტები გაიტანეს:** ჯონტა (მონრეალი).

**ვაშინგტონი-ვინიპეგი 4:3**

**2:2, 1:0, 0:1, 1:0**

**გოლები:** 1:0 სიომინი-5 (ოვეჩკინი-9, ჯ. კარლსონი-7), 1:1 ლედი-7 (ანტროპოვი-10, უელვუდი-10), 2:1 ჩიმერა-7 (ლეიჩი-9, ელზნერი-6), 2:2 უელვუდი-7 (ლედი-5, ბოგოსიანი-6), 3:2 ბექსტრიომი-7 (ბროუერი-6, ორლოვი-1), 3:3 ლიტლი-5 (ველერი-10, ფლუდი-2), 4:3 ჩიმერა-8 (ვიდემანი-10, მ. იოჰანსონი-6).

**პიტსბურგი-სენტ ლუისი 2:3 (ო)**

**0:1, 0:0, 2:1, 0:1**

**გოლები:** 0:1 ნიკოლი-1, 1:1 სალივანი-3 (მალკინი-11, ტაილერ კენედი-4), 1:2 ლანგენბრუნერი-2 (კ. სტიუარტი-3, ი. კოული-1), 2:2 ჯ. ნილი-13 (მალკინი-12), 2:3 პიეტრანჯელო-3 (სობოტკა-7, დ'აგოსტინი-4).

**აილენდერსი-ფილადელ. 3:4 (ო)**

**3:1, 0:1, 0:1, 0:1**

**გოლები:** 0:1 მეზაროში-2 (ტელბოტი-6, მ. კარლი-7), 1:1 ოკსოპო-1 (გრაბნერი-3), 2:1 ოკსოპო-2 (ბეილი-3, გრაბნერი-4), 3:1 გრაბნერი-6 (ოკსოპო-4, ნილსენი-6), 4:2 ჰარტნელი-9 (ვორაჩეკი-11, კ. ჟირუ-16), 4:3 ბრიერი-6 (ქობურნი-4), 3:4 ბრიერი-7 (ჰარტნელი-10, ქობურნი-5).

**ნიუ ჯერსი-კოლამბუსი 2:1 (ბ)**

**0:0, 1:0, 0:1, 0:0**

**გოლები:** 1:0 ზუბრუსი-7 (ა. ლარსონი-5, ელიაში-12), 1:1 ბოლი-1 (მეტოტი-2, პროსპალი-13).

**ბულიტები გაიტანეს:** კოვალჩუკი (ნიუ ჯერსი), პარიზე (ნიუ ჯერსი).

**ბაფალო-ბოსტონი 3:4 (ბ)**

**2:0, 1:2, 0:1, 0:0**

**გოლები:** 1:0 ერჰოფი-2 (სტეფორდი-8, გრანიანი-6), 2:0 ვანეკი-12 (პომინვილი-16), 2:1 სეგუინი-12 (პ. ბერჟერონი-11, პევერლი-8), 3:1 ბრენანი-1 (დ. როი-9, გრანიანი-7), 3:2 მარშანი-7 (პ. ბერჟერონი-12, სეგუინი-11), 3:3 ხარა-3 (ლუჩიჩი-8, კრეისი-6).

**ფლორიდა-რეინჯერსი 2:1**

**1:0, 1:1, 0:0**

**გოლები:** 1:0 გარისონი-8 (ბ. კემპბელი-17, ფლიშმანი-12), 2:0 ვერსტიგი-12 (ფლიშმანი-13, ელერბი-2), 2:1 სტეპანი-4 (გაბორიკი-7, მაკდონაჰი-5).

**დალასი-ლოს ანჯელესი 3:2 (ო)**

**0:0, 0:2, 2:0, 1:0**

**გოლები:** 0:1 მ. რიჩარდსი-10 (დ. ბრაუნი-10), 0:2 უესტგარტი-1 (მორო-3), 1:2 ბენი-6 (ნისტრიომი-2, დვორაკი-7), 2:2 ლ. ერიქსონი-10 (ბენი-15, რაიდერი-6), 3:2 ოტი-4 (რობიდასი-4, რიბეირო-12).

**ფინიქსი-ანაჰაიმი 4:2**

**2:1, 1:0, 1:1**

**გოლები:** 0:1 ს. კოივუ-4 (კოლიანო-4, ფაულერი-8), 1:1 იენდლი-2 (დოუნი-7, რეი უიტნი-11), 2:1 ვრბატა-10 (ჰანჟალი-9, იენდლი-11), 3:1 ვრბატა-11 (ეკმან-ლარსონი-4), 4:1 ეკმან-ლარსონი-5 (დოუნი-8), 4:2 პერი-8 (გეტცლაფი-9, ლიდმანი-6).

**კოლორადო-ვანკუვერი 0:3**

**0:1, 0:1, 0:1**

**გოლები:** 0:1 მალორტა-1 (ჰოჯსონი-6, ჰანსენი-4), 0:2 ბაროუზი-6 (ჰამჰუისი-9), 0:3 კესლერი-3.

**სან ხოსე-ჩიკაგო 1:0**

**0:0, 1:0, 0:0**

გოლი: 1:0 დემერსი-1 (ქლოუ-10, კუტური-8).

**მინესოტა-ნეშვილი 3:2**

**0:1, 0:0, 3:1**

**გოლები:** 0:1 ტუტუ-2 (კ. სმიტი-9, სპალინგი-4), 1:1 ჰიტლი-6 (მ. კოივუ-11, სეტოგუჩი-5), 2:1 ბროძიაკი-5 (კულენი-4, სკანდელა-1), 3:1 კლატერბეკი-5 (მ. კოივუ-12), 3:2 რ. სატერი-5 (ტუტუ-5, ერატი-5).

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**იტალიის თასი**

**IV რაუნდი**

| | |
|---|---|
| ფიორენტინა-ემპოლი | 2:1 |
| ჯენოა-ბარი | 2:2 დ.დ. 3:2 |
| კალიარი-სიენა | 1:2 |

**პორტუგალია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ატლეტიკო-მორეირენსე | 2:3 |

**დანიის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| ვეილე-კიოგე | 1:2 |
| ფრედერისია-ჰორსენსი | 1:2 |
| კოპენჰაგენი-ნორდსილანდი | 2:0 |

**საბერძნეთის თასი**

| | |
|---|---|
| როუფი-დიაგორასი | 0:0 პენ. 2:4 |

**თურქეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| დენიზლი-გიუნგორენი | 3:1 |
| ელაზიგი-საქარია | 3:0 |
| ქასიმფაშა-გიოზთეფე | 2:1 |
| ბუძა-ახისარი | 1:3 |

**მაკედონია**

| | |
|---|---|
| 11 ოქტომბრი-ტურნოვო | 2:0 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

**კაცები**

| | |
|---|---|
| გალასარაი-პროკომი | 78:76 (ო) |
| რეალი-შარლერუა | 93:89 |
| მაკაბი-მილანი | 85:76 |
| ბარსელონა-ოლიმპია | 72:46 |
| კახა ლაბორ.-ფენერბაჰჩე | 90:85 (ო) |
| ნანსი-კანტუ | 76:75 |
| უნიკახა-პანათინაიკოსი | 76:77 |
| ზაგრები-ბამბერგი | 86:74 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| რივასი-ტარანტო | 74:70 |

**ხელბურთი**

**ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| შაფჰაუზენი-სავეჰოფი | 40:32 |
| ჩეხ. მედვედი-სილკებორგი | 30:23 |
| კონსტანტა-მეტალურგი | 20:19 |

**ფრენბურთი**

**მსოფლიოს თასი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| არგენტინა-კუბა | 3:1 |
| ეგვიპტე-აშშ | 0:3 |
| პოლონეთი-ირანი | 2:3 |
| ბრაზილია-რუსეთი | 3:0 |
| სერბეთი-იაპონია | 3:2 |
| იტალია-ჩინეთი | 3:0 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ტრაქტორი-დინამო (მნ) | 4:2 |
| სკა-დინამო (მ) | 3:4 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| რუსენბორგი-სტავანგერი | 1:3 |
| მანგლერუდი-სტიერნენი | 1:2 |
| სტორჰამარი-ლილეჰამერი | 2:1 |
| ვოლერენგა-სპარტა | 3:7 |
| ფრისკ ასკერი-ლორენსკოგი | 2:9 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ბლუზი-ლუკო | 4:5 (ბ) |
| ტაპარა-ჰპკ | 4:3 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ლიბერეცი-ლიტვინოვი | 4:1 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ბრინასი-შელეფტეო | 3:1 |
| ფერიესტადი-ვაქსიო | 6:4 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ლონდონი**

| | |
|---|---|
| ფედერერი-ფიში | 6:1, 3:6, 6:3 |

● TV პროგრამა

**25 ნოემბერი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** არგენტინის ჩემპიონატი. XV ტურის მიმოხილვა.
**11:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXVI ტურის მიმოხილვა.
**11:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
**12:00** გადაცემა - საფეხბურთო ღამე.
**13:30** იტალიის შოუ.
**14:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIII ტური. ჰერაკლესი-ტვენტე.
**16:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XIII ტური. ბარსელონა-სარაგოსა.
**18:00** იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**18:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. XII ტური. ტოტენჰემი-ასტონ ვილა.
**21:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**22:30** იტალიის ჩემპიონატი. XIII ტურის წინ.
**23:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XIV ტურის წინ.
**23:45** იტალიის ჩემპიონატი. XIII ტური. უდინეზე-რომა (LIVE).
**01:30** საფრანგეთის ჩემპიონატი. XV ტურის წინ.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-მილანი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. ოკლაჰომა-დალასი.
**14:45** სუპერკოლაჟი.
**15:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ნიუკასლი.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ლენსტერი-გლაზგო უორიორზი.
**19:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - მსოფლიო მძლეოსნობა.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-ვერდერი.
**22:00** ევროლიგა. მიმოხილვა VI ტური
**23:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**23:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XIV ტური. კიოლნი-ბორუსია (მ) (LIVE).
**01:30** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. ოკლაჰომა-დალასი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**10:45** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. რაფაელ ნადალი-ჟო-ვილფრიდ ცონგა. ლონდონი. ინგლისი.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** ფეხბურთი. ესპანეთი ჩემპიონატი.სევილია - ბილბაო
**15:00** სპორტ NEWS
**15:30** კალათბურთი.ევროლიგა. უნიკახა – პანათინაიკოსი 24.11
**16:50** ტელეჟურნალი : ტრანსვორლდსპორტი
**17:30** ჩოგბურთი.ლონდონი. ATP მიმოხილვა
**18:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ნოვაკ ჯოკოვიჩი-იანკო ტიპსარევიჩი. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
**20:00** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ცსკა-ჟალგირისი.
**22:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. II ტური. მანსტერი-ნორთჰემპტონი.
**00:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. დავიდ ფერერი-ტომაშ ბერდიხი. ლონდონი. ინგლისი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**23:40** იტალიის ჩემპიონატი. უდინეზე-რომა (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

**23:25** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. კიოლნი-ბორუსია (მ) (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**18:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ნოვაკ ჯოკოვიჩი-იანკო ტიპსარევიჩი. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
**00:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. დავიდ ფერერი-ტომაშ ბერდიხი. ლონდონი. ინგლისი (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**17:55** რუსეთის ჩემპიონატი. კრ. კრილია-სპარტაკი (LIVE).
**19:45** რუსეთის ჩემპიონატი. ხიმკი-სპარტაკი (LIVE).

**EUROSPORT**

**14:30** სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. ქალები/კაცები. სპრინტი. კუუსამო. ფინეთი (LIVE).
**16:30** სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. ტრამპლინი. HS142. კუუსამო. ფინეთი (LIVE).
**18:15** სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. რბოლა. კუუსამო. ფინეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

**15:00** ფიგურული სრიალი. გრან-პრი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
**16:00** ფიგურული სრიალი. გრან-პრი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
**18:45** ფიგურული სრიალი. გრან-პრი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
**20:30** ფიგურული სრიალი. გრან-პრი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიზმი

ჟანი ლონგო



# ბებია მერვე ოლიმპიადაზე მიდის

ლეგენდარულ ფრანგ ველომრბოლ ქალს **ჟანი ლონგოს** მოუხსნეს ანტისადოპინგო წესების დარღვევის ბრალდება.

მსოფლიოს ცხრაგზის ჩემპიონს ბრალად ედებოდა დოპინგ-ოფიცრებისთვის სამჯერ თავისი ადგილსამყოფლის დამალვა, რის გამოც მას ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია ემუქრებოდა. მაგრამ ეს დარღვევა უსაფუძვლოდ გამოცხადდა და ახლა, საფრანგეთის ველოსპორტის ფედერაციას არანაირი პრეტენზია არ გააჩნია 53 წლის ველომრბოლის მიმართ.

ასე რომ, ლონგო შეძლებს გაისად ლონდონის ოლიპიადაზე გამოსვლას, რომელიც რიგით მერვე (!) იქნება მის კარიერაში. დღემდე ფრანგს ოთხი ოლიმპიური მედალი აქვს მოპოვებული: ოქრო და ვერცხლი ატლანტაში 1996 წელს, ვერცხლი ბარსელონაში (1992) და ბრინჯაო სიდნეიში (2000).

ცურვა

# ტორპის მორიგი დებიუტი

ლეგენდარული ავსტრალიელი **იან ტორპი** დიდ სპორტში დაბრუნების შემდეგ პირველად გამოვა 50-მეტრიან აუზში. ხუთგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა განაცხადი შეიტანა 16-17 დეკემბერს, იტალიის ქალაქ რიჩონიში გასამართავ ტურნირზე. ბოლოს ტორპი „გრძელ" აუზში 2004 წელს, ათენის ოლიმპიური თამაშების დროს გამოდიოდა.



იან ტორპი

ცოტა ხნის წინ, ტორპმა ხუთწლიანი პაუზის შემდეგ კარიერა მსოფლიოს თასის ეტაპებზე განაახლა. ის სინგაპურის, პეკინისა და ტოკიოს აუზებში გამოდიოდა, თუმცა უმეტეს დისციპლინაში ვერ შეძლო ფინალში გასვლა.

ტორპისთვის იტალიური ტურნირი მზადების მორიგი ეტაპი იქნება ავსტრალიის ჩემპიონატისთვის, რომელიც მომავალი წლის მარტში გაიმართება და იქ ლონდონის ოლიმპიური თამაშების საგზურები განაწილდება. სულ ტორპი შესარჩევ ტურნირამდე ხუთ შეჯიბრებაში აპირებს მონაწილეობას.

■ ■ ■

50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მსოფლიოსა და ოლიმპიადის ჩემპიონი, ბრაზილიელი **სეზარ სელიუ** საკუთარ მზადყოფნას 14-18 დეკემბერს, რიო-დე-ჟანეიროს ტურნირზე შეამოწმებს. მომავალი წლის გაზაფხულზე კი ბრაზილიელი ოლიმპიადის მზადების ციკლში მონაწილეობას მიღებს ევროპის ჩემპიონატში, რომელიც ბელგიის ქალაქ ანტვერპენში გაიმართება.

თუმცა არ კონკრეტდება, როგორ მოახერხებს სელიუ ევროპის პირველობაზე გამოსვლას, რადგან ევროპის საწყლოსნო სახეობების ფედერაციის წესდება კრძალავს კონტინენტის პირველობაზე სხვა კონტინენტიდან მოცურავეების გამოსვლას.

# როგეს იაფი ოლიმპიადები უნდა



ჟაკ როგე

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **ჟაკ როგე** მიიჩნევს, რომ ოლიმპიური თამაშების ორგანიზება მეტად ძვირი სიამოვნება გახდა და საჭიროა, შესაბამისი ხარჯების შემცირება.

*„ქვეყნები აგრძელებენ მზადებას ოლიმპიადებისთვის, იუნიორთა თამაშებისა და ფესტივალებისთვის, განვითარების დინამიკა დადებითია. მაგრამ ფრთხილად უნდა ვიყოთ. დიახ, ბოლო პერიოდში ოლიმპიადები კარგად იყო ორგანიზებული, მასპინძლობის კანდიდატებიც მრავლად არიან, მაგრამ შემაშფოთებელია ხარჯების ზრდა.*

*თამაშების ორგანიზება - რთული და ხარჯიანი საქმეა. თუ ჩვენ არ დავიწყებთ დანახარჯების შემცირებას, პრეტენდენტი ქალაქების რიცხვი სულ უფრო და უფრო შემცირდება. სოკ-ის მორიგი ალმასკომი მარტში გაიმართება. და იქ ვაპირებ გამოვიდე წინადადებით, რომელიც სოჭის 2014 წლის ზამთრის თამაშების ხარჯების შემცირებისკენ იქნება მოწოდებული.*

*სამი კვირის წინ, სემინარი გვქონდა ლოზანაში, იმ ქალაქებისთვისა და ეროვნული კომიტეტებისთვის, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ თამაშების ჩატარებაზე. სხვადასხვა წელს ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე განაცხადი 22 ოლიმპიურ კომიტეტს აქვს შეტანილი. ეს დადებითი მომენტია ჩვენი ორგანიზაციის მომავლისთვის"*, - განაცხადა როგემ.

ჩოგბურთი

# სერბეთის უიღბლო დღე

ლონდონში, წლის შემაჯამებელ ტურნირზე მეორე ტური A ჯგუფის მონაწილეებმა დაასრულეს. სერბმა **იანკო ტიპსარევიჩმა** ღირსეულად შეცვალა მასპინძელი **ენდი მიურეი**, მაგრამ მატჩბოლის მიუხედავად, მაინც წააგო ჩეხ **ტომაშ ბერდიხთან.** მეორე სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** კი 33 უნებლიე შეცდომა დაუშვა და ესპანელ **დავიდ ფერერთან** თავი შეირცხვინა.

პირველები კორტზე ტომაშ ბერდიხი და იანკო ტიპსარევიჩი გავიდნენ. სერბმა ჩოგბურთელმა წელს ყველაზე შთამბეჭდავი პროგრესი განიცადა. ადრე იანკო ტოპ-ოცდაათეულშიც კი არასოდეს ყოფილა. მან წელი 49-ე ჩოგანის რანგში დაიწყო და თავისი 27-ე დაბადების დღისთვის 30 საუკეთესოს შორის შევიდა. ცოტა ხნის წინ, პარიზის „მასტერსის" შემდეგ კი რეიტინგის მეცხრე პოზიცია მოიპოვა. გარდა ამისა, წელს კარიერაში პირველი ტიტული მოიპოვა კუალა ლუმპურში, შემდეგ წარმატება მოსკოვში გაიმეორა.

ტიპსარევიჩმა კარგად დაიწყო ბერდიხთან მატჩი. პირველი სეტის პირველივე გეიმში აიღო ბრეიკი, შემდეგ უპირატესობა განავრცო და საწყისი პარტია 37 წუთში - 6:2 მოიგო.

მეორე სეტში ბერდიხმა შესამჩნევად გააუმჯობესა თამაში მოწოდებაზე და სერბს ერთი ბრეიკ-პოინტიც არ მისცა. თავად ტომაშმა კი მერვე გეიმში აიღო მეტოქის მოწოდება და შემდეგ გეიმში პირველივე სეტბოლი გამოიყენა - 6:3.

და მაინც, მესამე სეტში სათამაშო უპირატესობა იანკოს ჰქონდა. ის ორჯერ ძალიან ახლოს იყო ბრეიკთან, მაგრამ ბერდიხს მოწოდება და ბადესთან გასვლა შველოდა. საბოლოოდ, ჩეხმა საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა, არადა, მიღებაზე მხოლოდ ორი ქულა აიღო. „შემოკლებულ გეიმში" კულმინაციური მომენტი იყო - 6:5-ზე ტიპსარევიჩის მატჩბოლი. სერბი აწვდიდა, თითქოს კარგად გაითამაშა კომბინაცია, მაგრამ ჰაერიდან დარტყმული ააცილა. შემდეგ კი ორმაგი შეცდომაც დაუშვა და ჩეხმა თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა.

■ ■ ■

დღის მეორე მატჩმა გამოაჩინა მსოფლიოს პირველი ჩოგანის პრობლემები. ნოვაკ ჯოკოვიჩმა ტრავმების გამო სეზონის ბოლოს აშკარად დაკარგა სპორტული ფორმა და ფერერი ძალიან მარტივად გაუსწორდა მსოფლიოს პირველ ჩოგანს.

რა თქმა უნდა, თითქმის ყველა გეიმში იყო ბრძოლა და ვერ ვიტყვით, რომ ჯოკოვიჩმა მთლიანად ჩააგდო შეხვედრა. პირველ სეტში თანაბარი თამაში 3:3-მდე იყო. ამ დროს ვერავინ იფიქრებდა, რომ ამის შემდეგ, სერბი მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ ერთ გეიმს აიღებდა. ფერერმა ბრეიკი გააკეთა. იქვე ესპანელმა საკუთარი გეიმიც აიღო, ხოლო შემდეგ ზედიზედ მეორედ მოიგო მეტოქის მოწოდება და 41 წუთში სეტში 6:3 გაიმარჯვა.

მეორე პარტიის დასაწყისში ფერერმა თავიდანვე ბრეიკი აიღო, ცოტა ხანში კი 3:0 წაიყვანა ანგარიში და აშკარად ჩანდა, რომ ჯოკოვიჩი არ ჩანდა ამ მატჩის გადამრჩენი. 1:6 - ასეთი ანგარიშით წააგო მეორე სეტი ნოვაკმა.

დავიდმა მეხუთედ დაამარცხა კარიერაში ჯოკოვიჩი და ამ წარმატების წყალობით გაინაღდა ნახევარფინალში თამაში.

ბოლო ტურში ფერერი ტომაშ ბერდიხს შეხვდება, ჯოკოვიჩი - ტიპსარევიჩს. თუ დავიდი შეძლებს ტომაშის დამარცხებას, ეს ნოვაკს ნახევარფინალში გაიყვანს, რადგან პირად შეხვედრაში უპირატესობა აქვს ჩეხ ჩოგბურთელზე. თუ ბერდიხი გაიმარჯვებს ორ სეტში, სერბს არანაირი შანსი აღარ ექნება, რადგან სეტების შეფარდება ექნება უარესი ჩეხთან და ესპანელთან. და კიდევ, თუ ბერდიხი სამ სეტში მოუგებს ფერერს, ნოვაკს ნახევარფინალში გასასვლელად ტიპსარევიჩის ორ სეტში დამარცხებაც ეყოფა.



დავიდ ფერერი

ავტოსპორტი

# კორუმპირებული ხელმძღვანელი

ლიტვის პროკურატურამ ძებნა გამოაცხადა რუს ბიზნესმენ **ვლადიმერ ანტონოვზე**, რომელიც ბანკ Snoras-ის აქციათა 68 პროცენტის მფლობელი და კლასიკურ რალიში მსოფლიოს ჩემპიონატის კომერციული ხელმძღვანელია. მას ბრალად ედება სხვისი ქონების მითვისება და დოკუმენტების გაყალბება. ბოლოს, ანტონოვი ორშაბათს ლონდონში ნახეს, სადაც ის მოლაპარაკებებს მართავდა ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციასთან და რალის ჩემპიონატის წარმომადგენლებთან.

ბანკი Snoras ფორმულა 1-შიც არის ცნობილი - შარშან მისი ლოგო „ლოტუსის" ბოლიდებზე იყო განთავსებული.

■ ■ ■

ესპანური საჯინიბოს HRT-ის აღმასრულებელმა დირექტორმა **საულ რუისმა** ეჭვი გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ მისი გუნდი ვერ მოასწრებს 2012 წლის სეზონისთვის განკუთვნილი ბოლიდის მომზადებას. მისი სიტყვებით, სამუშაოების დროულად დასრულებისთვის ძალების მაქსიმალური დაძაბვა იქნება საჭირო.

*„ახალ ბოლიდზე მუშაობა რამდენიმა თვის წინ დაიწყო,* - ამბობს „ავტოსპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში რუისი. - *თუმცა მანქანის საერთო კონცეფცია სულ ცოტა ხნის წინ მომზადდა. მაინც ვიმედოვნებ, რომ მოვასწრებთ ახალი ბოლიდის შექმნას 2012 წლის სეზონის დასაწყისისთვის. მაგრამ ამისთვის დიდი შრომა იქნება საჭირო".*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ლოტუსის ბოლიდი

